

600
1956 / 2



მეცნიერებამ და ტექნიკამ





1 • 9 • 5 • 6

საქართველოს საავტომობილო ქარხანის აკადემია

რადიაქტიური იზოტოპები მედიცინაში

				V	VI	VII
			C	7 N	8 O	9 F
		13 Al	14 Si	15 P*	16 S	17 Cl
19 Mg	20 Ca	21 Sc	22 Ti	23 V	24 Cr	25 Mn
		31 Zn	32 Ga	33 As	34 Se	35 Br



* რადიაქტიური იზოტოპები ამჟამად ფართოდ გამოიყენება მედიცინაში. მათი გამოსწავლებით წარმატებით მკურნალობენ ავთვისებიან სიმსივნეებს. ფარისებრი ჯირკვლებს შესხევენ, ფურუნულებს და ა. შ. ამ მარნასთვის გამოიყენება ფოსფორის, იოდის, ლითონის, ვერცხლის, კობალტის რადიაქტიური იზოტოპები. გამოიყენება რადიაქტიური ნატრიუმის, მავნიუმის, კალციუმის, ბრომის და სხვათა სამკურნალო თვისებები.

სხვადასხვაგვარია თანამედროვე რადიოფარმაკოლოგიაში გამოყენებული იზოტოპები. ერთ შემთხვევაში გამოიყენება ავადმყოფი ორგანიზმის რადიაქტიური ნივთიერებით გარეთა მოსხივება. სხვა შემთხვევაში — კოლოიდური ხსნარები ან რადიაქტიური იზოტოპების შენარები შეეუთვრება შარბილი სისხლში. ავადმყოფი ორგანიზმის რადიოაქტიური ნივთიერების ფორმირებაზე მიიღება დარღვევა, რომლის მიხედვითაც შეიძლება დიფერენციალური კვლევა ნიშანდობლივი ატომების განლაგებაზე და გამოვლენა სათანადო დასკვნები ავადმყოფის ხასიათის და მიმდინარეობის შესახებ.

შავრამ რადიაქტიურ გამოსხივებებს შეუძლია არა მარტო სარგებლობა მოუტანოს ორგანიზმს, მათი დასაშვებ დოზის მომატება იწვევს ეგრეთ წოდებულ სხეულის დაზარალებას წარმოშობის თუ ადამიანი განიცდის 75 მკრეც კალიბრიანი რადიაციის მოსხივებას. მაშინ ეს იწვევს სიცხლის, მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად შექნილია რადიაციული ბელსანური გამოსხივების სახიფათო კონცენტრაციის შესახებ ავადმყოფი მოწყობლობათა დახმარებით ხორციელდება ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ რადიაქტიურ ნივთიერებთან მომუშავე პერსონალის უსაფრთხოებას.

(ნათა ი ებნ)

ინტერპრეტაციის საკითხები

კვანძოვანი და გეომეტრიული ინტერპრეტაციის საკითხები

ბ. ხვეციანი

სიტყვა „ინტერპრეტაცია“ ძველბერძნულია და თვითმოქმედებას ნიშნავს. სიტყვა — „ინტერპრეტაცია“ აგრეთვე ბერძნულია და აღმოსავლურ ენებში გავრცელებულია; „ინტერპრეტაცია“ კი შორ მანძილზე მოქმედებას, მართვას გულისხმობს.

ამჟამად ავტომატიკისა და ტელემექანიკის სახით ცნობილია მოწყობილობანი, რომელნიც ახორციელებენ ცალკეული მანქანების ან მანქანათა მთელი კომპლექსების როგორც ახლო, ისე შორი მანძილიდან მართვას.

თუ ცალკეული საწარმოო პროცესის მქანაა ადამიანს მძიმე ფიზიკური დატვირთვისაგან თავისუფლებს, ავტომატიკისა და ტელემექანიკისა მას ამ პროცესების მართვასთან დაკავშირებული დამატებითი შრომისაგან განტვირთვას. ამავე დროს ტელემექანიკის სხვადასხვა განაკარგულებების გადაცემის, ჩვენების მიღების, პროცესების კონტროლისა და მართვას მანძილების დაძლევისა და დროის მნიშვნელოვანი ეკონომიის საშუალებას იძლევა.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა სხვადასხვა საწარმოო პროცესების შესრულებისათვის ადამიანის ფიზიკური ძალის შეცვლა მოძიერად წყლის, ორთქლისა და ბოლოს ელექტროდენის ნერვით. მაგრამ მანქანების მართვის ფუნქციებს თავდაპირველად ისევე ადამიანი ასრულებდა. ბევრი თანამედროვე დანადგარის მუშაობის სიჭარბე იმდენად დიდია, რომ ადამიანს მართვა რეჟიმისა და მისი დარღვევის მეთვალყურეობა უძნელდება. ამიტომ ის ფუნქციები თანდათან ავტო-

მატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობას დაეცა. ზოგი პროცესი ადამიანისათვის საერთოდ ხელშეუწყობელია (მაგალითად, ატომურ რეაქტორში მიმდინარე პროცესები) და მათი მართვა მხოლოდ ავტომატიკისა და ტელემექანიკის თანამედროვე საშუალებათა გამოყენებით ხერხდება. ამჟამად მთელი რიგი მტკიცედ რთული პროცესები ავტომატიკურად, ადამიანის უშუალო მონაწილეობის გარეშე სრულდება.

ავტომატიკამ და ტელემექანიკამ განსაკუთრებით ფართო გამოყენება მოიპოვა ელექტროსადგურებისა და ენერგოსისტემების მართვისა და რეგულირებისათვის. თუ თავდაპირველად ელექტროსადგურების ავტომატიკის მიზანად ისახავდა მხოლოდ საექსპლუატაციო ხარჯებისა და მოსახურებელი პერსონალის შემცირება, ამჟამად იგი აგრეთვე მუშაობის გაუმჯობესების მძლავრი საშუალებაა.

ბის ღონეს. ამიტომ მსხვილ ენერგოგენერაციასთან დაკავშირებული ექსპლუატაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ამოცანა აგრეთვე ბის მუშაობაში ავტომატიკის შეყვანა და სიმშრომის, ძაბვისა და სიმძლავრის ავტომატიკური რეგულირება.

განვიხილოთ ენერგოსისტემების ავტომატიკისა და ტელემექანიკის ძირითადი საშუალებები.

ავტომატიკის მოწყობილობათა ელემენტები

ავტომატიკის ყველა მოწყობილობა ცალკეული კვანძებისაგან, ელემენტებისაგან შედგება. თუ აღნიშნული ელემენტების კონსტრუქციებს არ განვიხილავთ და შედეგობაში მივიღებთ მხოლოდ მათ დანიშნულებას ავტომატიკის წრედებში, მაშინ შესაძლებელი იქნება ამ ელემენტების დაყოფა სამ ძირითად ჯგუფად: 1. მარტივი ელემენტები; 2. რეგულირება და გამაძლიერებელი; 3. შემსრულებელი მანქანები და ქანობები.

გამოყენებული ნერვების შესაბამისად ის ელემენტები შეიძლება იყოს ანეგომატიკური, პიდრეგულირების ან ელექტრონიკური. ტექნიკის განვითარების თანამედროვე ტელემექანიკიდან გამომდინარე, ჩვენ ავტომატიკის მხოლოდ ელექტრონიკურ მოწყობილობებს განვიხილავთ. იმისათვის რომ გასაგებ გახდეს ავტომატიკის წრედებში თითოეული ელემენტის დანიშნულება, განვიხილოთ რამდენიმე დანადგარის ბრუნვა რეჟიმის

...და მთავარად მდგრად ელემენტებსა და ტექნიკის განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა სხვადასხვა საწარმოო პროცესების შესრულებისათვის ადამიანის ფიზიკური ძალის შეცვლა მოძიერად წყლის, ორთქლისა და ბოლოს ელექტროდენის ნერვით. მაგრამ მანქანების მართვის ფუნქციებს თავდაპირველად ისევე ადამიანი ასრულებდა. ბევრი თანამედროვე დანადგარის მუშაობის სიჭარბე იმდენად დიდია, რომ ადამიანს მართვა რეჟიმისა და მისი დარღვევის მეთვალყურეობა უძნელდება. ამიტომ ის ფუნქციები თანდათან ავტო-

ნობაშია, რომ ენერგოსისტემების მართვა გამოუმჯობესებულ ელექტროენერგიის რაოდენობა დროის სიკვლე მომენტში უზუსტად შეესაბამება მისი მოხმარების სახაზო მუდრების განვითარების 1956-1960 წლების შედეგად ხელშეწყობილი გეგმის შესახებ




რეგულება. ვთქვათ, ტექნოლოგიური პროცესის ცალა დანადგარის ბრუნვა რიცხვის შეცვლის იწყება. ნორმალური რეჟიმის წარმართვისთვის კი საჭიროა, ბრუნვა რიცხვის მუდმივობა. 1-ლ ნახ.ზე წარმო-

ხსენილი სიდიდის მიწოდებას ავტომატური მოწყობილობის ერთ-ერთ ნაწილზე, ვთქვათ, მგრძნობიარე ელემენტის შესას- ვლევად.

უწყავენიის დანიშნულებაა სამართავი

რიცხვი გადატვირთვის შედეგად მიკრ- დება და იგი შეიძლება განჩრდებს კიდევ მაგრამ, ვინაიდან ის ელექტრორეულმა ჩართული რჩება, მის გრავანდებში გამა- ვალი დენის ძალა შეუვრობა გააზრდება და ძრავა დაბნულდება ან დაიწვევს. ელექტროძრავას დაზიანების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ელექტროლი რეულ, რომელიც მას გადატვირთვის შემ-



ნახ. 1.

გენილია რეგულაციის ასეთი სისტემის გამართებული სტრუქტურული სქემა. როდესაც დანადგარი ნორმალური რეჟი- მით მუშაობს, რეგულაციის სისტემის ცე- ლა ელემენტი წონასწორობაში იმყოფება. თუ ტექნოლოგიური რეჟიმის ცვლილ- ბის გამო დანადგარის ბრუნვა რიცხვი შეიცვლება, დანადგარის სათანადო ნა- წილთან დაკავშირებული მგრძნობიარე ელემენტი ბრუნვა რიცხვის ნორმალურ- ი მნიშვნელობიდან გადახრას რომელიმე ელექტროლი სიდიდის პროპორციულ ცვლილებად გარდაქმნის.

ვინაიდან მგრძნობიარე ელემენტის გა- მოხასხვლულზე მიღებული ელექტროლი სიგნალის სიმძლავრე საკმარისი არაა შემსრულებელი მექანიზმის, ამ შემთხვე- ვაში მუდმივი დენის ძრავას მოქმედებაში მოხაყვანად, მგრძნობიარე ელემენტსა და შემსრულებელ მექანიზმს შორის ჩარ- თული გამაძლიერებელი ამ სიგნალს გა- აძლიერებს. გაძლიერებული სიგნალი შემსრულებელ ელემენტზე იმოქმედებს. ეს უკანასკნელი კი მოქმედებაში მოიყ- ვანს დანადგარის ბრუნვა რიცხვის შემ- ცვლელ რეგულატორს. როდესაც ბრუნვა რიცხვი ნორმალურს დაუბრუნდება, რე- გულაციის სისტემა ისევ წონასწორობაში მოვა.

წარმოდგენილი სტრუქტურული სქემი- დან ჩანს, რომ მგრძნობიარე ელემენტები სარეგულაციო სიდიდის ნორმალური მნიშვნელობიდან გადახრას რომელიმე ელექტროლი პარამეტრის (ძაბვის, დენის ძალის, ელექტროლი ტემპერატურის, წინა- დობის და სხვ.) პროპორციულ ცვლილ- ბად გარდაქმნის.


ელექტროლი რეგულაციისა და გამაძლიერ- ტვლების დანიშნულებაა მგრძნობიარე ელემენტებიდან მიღებული მცირე სიმ- ძლავრის სიგნალის საშუალებით სრულე- ბით მძლავრი შემსრულებელი ორგანო- ბის მოქმედებაში მოყვანა. შემსრულებელ მექანიზმებსა და ძრავებს კი რომელიმე სამართავი ფიზიკური სიდიდის ცვლილ- ბის შესაბამისად მოქმედებაში მოყავს რეგულაციის ესა თუ ის ობიექტი.

ავტომატიკის წრედების უმარჯესობი- სათვის დამახასიათებელი უწყავენიის რე- ჟიმის არსებობა, რაც გულისხმობს გამო-

ობიექტისა და მგრძნობიარე ან შემსრუ- ლებელი ელემენტის მდგომარეობას შო- რის შესაბამისობის დაყარება.

მგრძნობიარე ელემენტები

მგრძნობიარე ელემენტების სახით დი- დი გავრცელება მოიპოვა ელექტროლი წინაღობებმა. ასეთი ტიპის მგრძნობიარე ელემენტების მუშაობის პრინციპი მე- 2 ნახაზე წარმოდგენილი სქემიდან ჩანს.



ნახ. 2.


წინაღობა (R) ნახშირის ფორფიტებიდან აწყობილია სვეტის სახით. ასეთი სვეტის წინაღობა დაწოლის ძალის (F) შესაბამი- სად იცვლება. ეს თავის მხრივ იწვევს წრედებში გამავალი დენის ძალის ცვლას, რაც წრედში ჩართული მილიამპერმეტ- რით იზომება.

უნდა აღინიშნოს, რომ წინაღობის სა- ხის მგრძნობიარე ელემენტები ფართოდაა გავრცელებული. ამასთან ცნობილია იხე- თა ტიპის წინაღობები, რომელიც პარა- მეტრები იცვლება მექანიკური ზემოქმე- დების, ტემპერატურის რადიაციის შეე- ცვლის გამო და სხვ.

ცნობილია მგრძნობიარე ელემენტების უამრავი სხვა კონსტრუქციებიც, რომელ- თა განხილვას ჩვენ ვერ შეუვლდებით.

რეგულატი

თუ შეიღწვის ძრავას გადატვირთვათ, იგი „ჩიქრება“ — მუშაობის შეწყვეტის. მაგრამ ასეთი რეჟიმი მისთვის თითქმის არავითარ საშუაშრობას არ წარმოადგენს. სხვა მდგომარეობა ელექტროლი და- ნადგარების, ვთქვათ, ელექტროძრავას მუშაობისას. ელექტროძრავის ბრუნვა



ნახ. 3.

თხვევაში ელექტროწრედიდან გამორთავს.

ელექტროამანტიური რეულ მე-3 ნახაზეა მოცემული. ელექტროძრავას დენი ძრავას წრედში თანმიმდევრობით ჩარ- თული რეულს გრავანდებში გადის. იმი- სავსეა, რომ რეულს გრავანდებში კარ- გვემი მცირე ოცის, იგი დიდი განივქვე- თის მქონე გამატარიაა დაბეჭული და ბეჯათა მცირე რაოდენობა აქვს. სანამ გრავანდებში ნორმალური დენი გადის, სპირალური ზამბარაკი (1) ღუსხა (2) არ აძლევს საშუალებას მიწილის რეულს პოლუსებისაკენ (3). მაგრამ, როგორც კი დენი გარკვეულ სიდიდეს აღმეტება, ელექტროამანტიის მონოფულაბა გააზრ- დება, ღუსხა ზამბარაკის ძალას გადალ- ხავს და კონტაქტებს (4) ჩააბნობს. კონ- ტაქტების ჩართვით იმპულსი მიეცემა სუციტორის ამომრეულს, რომელიც გა- დატვირთულ ძრავას გამოართავს.

აღწერილ შემთხვევაში საკონტროლო სიდიდის დენის ძალა წარმოადგენს. არ- სებობს მთელი რიგი რეულები, რომელნიც განკუთვნილია სხვა სიდიდეების ზღვარულ მნიშვნელობის გამოვლენისათვის (ძაბვა, სიმძლავრე, დრო და სხვ.).


საკონტროლო დაცვითი ფუნქციებს გარდა რეულები ავტომატიკის წრედებში მრავალ სხვა ოპერაციასაც ასრულებს. ასეთი სხვადასხვა სიგნალის წინ- გრძობის გაზრდა ან შემცირება, მისი გაძლიერება, არხების გადართვა-განწო- რება, ობიექტების ჩართვა და ამორთვა და სხვ. ამ ოპერაციების შესასრულებლად ელექტროამანტიური, ინდუქციური, ელექ-

ქტრონული და სხვა სახის რეღების უმარავე ტიპები და კონსტრუქციები არსებობს.

გამაძლიერებლები

გამაძლიერებელი ისეთი მოწყობილობაა, რომელიც ახორციელებს მიყვანილი სივანლის გაძლიერებას. ცნობილია სიმძლავრის, ძაბვისა და დენის გამაძლიერებლები.

ელემენტარული გამაძლიერებელია მე-1 ნახაზე წარმოდგენილი ხამელქტროლია-ნა ელქტრონული მილაკი-ტრიოდი“.




ნახ. 4.

მილაკის ანოდური წრედი სიმძლავრის არის წარმოადგენს. მილაკის ბადე (გ) სარქველის რაღს ასრულებს. ბადის პოტენციალის უზნიშნელყო შეცვლით შე-საძლებელია ანოდური დენის ფართო ფარქტეობის რეგულირება.

პრაქტიკულ სქემებში ბადეს გასაძლიერებელ ძაბვა მიეწოდება, ხოლო ანოდური დატვირთვა (R) კი შემსრულებელი მექანიზმის გრავნილი, ან გამაძლიერებლის მომდევნო კასკადის შესასვლელია.

მე-1 ნახაზე მოყვანილია უმარტევი სქემები მაგნიტური გამაძლიერებლებისა, რომელთა მუშაობა დროსელის რკინის გულს მუდმივი დენით დამატებით დამაგნიტების ცვლილ დენის დროსელის (კოქს) ინდუქციობის ცვლას ემყარება. მუშევი დენით დამაგნიტების გადიდებისას დროსელის მაგნიტური შეღწევალია და ინდუქტორი წინაღობა მცირდება, რაც ცვლადი დენის გრავნილში (W~)



ნახ. 5.

(ნახ. 5 ა) დენის ძალის გაზრდას იწვევს. მაგნიტური გამაძლიერებლის საშუალებით შესაძლებელია ცვლილ დენის მძლავრი წრედების მართვა მუდმივი დენით დამატებითი დამაგნიტების შედარებით მცირე ცვლილით.

ბოლო ნახეში ფართო გამოყენება პოვა კრისტალურმა გამაძლიერებლებმა, ე. წ. „ტრანზისტორებმა“. „ტრანზისტორებს“, რომელნიც გერმანიუმის „ტრიოდებს“ წარმოადგენენ, ჩვეულებრივ ელქტრონული მილაკებთან შედარებით ზევი ტექნიკური და საექსპლოატაციო უპირატესობა აქვს.

ელქტრონერგითი კეების სარეზერვო ხაზებისა და დანადგარების ავტომატური ჩართვა

მომხმარებელთა უმრავლესობა იყვებება ელქტრონერგითი ცალმხრივიდ, გვრეთ წოდებული რადიალური ხაზებით, რომელთა გამორთვის შემთხვევაში მომხმარებელი დროებით ელქტრონერგის გარეშე რჩება. ძაბვის ასეთი გამორთვა ავარიების რიცხვს ეკუთვნის, რადგან ამ შემთხვევებში მომხმარებელთა ნორმალური მუშაობის რეჟიმი ირღევევა.

ომხმარებელი კეების მოწყობა, ან სარეზერვო დანადგარების ძირითად დანადგარებთან პარალელურ მუშაობაში ჩართვა ართულებს დანადგარს და საგრძობლად ზრდის მის დირეზულებას. ამიტომ შე-მოადინშნული ავარიების თავიდან ასაცილებლად ფართოდ იყენებენ სარეზერვო კეების და დანადგარების ავტომატური ჩართვას.


სარეზერვო კეებისა და დანადგარების ავტომატური ჩართვის არხი გახავებია სარეზერვო ხაზის ავტომატური ჩართვის გამარტივებული სქემიდან, რომელიც მოყვანილია მე-2 ნახაზე.

წომალურად ზ ქვეხადურნი აპ ხაზით, ა ელქტროსადგურადან იყვებება. სარეზერვო ხაზი ვ-ბ რეზერვოში იმყოფება და ამომრთველია 4 ა ამორთველია.

ვთქვით ადგილი ჰქონდა დწინაენებას, რომლის შედეგად ამომრთველი 2 ა რეულური დაცვის მიერ ამორითო (რეულური დაცვა ნახაზე ნარჩენები არაა) დავ ძირითადი ხაზი აპ გამოირთო. იისახათის, რომ მომხმარებლის ნორმალური რეჟიმი ან დაირღვეს, სპირითა სარეზერვო ხაზის სრქულად ჩართვა. რისი განხორციელება მხოლოდ ავტომატური მოწყობილობით შეიძლება.

თუ ამომრთველი 2 ა ამორითო, მისი ბლოკონტაქტები I და 2 გახსნება, ხოლო 3 კი შეიკრება. დროის რეღს კოქს ამომრთველის 2 ა ჩართულ მდყო მარტობისას ძაბვის ქვეშ იმყოფება. რომელიც ამომრთველის 2 ა ამორთვის შე-

დეგად მისი ბლოკონტაქტი 2 გახსნება, დროს რეღს კოქს ძაბვა მოგხსნება. მაგრამ რეღს კონტაქტი მამონქე ან გახსნება, რადგან ის დაყოფებით მუშაობს. ამომრთველის ბლოკონტაქტი 2 შეიკრის გამო სარეზერვო ხაზის ამომრთველის 4 ა ჩართვით მექანიზმის კოქს ძაბვის ქვეშ აღმოჩნდება, ამომრთველი ჩართება, სარეზერვო ხაზი მუშაობაში ჩაღება და ბ ქვეხადურს ვ-ბ ხაზით



ნახ. 6.

ძაბვა მიეწოდება. დავეულობა, რამ სარეზერვო ხაზის ჩართვის შემდეგ ბ ქვეხადურის საღტებზე დაწინაება აღმოჩნდა. ამის შედეგად სათანადო რეულური დაცვა მოქმედებაში მოვა და ამომრთველი 4 ა ამორთვის. ამომრთველის განმეორებითი ჩართვა არ მოხდება, რადგან მისი ჩართვით მექანიზმის კოქს ძაბვის წყაროსკენ გაითქვლით აღმოჩნდება დროის რეღს კონტაქტების გახსნის გამო. აგვა-რად დროის რეღს კონტაქტები სარეზერვო ხაზის ერთქრად ავტომატური ჩართვას უზრუნველფს.

ამჟამად ენერგოხისტემების სარეზერვო ხაზების, ტრანსფორმირების და ცვლილ სქემების ავტომატური ჩართვა ფართოდ გამოიყენება.

მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების განმეორებითი ავტომატური ჩართვა (ავგ)

მაღალი ძაბვის გადამცემი საპერო ხაზები ენერგოხისტემის იმ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც ყველაზე უდრო ადვილად ზიანდება. განსაკუთრებით ზიარია ხაზების დაწინაება ქვეაქუბილის დროს. რეზერვების შექმნა პარალელური ხაზების მუშეხებას საშუალებით ხშირად როგორც ტექნიკურად, ისე ეკონომურად გაუმართლებელია.




გამოცდილებით მტკიცდება, რომ, თუ ასეთ დაზიანებულ ხაზს ძაბვის მოვსენით, ე. ი. გამოვრთავთ, უმეტეს შემთხვევებში დაზიანება ისპობა და შესაძლებელი ხდება ხაზის მუშაობაში განმეორებითი ჩართვა.

მოწყობილობას, რომელიც ამ ოპერაციას ასრულებს, ავტომატური განმეორებითი ჩართვის (აგრ) მოწყობილობა ეწოდება.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ხაზების ავარიების 60-90%-ის შემთხვევებში ავტომატური განმეორებითი ჩართვა ეფექტურია და ელექტროენერგიით კვების შეწყვეტა იმდენად ხანმოკლე, რომ მომხმარებლის საწარმოო პროცესი არ ფერხდება.

მე-7 ნახაზზე წარმოდგენილია აგრ-ის გამართებული პრინციპული სქემა. თუ ხაზზე მოკლე შერთვა განდია, ოგი რელეური დავის მოქმედებით გამოირთვება. მცირე ხნის შემდეგ იმოქმედებს აგრ, რომელიც ხაზს გამეორებით ჩართავს. თუ ამ დროისათვის დაზიანება მოისპო, ხაზი მუშაობას განაგრძობს.



ნახ. 7.

ცხადია, რომ აგრ-ის მოყვანილი სქემა ძლიერ გამართებულია. რეალურ პირობებში აგრ-ის განმეორებითი ჩართვის ხანმოკლეობა წინასწარი პირობის შესრულება, რაც მოწყობილობას ართულებს.

ავტომატური თვითსინქრონიზაცია

ენერგოსისტემებში სინქრონული გენერატორები პარალელურად მუშაობს და ცვლად დენს გამოიმუშავენს, რომლის სიხშირე სეკუნდში 50 პერიოდს უდრის.

გენერატორის პარალელურ მუშაობაში ჩართვის პროცესს სინქრონიზაცია ეწოდება. ცნობილია სინქრონიზაციის ორი მეთოდი — ზუსტი სინქრონიზაცია და თვითსინქრონიზაცია.

ზუსტი სინქრონიზაციის დროს საკურობა: 1. ჩასართავი და მომუშავე გენერატორების ძაბვის ტოლობა; 2. ჩასართავი და მომუშავე გენერატორების სიხშირის ტოლობა; 3. ძაბვის ფაზების დამსხვევცა. თუ აღწერილი სამი პირობიდან ერთერთი არ შესრულდა, გენერატორის ჩართვის მომენტში დიდი ვაშათანაბრებელი დენი და მექანიკური დატვირთვა განიღებება, რამაც შესაძლებელია გენერატორის დაზიანება გამოიწვიოს.

ცნობილია ზუსტი სინქრონიზაციის წარმოების მეთოდები ყოველგვარი ავტომატური მოწყობილობის გარეშე. მაგრამ ხელთ სინქრონიზაციის საქაო დრო სკირდება. ზოგაერთი ავარიული რეჟიმების ლიკვიდაციის დროს კი დიდი მნიშვნელობა აქვს გენერატორების მუშაობაში სწრაფ შეყვანას.

ზუსტი ავტომატური სინქრონიზაცია რთული განსახორციელებელია და მას ფართოდ არ იყენებენ.

ბოლო ხანებში დიდი გამოყენება აქვს ე. წ. ავტომატურ თვითსინქრონიზაციას, რაც შემდეგად მდგომარეობს: როდესაც ჩასართავი გენერატორის ბრუნთა რიცხვი თითქმის ნორმალური გახდება, აუღუნებულ გენერატორს, ე. ი. ისეთ გენერატორს, რომელიც ძაბვას არ იძლევა, სხვა მომუშავე გენერატორთან ერთად პარალელურად ჩართავენ და აღაგუნებენ. მაღლევს რა ძაბვა ნორმალურს, გენერატორი სინქრონიზმში შევა და შესაძლებელი გახდება მისი დატვირთვა.

ავტომატური თვითსინქრონიზაცია სწრაფად და შედარებით მარტივად ზორციელდება. ავტომატური თვითსინქრონიზაციის გავრცელებული სქემა სიხშირის რელეს გამოყენებას ეყარება.

როდესაც გენერატორის სიხშირე ქსელის სიხშირეს დაახლოებით გაუტოლდება, სიხშირის რელე სათანადო იმპულსს მაიწოდებს გენერატორის ამპორთვლის ჩართვის მექანიზმს და გენერატორი ჩართვება. ამის შემდეგ გენერატორის აღგუნების ავტომატური მოწყობილობა იმოქმედებს და ძაბვას ნორმალურად მაიწოდებს.

აღვსუნებულ გენერატორის ბრუნთა რიცხვის კონტროლისათვის გამოიყენება ბრუნთა რიცხვის საწომი მოწყობილობის დაშმარე სინქრონული გენერატორის ძაბვა ან, ასეთის უქონლობისას, ის მცირე ძაბვა, რომელიც აღაგუნებელი გენერატორის მომუშავე გენერატორების ძაბვის ტოლობა; 2. ჩასართავი და მომუშავე გენერატორების სიხშირის ტოლობა; 3. ძაბვის ფაზების დამსხვევცა.

რატორის მომუშავეზე წარჩენილ მანერტზე მის არხებობის გამო წარმოიშვა განსაკუთრებით ეფექტურია ავტომატური თვითსინქრონიზაციის კომბინირებული გამოყენება ავარიული გამორთვების შემდეგ სისტემის პარალელური მუშაობის აღდგენისას, ვადამცემი ხაზების ავტომატური განმეორებითი ჩართვისათვის ერთად.

ავტომატური რეგულება ენერგოსისტემებში

ენერგოსისტემების ექსპლუატაციის პროცესში განუწყვეტლევ ხდება მომხმარებელი და გამომუშავებული სიმძლავრის ცვლილება. სათანადო რეგულების არარსებობის შემთხვევაში სიმძლავრის ცვლილება ძაბვის და სიხშირის ნორმალური მნიშვნელობიდან გადახრას იწვევს, რაც გამომუშავებული ელექტროენერგიის ხარისხს აუარესებს.

ძაბვის და სიხშირის ნორმალური მნიშვნელობიდან გადახრა განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ავარიული რეჟიმის დროს, მძლავრი გენერატორების უცდრო გამოვრთვის და ვადამცემ ხაზებზე მოკლე შერთვის განენის შემთხვევებში, როდესაც გენერატორების დატვირთვებსა და ტურბინებთან მიყვანილ ენერჯის შორის წონასწორობა ირღვევა. ასეთ რეჟიმებს უწოდებენ გენერატორების სინქრონიზმიდან გამოსვლა და ენერგოსისტემის პარალელური მუშაობის დარღვევა მოყვება. ამ თვალსაზრისით ენერგოსისტემებში აქტური და რეაქტიული ტვირთების და განსაკუთრებით კი ძაბვის და სიხშირის ავტომატურ რეგულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სხვადასხვა სიდიდების ავტომატური რეგულებისათვის მრავალი ტიპის და კონსტრუქციის რეგულატორები არსებობს, მაგრამ მოქმედების პრინციპის მიხედვით შესაძლებელია მათი ორ ჯგუფად — უწყვეტი მოქმედების და იმპულსურ რეგულატორებად დაყოფა. იმპულსური რეგულატორები რეგულების პროცესს წყვეტილად, დროის გარკვეულ შუალედებში წარმოქმნილი იმპულსების საშუალებით ახორციელებს. უწყვეტი მოქმედების რეგულატორები კი, როგორც ეს დასახელებიდან ჩანს, რეგულების უწყვეტ პროცესს იძლევა. საბჭოთა კავშირში ელექტროსადგურების დიდი რაოდენობა ავტომატურად


მუდმივი მორიგე პერსონალის გარეშე ვირთვის გრაფიკს ამოკერით და ლენტის სიმძლავრის რეგულატორის დოლოზე მო-

ცნობილია, რომ ელექტროსადგურების დატვირთვა დღე-ღამის განმავლობაში ელექტროენერგიის ჩართული მიმღებების სიმძლავრის შესაბამისად იცვლება. დატვირთვის ცვალებადობის სახე სტატისტიკური მონაცემების შედეგად წინასწარ ცნობილია.

დატვირთვის დღეღამური ცვალებადობა შესაძლებელია გრაფიკის საშუალებით გამოისახოს. გრაფიკის აბსცისების ღერძზე დროის შუალედები აღინიშნება, ორდინატების ღერძზე კი შესაბამისი სიმძლავრეები.

თუ შესაფერისი მასალის ლენტზე დატ-

ვითვის გრაფიკს ამოკერით და ლენტის სიმძლავრის რეგულატორის დოლოზე მო-




ნახ. 8.

ვითვის (ნახ. 8), შესაძლებელია ელექტროსადგურის სიმძლავრის ავტომატური რეგულაცია მოცემული გრაფიკის მიხედვით. ლენტი საათის მექანიზმის საშუალებით მოძრაობს. ლენტის კიდეს გორაკულაზე ეყრდნობა, რომელიც რუოსტატის მცოცთან არის დაკავშირებული. მცოცის გადაადგილება რუოსტატის წინაღობის ცვლის, რაც შესრულებული მექანიზმის მოქმედებას იწვევს. შესრულებული მექანიზმის სიმძლავრეს შესაბამისად შეცვლის. ასე წორცილებდა გენერატორების დატვირთვის ავტომატური დღეღამური რეგულაცია მოცემული გრაფიკის მიხედვით.

(გაგრძელება იქნება)

ახალი ტექნიკა



რიაზანის მძიმე ჩარხმშენებელმა ქარხანამ გამოუშვა პირველი პარტია ჩარხებისა მსხვილგაბარითიანი გემის ძრავების მუხლა ლილივა დამუშავებისათვის. ასეთ ჩარხებს ჩვენი ჩარხმშენებლები პირველად უშვებენ. დეტალების დამუშავების სიზუსტე იზომება მილიმეტრის ასეული წი-

ლებით. ჩარხის სიმძლავრისა და ზომების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ცენტრების სიმაღლით, რომლებიც სადგარიდან 750 მილიმეტრის მანძილზეა. დეტალების ჩქარი დამუშავებისათვის ჩარხი ადკურვილია ორი სუპორტით. ეს საშუალებას იძლევა ჩარხვა ეაწარმოოთ ერთდროს-

ლად ორი საქრისით. სუპორტების გადაწველება ავტომატურებულია. ჩარხი შექმნილია ქარხნის საკონსტრუქტორი ბიუროს კოლექტივის მიერ, სადაც მრავალი ახალგაზრდა მუშაობს.

სურათზე: ჩარხი მსხვილგაბარითიანი მუხლა ლილივის დამუშავებისათვის.

ბ. გორაძეანი

ჩვეულებრივმა მკითხველმა შეიძლება არც კი იცის, თუ რამდენი და რა ხასიათის შრომა სჭირდება იმ წიგნის შექმნას, რომლის წაკითხვით აღმიაწიანებ ცოდნას იძენენ და ეთეტუქურ საიმოვნებას განიცდიან.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს წიგნის შექმნის ძირითადი პროცესების შინაარსი, გავეცნობთ მალაღობრივ ბეჭდვისათვის* მომზადებულ ფორმას, რომელიც ხელისწყობის საშუალებით სრულდება.

წიგნის დაბეჭდვის დაწყებამდე მანქანაზე გადაბეჭდილი ხელნაწერი გამომცემლობაში უნდა დამუშავდეს იმ ტექნიკური პირობების დაცვით, რომელიც აუცილებელია ასოთამწყობის ნაყოფიერი მუშაობისათვის და გათვალისწინებულია «ტექსტური წიგნებისა და ჟურნალების ორიგინალების მომზადების ტექნიკური წესების დაცვის» ინსტრუქციაში (დამტკიცებულია 1948 წელს).

* არსებობს ბეჭდვის სამი სახე: მაღალი (ამბურტული), ღრმა და სწორი. მაღალი ბეჭდვის ფორმაში დასაბეჭდი ელემენტები, ფორმის საერთო ღრუსთან შედარებით ამაღლებულია, ამბურტული, სიღრმაც ელემენტობით ანაბეჭდს. ამ სახის ბეჭდაში ყველა დასაბეჭდი ელემენტი ერთ სიმაღლეზე დგას.

სულ სხვაგვარია ღრმა ბეჭდვა, რომლის ღრუს ფორმის ზედაპირი კი არ იბეჭდება, არამედ ის ჩაღრმავებული ადგილები, რომლებიც ამოვსებულია სიღრმეებით.

სწორი ბეჭდვის ღრუს დასაბეჭდი და არადასაბეჭდი ელემენტები პრაქტიკულად თითქმის ერთიან ზედაპირზეა მოქცეული. ანაბეჭდის მიღება წარმოებს როგორც დასაბეჭდი, ისე არადასაბეჭდი ელემენტების მრავალჯეროვანი ფიზიკურ-ქიმიური დამუშავების შედეგად.

ამ წესების მიხედვით ორიგინალი დაბეჭდილი უნდა იყოს ცალ გვერდზე, ერთიანი ზომის ქაღალდზე (ფორმატი 210×297 მმ). ხელით შეიძლება ჩაიწეროს მხოლოდ ის ფორმულები, უცხო სიტყვები ან სხვა ნიშნები, რომლებიც არ არსებობენ საბეჭდი მანქანის ალფაბეტურაზე. მემანქანის მიერ დამუშავებული შეცდომების გასწორება თითო გვერდზე არ უნდა აღდგამატებოდეს ხუთს.


როდესაც ორიგინალი სტამბაში გაიგზავნება, მას თან უნდა გაეყვას სპეციფიკაცია, სადაც აღნიშნული იქნება ყველა ტექნიკური პირობა მის ასაწყობად (შრიფტის კნგელი და გარნიტური, ანაწყობის ფორმატი, აბზაცის ზომა და სხვ.). ყველა ეს პირობა თვით ორიგინალზეც უნდა იყოს აღნიშნული.

ასეთნაირად გამზადებული დედნიდან იწყება წიგნის პოლიგრაფიული შექმნა. პირველ ყოვლისა ხელნაწერი გადაეცემა სააწყობო სამამქროს, სადაც მას ანაწილებენ ასოთამწყობებს შორის. სანამ ასოთამწყობი მუშაობას შეუდგებოდეს, ის ირჩევს სამუშაო ადგილს, იდგამს წინ შრიფტკასას, ანუ ისეთ ბუდეებიან ყუთს, სადაც მითავსებულია სისტამბო შრიფტები, ე. ი. ლითონის მოძრავი ასოები, ლიტერები, საითთაოდ იღებს მათ და ალაგებს საბჭურეში მოციხნილდმდეგე მიმართულებით— მარცხნიდან მარჯვნივ. ყოველი აწყობილი სიტყვის შემდეგ ურთავს ლიტერზე უფრო დაბალ „ნიხევარ რგავალს“ იმისათვის, რომ დაიცვას ყველა სტრიქონის ერთნაირი სიგრძე. ასოებს შორის კი ურთავს საგამყოფო მასალას

„შპაცს“, ხოლო სტრიქონების ერთმანეთისაგან დასაშორებლად — ასეთივე დაბალ „შპონს“, ანუ სახზს. საბჭურეში, რომელიც დაყენებული იქვს ასოთამწყობს გარკვეულ ზომაზე, იწყობა დასლოებები 8-10 სტრიქონი, შემდეგ ასოთამწყობს ეს სტრიქონები გადაიქვს ლითონის დაფაზე, რომელსაც კუთხენდი ეწოდება. როდესაც კუთხედზე თავს მოუყრის 50—80 სტრიქონს (კეგელის მიხედვით), ანაწყობს შეკრავს წვრილი თოკით. ამრიგად ამზადებს ანაწყობის სვეტს (გრანკას).

თითოეული ასოთამწყობი ერთ საათში აწყობს დაახლოებით 1625—1875 ნიშნის (ეს არის ნორმა).

წიგნის მთავარ მასალას წარმოადგენს ლიტერი, ანუ სწორკუთხოვანი ლითონი, რომლის ზედაპირზე რელიეფური სახით არის გამოსახული ასო ან ნიშანი, რომელსაც ჩვეულებრივად შრიფტი ეწოდება. იმისათვის, რომ შრიფტი, ანუ ასოები, ჩამოისხას, საჭიროა ჯერ პუნსონი გაკეთდეს, ე. ი. ფოლადის ნაჭერი, რომლის ზედაპირზე შებრუნებულ სახით არის დგ-



ნახ. 1. პუნსონი და მატრიცი



ნახ. 2. სასტამბო მეტრული სისტემის შედარებითი სქემა

იღებენ საცდელ ანაბეჭდებს. უკანასკნელ დრომდე საკორექტურობის მოვალეობას ასრულებდა ხელის ძველი საბეჭდო დაზვა. ბოლო ხანში საბეჭდოთა კავშირში გავრცელდა საკორექტურო დაზვა „KP—2“ მარკის. ამ დაზვაზე ანაბეჭდის ამოღება უფრო სწრაფად და სუფთად შეიძლება.

საკორექტურო ანაბეჭდი უნდა ამოღებულ იქნეს ფართო არეზიან საწერ ქაღალდზე, რათა საშუალება მიეცეს კორექტორს „გაიტანოს“ შეცდომები ტექსტიდან არეზებზე. კორექტურა წარმოებს წმენდენარად: ანაწიბში არასწორად ჩასმულ ასოს ან ნიშანს კორექტორი გადაშლის სპეციალური ნიშნით, შემდეგ იმავე ნიშანს გაიმეორებს სვეტის არეზზე და გვერდზე უწერს იმ ასოს, რომელიც უნდა ჩაიბეჭდოს მის ადგილას. ანაწიბში სხვადასხვა ტექნიკური შეცდომების გასასწორებლად არსებობს კიდევ რამდენიმე პირობითი ნიშანი, რომლებსაც იყენებს კორექტორი წერილობითი მითითების მაგვირად. საბეჭდოთა კავშირში საკორექტურო ნიშნები სტანდარტიზებულია.

რავიერებული ასოს ან ნიშნის რელიეფური გამოსახულება, შემდეგ მისი ყალიბი, ანუ მატრიცა, ბოლოს, ამ მატრიციდან სპეციალური მანქანის საშუალებით ჩამოსხმება ლითონ — ასო, რომლის სიმაღლე უდრის 66,75 მმ-ს.

პოლიგრაფიული შრიფტები სხვადასხვა სახისა და მოხაზულობისაა. მათი გამარჯვება შეიძლება ყოველ ზომაზე. დაწყებული 4 პუნქტიდან ერთ კვადრატამდე ზომის გამოსარკვევად არსებობს განსაკუთრებული სტამბური სისტემა, რომლის ერთეულს პუნქტი ეწოდება. უფრო მსხვილ საზომ ერთეულად მიღებულია კვადრატები.

ერთი პუნქტი უდრის 0,376 მმ-ს, ხოლო ერთი კვადრატია დაახლოებით 18 მმ. პუნქტსა და კვადრატს შორის არსებობს აგრეთვე საშუალო საზომერთეულები ციცერო და ნონარელი.


სხვადასხვა მოხაზულობისა და ზომის (კეგელების) შრიფტების კომპლექტს ეწოდება გარნიტური. არსებული ქართული სასტამბო შრიფტები უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა დაჯგუფებული გარნიტურებად, ისე როგორც ყველა ერის საშრიფტო მეურნეობაშია, ამიტომ ზომების (კეგელების) გამარჯვლებაც არ მიმდინარებდა ნორმალურად.

ჩვენს საშრიფტო მეურნეობაში ამჟამად არსებობს სამი ძირითადი გარნიტური და ერთიც დამატებ-

თი. ყოველი ქართული წიგნი ამ გარნიტურებში არსებული სხვადასხვა ზომის შრიფტებით იწყობა.

წიგნის პირველი ხელოვანი ასოთამწყობია. როდესაც იგი აწყობს, შექანიეურად კი არ იღებს კასიდან ასოებს და დამხმარე მასალას, — ანგარიზობს, იცავს წყობის კანონზომიერებას. კარგი ასოთამწყობი მართო ხელოსანი კი არ არის, იგი პოლიგრაფისტი-მატევიარიც არის, რომელიც ჰქმნის წიგნის შინაგან ტექნიკურ კომპოზიციას.

როდესაც ანაწიბი სვეტებად შეიკვრება, იწყება იმის შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება იგი დედანს. იწყება შეცდომების მონახვა და მათი გასწორება, ანუ ანაწიბის კორექტურა. სვეტებიდან



ნახ. 3. კეგელთა გრადიცი

კორექტორის მიერ გასწორებულ სვეტების ისევ გადაეცემა ასოთაწყობის, რომელიც ანაწყობაში შეცლომით ჩასმულ ასოს იღებს სადგისით და მის მაგვირად ჩასვამს მეორეს — მართებულს.

თუ ანაწყობი სტრიქონჩამოსხმელი მანქანით (ლინოტიპით) შესრულებულია, ერთი ასოს გასწორებისათვის საჭირო იქნება მთელი სტრიქონის ხელახალი ჩამოსხმა. ერთხელ გასწორებული ანაწყობიდან ხელახლა იღებენ საკორექტურო ანაბეჭდს და ასე გრძელდება მანამდის, ვიდრე სულ ერთ „გასუფთავდება“ ანაწყობი, ე. ი. სანამ ის არ იქნება ორიგინალის ზუსტი გამეორება.

როდესაც საბოლოოდ მოთავდება კორექტურის სწორება, იწყება წიგნის შექმნის მეორე ტექნოლოგიური პროცესი: გვერდებულ შეკრა. შეცლომებიდან გაუ-


ტიდან იგი იღებს იმდენ სტრიქონს, რამდენიც წიგნის გვერდში (ზომის მიხედვით) ეტევა, ასე მოყოლებით ხსნის ყველა სვეტს და ზუსტ ზომაზე კრავს წიგნის გვერდებს, საიდახაც აღგენს დასაბეჭდვად გამზადებულ ფორმას ანუ საბეჭდ ფურცელს — უმეტესწილად 16—32 გვერდის რაოდენობით. გვერდების რაოდენობა დამოკიდებულია ქაღალდის ფურცლის ზომასა და იმაზე, თუ რამდენჯერ და როგორი თანმიმდევრობით იქნება შეკეცილი ქაღალდი ფურცელი დაბეჭდვის შემდ-

ასე გამზადებული წიგნის საბეჭდი ფორმები საამწირობიდან გადააქვთ საბეჭდ საამქროში. აქ ისეთნაირად დალაგებენ გვერდებს, რომ დაბეჭდვის, დაჭრის და შეკეცივის შემდეგ შესაძლებელი გახდეს ისეთი რვეული მივიღოთ, სადაც გვერდების თანმიმდევრობა იქნება დაცული.

სანამ ბეჭდვას შეუდგებოდნენ, იწყება მოსამზადებელი მუშაობა მანქანაზე: დეკელის გამზადება, საღებავი აპარატის დაყენება, მორგება და სხვ. საბეჭდი ფორმის მანქანაში გამართვის შემდეგაც იღებენ ანაბეჭდს, რომელიც კიდევ საჭიროებს სხვადასხვაგვარ შესწორებას, ხოლო ფორმის საბოლოო გამართვის შემდეგ შეუდგებიან ტირაჟის ბეჭდვას. თუ ფორმის მომზადების და ბეჭდვის საძლებელთა ნაბეჭდი უხარისხო გამოვიდეს.

ჩვენ საუბარი გვექონდა მხოლოდ ხელით ანაწყობაზე და მაღალ ბეჭდვაზე ჩვეულებრივი საბეჭდი ფორმიდან, მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს, რომ დღეს საბჭოთა კავშირში ძირითადად ხელით წყო-


ბა იშვიათად ხდება. აწყობა უმთავრესად მანქანური წესით (ლინოტიპით, მონოტიპით) და ფორმის ბეჭდვა სწრაფმბეჭდავი მანქანებით (საროტაციო, თვითდამწყობი და სხვ.) წარმოებს.



ნახ. 4. 8-გვერდიანი ფორმის განლაგების სქემა

როგორი წესითაც უნდა იყოს დაბეჭდილი ფორმა, მოთავეების შემდეგ, ე. ი. მთელი ტექსტის ყველა ფორმის დაბეჭდვის შემდეგ, ფურცლები შემდეგი დამუშავებისათვის გადაეცემა მესამე სამუქროს —სამკინძაოს. იქ, დაბეჭდილი ფურცლებს, უბირველეს ყოვლინა, ნაწილ-ნაწილად ჭრათ და თითოეულ ნაჭერს ხელით ან მანქანით კეცავენ იმისათვის, რომ მიიღონ ერთფორმიანი რვეული. ამის შემდეგ იწყება ამ რვეულების აკრეფა და მანქანით მათი შეკერვა. აკრეფილ, შეკერილ და სპეციალურად დამუშავებულ წიგნის ლოტის ჩასვამენ რბილ ან მაგარ ყდაში. მაგარი ყდის გაკეთება თავის მხრივ შეიცავს მთელ რიგ პროცესებს, რომელთა მთავარი მიზანია მკითხველს მიაწოდონ ლამაზად დამუშავებული და მაგარ ყდაში ჩასმული წიგნი.

თვალის ერთი გადავლებით ასე იქმნებოდა და იქმნება ის შესანიშნავი ნივთი — წიგნი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებს ეხმარება კულტურული აღორძინების საქმეში და კომუნისტურ საზოგადოების მშენებლობაში.



ნახ. 3. ხელის საკორექტურო დაწვა

მენდილი და ზუსტი თანმიმდევრობით დალაგებული სვეტები მიაქვთ განსაკუთრებულ სამუშაო ადგილზე, სადაც მეტრაბაეი (შემკვრელი მუშა) იწყებს შეკრას. ეს ნიშნავს იმას, რომ პირველი სვე-



მეცნიერებისა და პროგრესის შეხვეობა

რ. იოვავშირი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

მეცნიერებას ბევრი მოყვარე ჰყავს, მაგრამ... მას ჰყავს მტრებიც.

მეცნიერების მტერია, მის წინააღმდეგ მოქმედებს ყველა ჯურის რელიგია, მათ შორის ქრისტიანული რელიგია.

რელიგია მეცნიერების მტერია მისი არსებობის თვით ფაქტით. წინააღმდეგ მეცნიერებისა, რომელიც მიზნად ისახავს მართებულად შეიცნოს და გაიგოს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონები და დაეხმაროს ადამიანს საერთო საკაცობრიო პროგრესისათვის, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. რელიგია, რომელიც ემყარება პირველყოფილ ადამიანის უფიქრს, არასწორ წარმოდგენებს „თავის თავისა და გარეგანი ბუნების შესახებ“, ბუნებრივი და საზოგადოებრივი ძალების დამახინჯებულად ასახვას და ვალდებულებას, აჩქარე ღვთისმორწმუნეებს მორჩილებას, აძიულებს მათ უარს ექვან ამქვეყნიურ სიამოვნებაზე, ბუნების ძალების დამორჩილებისათვის ბრძოლაზე.

მეცნიერება მთელი არსით ემსახურება იმას, რომ ადამიანი თავისი შეგნებით, სინამდვილის სწორი შეცნობით ამაღლდეს ბუნების ძალებისადმი ბატონობის მდგომარეობამდე, რელიგია კი დაინტერესებულია იმით, რომ ადამიანი ჩამორჩენილი, ცხოვრების ცოდნას მოკლებული და დამონებული იყოს.

ადამიანის განვითარება, ობიექტური სამყაროს შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის მარაგით მისი გონების გამდიდრება, დიდი საკაცობრიო პროგრესი, რისიკენაც დასაბამიდან დღემდე სულ უფრო და უფრო შეუბოვრად მიისწრაფვის მეცნიერება, ხელსაყრელი არაა რელიგიისათვის. ამიტომ, რომ რელიგიური სარწმუნოების მსახურნი მუდამ გამორთვებით ებრძოდნენ და ახლაც ებრძვიან მეცნიერებას.

მეცნიერებისა და საკაცობრიო პროგრესისადმი მტრულ პოლიტიკას მუდამ განსაკუთრებული სიმკაცრით ახორციელებდა და ამჟამადაც ახორციელებს ქრისტიანული სარწმუნოების კათოლიკური მიმართულება, რომლის სამღვდლეობის ზედა ფენა რომის პაპის მეთაურობით თავმოყრილია ვატიკანში*.

ვატიკანელი ჯოჯოხეთისმოციულები, რომლებიც მუდამ მსახურობდნენ ევროპის სახელმწიფოების მმართველი ვაბატონებულ კლასების ინტერესების სასარგებლოდ, თავიდანვე ხედავდნენ, რომ ჭეშმარიტი მეცნიერული აზრის განვითარება მომავლინებელ საფრთხეს წარმოადგენდა რელიგიისათვის. ამიტომ მათ ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს ბრძოლა მეცნიერების წინააღმდეგ.

რელიგიისათვის საძულველ მეცნიერებასთან საბრძოლველად და საერთოდ ადამიანებს შორის გავრცელებული ათეისტური შეხედულებების აღმოსაფხვრელად კათოლიკურ ეკლესიასთან სხვადასხვა დროს სპეციალური დამსჯელი ორგანოებიც კი არსებობდა. სწორედ ასეთი ორგანო იყო ინკვიზიცია (საიდუმლო საეკლესიო გამოძიება და სასამართლო), რომელიც XIII საუკუნეში რომის პაპმა ინოკენტი III დააარსა, და 1454 წელს ესაბნელ ფანატიკოს ლოილას მიერ შექმნილი „იესოს საზოგადოება“ (იესუიტობა), რომელიც 1540 წელს პაპმა პავლე III დაამტკიცა.

ინკვიზიტორები და იესუიტები მოითხოვდნენ კათოლიკური ეკლესიის დოგმებისადმი განუაჯღლ რწმენას. ეკლესიის ყოველად უსაფუძვლო, ზღაბრუ-

ლის კალთებზე XIV საუკუნეში აგებული წინა პეტრეს უზარმაზარი სასახლე, აგრეთვე რამდენიმე აღმინისტრაციული შენობა და ეკლესია მდებარეობს. ეს კათოლიკური-საეკლესიო სახელმწიფოა; მისი ჭეშმარიტდომები, რომელთა საერთო რიცხვი ათასზე ნაკლებია, სასულიერო პირებია. მთელ მსოფლიოში ვატიკანი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც სხვა ქვეყნის საზღვრებს შიგნით, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს. ეს ტერიტორია — ჟ. რომის პატარა უბანი — არ აღემატება 44 ჰექტარს, რომელსაც ირგვლივ აგურის კედლები აქვს შემოკლებული.

მთავლედამ იმისა, რომ ტერიტორიით და მოსახლეობით ვატიკანი ასე პატარაა, იგი ხასიათდება თანამედროვე სახელმწიფოს ყველა ნიშნით. მას ჰყავს თავისი მთავრობა რომის პაპის მეთაურობით, აღმინისტრაციული განიგებს ვენერაბელუბერნატორი; აქვს საზღვაო, რომლის ფონდში ითვლება აზერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების შრეწველობაში დაბანდებული 94 მილიარდი დოლარი. ვატიკანის მცირე ტერიტორიაზე გადის რკინიგზა და არის ვაჭრობები, ავტოდრომი, რადიოსადგური, გამომცემლობა, დეჰმატისა სააგენტო; გამოდის გაზეთი და ჟურნალი. ვატიკანს ჰყავს 200 ჯარისკაციანი არმია 6 ობიერისაგან შემდგარი „აგენტურული შტაბით“, პოლიცია, სადღე 11 კაცი მსახურობს; არსებობს სასამართლო და პრეკურატორია, რომლის განკარგულებაშია საქანოდ ყვითლსამიღო ციხე.

* ვატიკანი მთელი მსოფლიოს კათოლიკური ეკლესიის მეთაურის რომის პაპის რეზიდენციას და სახელმწიფოს ეწოდება რომის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდ. ტიბრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე იმ მაღლობის სახელის მიხედვით, რომ-



ლი დოგმებისადმი რწმენის შესუსტება მათ მიუტევებელ ცოდვად მიჩნდათ და განუყოფილად ანადგურებდნენ ასეთ ადამიანებს, რომელთაც „მწვალებლებს“, ღვთისა და ეკლესიის „შურტაცმყოფელს“, ერეტკოსებს უწოდებდნენ. ერეტკოსებთან ბრძოლის საბაზით რომის პაპები და ბოროტებისაგან გასაფრთხილი მისი ხელქვეითები შეუბრალდებლად ყველგანვე მეცნიერების მოწინავე წარმომადგენლებს, ცეცხლში წვედნენ თავისი დროის გამოჩენილ ადამიანებს.

ვატიკანულ ჯგოფის მოციქულთა მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაულის მარტოებელია ის, რომ მარტო იტალიაში 1550-1560 წლებში ნახევარი საუკუნის განმავლობაში მათ კოცონზე დაწვეს 78 მეცნიერი და მათი ნაშრომებიც უკვლავ განადგურეს. ინკვიზიტორებისაგან ანთებულ ცეცხლში დაიდუბა XIV საუკუნის ცნობილი ასტრონომი ჩეკო დე ასკოლი, რომელმაც ბიბლიური დოგმების წინააღმდეგ განავითარა შეხედულება დედამიწის სფეროებობისა და მის მფორებ მხარეზე ადამიანთა არსებობის შესაძლებლობის შესახებ.

რომის პაპის ჯალათები 1415 წელს ბრეტურად გაუსწორდნენ პრალის უნივერსიტეტის პროფესორს იან პუსს. ამ მეცნიერის „დანაშაული“ ის იყო, რომ მან რომის პაპის მიერ დადგინდა ამხილა. უფრო გვიან რომის პაპის სამსახურში მყოფმა მკვლელებმა ცოცხლად დაწვეს პუსის მიმდევარი იერონიმე ბრალელი, რომელმაც ინდულგენციებით* გაჭრობის წინააღმდეგ გაილაშქრა.

შუა საუკუნეების ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი იყო ჯორდანო ბრუნო, რომელმაც კოპერნიკის სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის საფუძველზე განავითარა აზრი სამყაროს უსასრულობის, მზის მოძრაობის, დედამიწის მოძრაობასთან ერთად მისი ატმოსფეროს მოძრაობის შესახებ და სხვ.

რომის პაპის ხელქვეითებს შეუწინეველი არ დარჩენიათ, რომ ბრუნოს ასეთი მეცნიერული თვალსაზრისი ბიბლიური დოგმების ბირდაბირ საწინააღმდეგო იყო. ამიტომ მათ დაუყოვნებლივ შეიპყრეს და საშინელი ტანჯვა-წამების შემდეგ 1600 წლის 17 თებერვალს ცოცხლად დასწვეს იგი.

ინკვიზიციის სამსხვერპლოზე ჩადენილი ამ სა-

შინელი დანაშაულებრივი აქტის შემდეგ მხოლოდ 19 წელი განვლო და იტალიაში გამოჩნდა მეცნიერი ლიუიჯიო ვანინი, რომელიც უსმირად გაჰყვა კოპერნიკისა და ბრუნოს გზას და დასაბუთებულად გაიმეორა აზრი სამყაროს უსასრულობისა და მუდმივობის შესახებ. ვანინის ასეთი გამბედაობით გააფრთხილდა ინკვიზიტორებმა იგი ჯერ ცხენის კედლე გამოხმული ათრიეს, მერე ენა ამოაღვიჯეს და ცოცხალმკვდარი ცეცხლის ალში გახვიეს.

1632 წელს ინკვიზიტორებმა შეიპყრეს და რომის პაპის სამსჯავროს წინაშე წარადგინეს 70 წლის ასაკში მყოფი ასტრონომი გალილეო გალილეი, რომელიც ოთხ თვეს აწამეს და სასოწარკვეთამდე მიიყვანეს.

მეცნიერებისადმი ვატიკანის მიერ გაწადებული მხეცური ტერორის შემზარავი ფაქტებით დასტურდება ის, რომ კათოლიკური ეკლესია მტრულად განწყობილია საკაცობრიო პროგრესისადმი. ცეცხლში ადუღებდნენ რა თავისი დროის დიდებულ სწავლულთა ტინისა და სისხლს, გაბატონებული კლასების სამსახურში მყოფი რომის პაპი და მისი ხელქვეითები მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდნენ კაცობრიობის წინსვლას, გზას უღობავდნენ საზოგადოების განვითარებას, ლოცვა-კურთხევით ხობტას ასხამდნენ ადამიანთა ჩამორჩენილობას და სიყვანდნენ სიბნელეს, ხელს უწყობდნენ ექსპლათატორთა უმცირესობისადმი მშრომელი მასების მორჩილებას.

ხალხთა მასების ყოველგვარი მოძრაობა, რომელიც მიზართული იყო ძველი, დროშემული და სასიკვდილოდ განწირული საზოგადოებრივი წყობილების მოსპობისაკენ, მტრულ გამოძახილს პოულობდა ვატიკანელი ბნელოეთისმოციქულების მხრივ. რომის პაპის ანაფორიანის ჟანდარმები მუდამ გააფრთხილებდნენ ებრძოდნენ ყოველივე მოწინავეს, რევოლუციურს. ფეოდალიზმის დასაცავად ისინი ჯვრითა და მახვილით ილაშქრებდნენ ახალგაზრდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ხოლო მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმი გაბატონებულ ძალად იქცა, კათოლიკური ეკლესიის მესვეურნი ამ უკანასკნელის სამსახურში ჩადგნენ და მათ სოციალიზმისათვის მებრძოლთა შეჩვენება დაიწყეს.

რომის პაპის მეთაურობით მოქმედი კათოლიკე ღვთისმოციქულები ილაშქრებდნენ მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობისა და თვით უტოპიური სოციალიზმის იდეის წინააღმდეგ. ცნობილი იტალიელი უტოპისტი თომას კამპანელა (1568-1639), რომელმაც უტოპიური სოციალიზმის იდეების პოპულარიზაციისას ათეისტური შეხედულებები განავითარა, დააბატონრეს და რვაჯერ აწამეს, ხოლო შემდეგ 27 წლის განმავლობაში ბორ-

* ინდულგენცია დაბედილი ფურცლები — ცოდვების შესწავლითა და გამოსწავლითა, რომელთაც აუარებელ რაღონობით ამხადებენ ვატიკანში და ჰყიდან კათოლიკურ ეკლესიაში. გულბრყვილო მორწმუნეებს ბატყუბენ, რომ ამ „ღოკუმენტის“ შექმნით თითქოს ისინი განთავისუფლებიან მათ მიერ წინათ ჩადენილი და ატრთვე მომავლში ჩასადენი ცოდვებისაგან და სიკვდილის შემდეგ თავს ამოყოფენ არა ჭოჭონთში, არამედ სამოთხეში.



კილაყური ამყოფეს ზნელ და ნოტიო ჯურღმულეში. XVI საუკუნის გერმანიის გლეხთა მოძრაობის ბელადი თომას მიუნცერს მთელი სისასტიკით ებრძოდა კათოლიკური ეკლესია. კათოლიკური ეკლესიის მღვდლებმა თვითმკვლელობამდე მიიყვანეს XVII საუკუნის უტოპიური სოციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჟან მონიე.

XIX საუკუნეში გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, ფრანგული უტოპიური სოციალიზმისა და ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის საუკეთესო მონაცემების განვითარებით და აგრეთვე მუშათა კლასის რევოლუციური გამოცდილების მეცნიერული განსოვადების საფუძველზე მარქსისა და ენგელსის მოძღვრების წარმოშობამ ეკონომიკური განვითარების საფუძველზე მარქსის შვეიცარიან ჯალაფრებში. ამიტომ შემეხვევიით რიდი იყო, რომ იმ ცენტრის ხელმძღვანელი და სულისჩამდგელი, რომელიც მაშინდელ ევროპაში კომუნისმის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა, რომის პაპი პიუს IX (1846—1878) იყო. ეს ბნელეთისმოციქული აქტიურად თანამშრომლობდა რეაქციის ყველა ჯურის ძალებთან... შეთქმულებას აწყობდა კაბიტალიზმის დასაცავად, ცოფორეული წყევლიდა მუშათა მოძრაობას, დემოკრატის, მეცნიერებს, ხელფრებებს. „თვითიული მთავრობის ვალს, — ამბობდა იგი, — წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველგვარ რევოლუციურ მიზნინარობას“.

სხვადასხვა დროს რომის პაპებმა თავის „წმინდა მოვალეობად“ დასახეს არსებული წესწყობილებების დაცვა, მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობისათვის ბრძოლა. პიუს IX, რომელიც საფრანკეთისა და ავსტრიის ჯარების ხიშტობის ძალის ემყარებოდა, ვაილაშქრა ჯუზეპე გარიბოლის მეთაურობით მოქმედი იტალიელი პატრიოტების წინააღმდეგ. ლეე XIII მიიწოდნა მოეტყუებინა პარიზის კომუნა და ამით ხელი შეუწყო მის დამარცხებას. ბენედიქტი XV დაწყველა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მონაწილეთა შილი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ 14 იმპერიალისტური სახელმწიფოს ლაშქრობათა მომზადებაში. პიუს XI კავშირი შეკრა კაბიტალისტური ევროპის რეაქციის ყველაზე შავნელ ძალებთან და წააქეშა ისინი მუშათა მოძრაობის ჩახშობისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებაში, დაეხმარა მუსოლინი იტალიის ძალაუფლების დაპყრობასა და იტალიელი ხალხის დამონებაში. ვატიკანელებმა გზა გაუაფხეს ჰიტლერს გერმანიის მთავრობისაკენ და გაუაფხილეს ფაშისტებს გერმანული ხალხის დამონება. პაპმა და მისმა კარდინალებმა ლოცვა-კურთხევა შესწირეს ესპანელ ფაშისტებს და მათ მეთაურს — ფრანკოს ესპანელი პატრიოტების წინააღმდეგ ბრძოლაში; მათ გზა დაულოცეს უიარაღ აბისინელების დასაპყრობად წასულ იტალიელ ფაშისტთა დივიზიებს,

ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის, საფრანგეთის და შემდეგ იუგოსლავიის ხალხების დასამონებლად მოლაშქრე ჰიტლერელებს.

პიუს XII, რომელმაც გერმანული ფაშისტების დასხარებით 1939 წელს გარდაცვლილი პიუს XI ადგილი დაიკავა, ყოველნაირად წააქეშა ჰიტლერი და მისი სატელიტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიული ომის მომზადებისა და დაწყებისათვის. ხოლო მის შემდეგ, რაც ფაშისტური გერმანიის ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, კათოლიკური ეკლესიის მღვდლებისა და ბერების მთელი არმიები ფაშისტური დივიზიების კვალდაკვალ დაიძინეს საბჭოთა ქვეყნის საზღვრებისაკენ. მტრისაგან დროებით ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებში ვატიკანის აგენტები საბჭოთა პატრიოტების უწყებობასა და განადგურებაში ეხმარებოდნენ ფაშისტური გესტაპოს ჯალათებს.

ახალი ომის გამჩაღებულთა შეგნობის საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული იმ მონაროპიაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში გაჩაღდა, ვატიკანი და მისი მესვეურები ემხრობიან არა მხოლოდ ომისწყობას, არამედ იმპერიალიზმის იმ ძალებს, რომელთაც საერთაშორისო დაძაბულობის შეწელება თავიანთ უზედურებად მიიჩნიათ და მიზნად აქვთ დასახული მესამეჯერ მოაწყონ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა.

კათოლიკური ეკლესიის ისტორია მოწმობს, რომ ომები ყოველთვის ხელსაყრელი იყო ვატიკანისათვის. რომის პაპებს არ შეიძლებოდა არ დაენახათ, რომ ომები იწყებდა კულტურის ნგრევას, აფერხებდა საზოგადოების განვითარებას, ხელს უშლიდა პროგრესს და ჩამორჩენილობის მდგომარეობაში ტოვებდა ადამიანს, რაც თავის მხრივ სათანადო ნიღადაც ქმნიდა ღვთისმორწმუნეობისათვის. ამით აიხსნება, რომ კათოლიკური ეკლესიის მესვეურები ყოველთვის დიდი ხალხის ემხარებოდნენ გაბატონებულ ექსპლოატატორულ უმცირესობათა აგრესიულ განწყობილებებს და გავაცივებით ერეებოდნენ ხალხებს ომებისაკენ. ასრულებდა რა ევროპის სახელმწიფოთა იმ მმართველ კლასებს და ევროპას, რომელთაც ახალი მიწების დაპყრობა აინტერესებდათ, პაპმა ურბინ II 1095 წელს უშუალო მონაწილეობა მიიღო კვარონისული ომების დაწყებაში. პაპებისა და მათი კარდინალების უწყვეტობა ევროპის ქვეყნების სხვადასხვა დროის აგრესორებმა უკანასკნელი 8 საუკუნის მანძილზე 73-ჯერ გააჩაღეს ომი.

ომების გაჩაღების თავის ნაცად მეთოდებს იყენებენ ვატიკანელები ამჟამადაც, როცა ისინი მჭიდროდ დაეკავშირებული არიან მონაროპოლისტური კაბიტალიზმის ყველაზე რეაქციულ წრეებთან.

იმპერიალიზმისათვის საამებელი მესამე მსოფლიო ომის მომზადებისათვის ამუშავებს რომის პაპი



ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში აკრედიტებულ თავის ოფიციალურ წარმომადგენლებს, აგრეთვე ცალკეული ქვეყნების კათოლიკური ეკლესიების სათავეში მყოფ 70-ზე მეტ კარდინალს, 1000-მდე არქიეპისკოპოსს და ეპისკოპოსს, რომელნიც მიწოდებულა უსიტყვოდ დაუპირონ მხარი ამერიკელი ექსპანსიონისტების მიერ დასახულ ანტიხალხურ ღონისძიებებს. პაპი და აგრეთვე მასზე დაქვემდებარებული კარდინალები სასტიკად უჭიშაღები ცალკეული ეკლესიების პროგრესულად განწყობილ მღვდლებს—მონაწილეობა მიიღონ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ღონისძიებათა გატარებაში. თავის დროზე პაპის ხელქვეითება ქება შეასხეს ჩრდილო ატლანტიკის პაქტს და აგრეთვე რეაქციონერების მიერ მსოფლიოს სხვა უბნებზე შეკოწიწებულ ნაშედრო ბლოკებს. ამასთან ვატიკანი თავის მხრივაც მოითხოვს ისეთი საომარი კავშირ-გაყრდნობების შექმნას, როგორც, მაგალითად, შეიძლება იქნეს „ერთიანი რელიგიური ფრონტი“, „კათოლიკურ სახელმწიფოთა ბლოკი“, „ქრისტიანული ფრონტი“, „ერთიანი ეკლესიური ფრონტი“ და სხვ.


იმპერიალისტური რეაქციის შავ ძალებთან ხელიხელ ჩაკიდებული იღწვიან რა სოციალიზმის ბანაკის წინააღმდეგ ომისათვის, ვატიკანელები იწონებენ სსრ კავშირის სამტროდ მიმართულ „ცივი ომის“ განგრძობის პოლიტიკას, მხარს უჭერენ ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის გამოყენებას და ხელს უწყობენ სამხედრო ფაშისტური ორგანიზაციების აღდგენას დასავლეთ გერმანიაში. მეცნიერებისა და პროგრესის წინააღმდეგ ვატიკანის ბრძოლა როდი ამოიწურება სწავლული ადამიანების ღვინა-შვიფროებით, ხალხთა განმთავისუფლებელი-რევოლუციური მოძრაობისადმი წინააღმდეგობით და საკაცობრიო კულტურის მომსპობით ომებისაყენ მისწრაფებით. ვატიკანის მესვეურებში „ქრისტეს მიწიერი მოადგილის“ რომის პაპის მეთაურობით ამ მხრივ სხვა ღონისძიებასაც ახორციელებენ. დარწმუნებული არიან რა იმაში, რომ მეცნიერული აზრის ტრიუმფალურ წინსვლას ვერავითარი საშუალებით ვერ შეაჩერებენ, კათოლიკური ეკლესიის მესვეურები, ისევე როგორც ყველა ჯერის რელიგიის მსახურნი, ახლა ამჯობინებენ შეცვალონ მეცნიერების წინააღმდეგ ბრძოლის ძველი მეთოდები. ამჟამად ისინი პირდაპირ როდი ესმებიან თავს მეცნიერებას, არამედ ცდილობენ შეაგონონ, შეათვისონ მეცნიერება რელიგიისთან, გააუფხვრელყონ მეცნიერება რელიგიის მიმართ. ამ მზაკრული მიზნით ვატიკანში „მეცნიერებათა“ აკადემიაც კი არ-

სებობს. ამას გარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილია კათოლიკური უნივერსიტეტი. „მეცნიერული“ მუშაობა, რასაც ამ დაწესებულებებში ღვთისმეტყველების მრავალი კათოლიკე პროფესორი ეწევა, მიმართულია იქითკენ, რომ ნამდვილი მეცნიერების ყველა დიდი მონაპოვარი და თვითონ მეცნიერების არსებობა ღვთისწყალობად აღიაროს. „ღმერთის უნდა ვუმადლოდეთ ყველგან“, — ცხადდება ვატიკანელი „მეცნიერები“, — ის აძლევს ადამიანს ცოდნას და ბუნების ძალებზე გამარჯვების ძალას. მის გარეშე ყოველივე იქნებოდა არარაობა“.

ამჟამად ვატიკანელები წინანდებულად ვეღარ ილაშქრებენ მეცნიერების დიდ აღმოჩენათა წინააღმდეგ, ისინი ვერ უარყოფენ სამყაროს შესახებ ადამიანის მეცნიერული ცოდნის სისწორეს, ეთანხმებიან იმას, რომ თავისი ღვრძის გარშემო მბრუნავი სფეროული მოყვანილობის დედამიწა განუწყვეტელი ბრუნავს მზის გარშემო. მაგრამ ღვთისმეტყველებს კათოლიკე პროფესორებს მიაჩნიათ, რომ ციურ სხეულთა შეუჩერებელი მოძრაობისა და ცვლილებების მიუღი ეს დიადი პროცესი ღმერთის შემწევობით ხორციელდება, რომ მიზიდულობის ის ძალა, რომელიც მზესა და მის გარშემო მოძარვ ბლანეტებს გააჩნიათ და რომლის მეოხებითაც ისინი ურთიერთმოქმედებენ, „ღვთისმიერი ძალაა“, მისი ნაწყალობეა. კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს ახლა დასაშვებად მიაჩნიათ ისეთი მეცნიერული აღმოჩენები, როგორიცაა ატომის ბირთვის დაშლა და მის შედეგად ატომის ენერჯის გამოყოფა, მაგრამ თომა აქციენტის სახელობის ვატიკანის „მეცნიერებათა“ აკადემიის წევრები ამტკიცებენ, რომ ატომის ენერჯიაც ღვთის წყალობით არის მოგონებულ. ამგვარად ვატიკანელი მღვდლები და ბერები რომის პაპის მეთაურობით, ისევე როგორც დიელისტი ფილოსოფოსები, დაქინებით ცდილობენ რელიგიურ საოსილში აგზავნონ მეცნიერება, მოხსნან რელიგიისადმი მისი დაბირისპირება, ღვთისწყალობად გამოაცხადონ მეცნიერების ყოველი მონაპოვარი, დამაცირონ და არარსებულ ღმერთებზე დაბლა დააყენონ იგი.

მაგრამ ახლა, როდესაც მსოფლიოს მილიონობით ადამიანთა გონება განათლებულია ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების სწორი ცოდნით, ვატიკანელ ბნელეთისმოციქულთა მისტიკურ-რელიგიურ ქადაგებას გასაჯალიად აღ' აქის და მას უკვე ადარ ძალუქს შეაფერხოს მეცნიერების მუშაობა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის.





ნახ. 2.

სექციისაგან შედგება. ზემოთა მოსახვევების მარჯვენა ნიშნულია, შუა ირთვება დამუხრუჭებისას, ქვემოთ კი უკანა გაბარტიის მარჯვენა ნიშნულია. ამ მამუქების ზემოთ დაყენება იმითაა ხელსაყრელი, რომ მისი დახნა უკეთ ხდება, ხოლო, მეორე მხრივ, ცუდ ამინდში მოძრაობისას ნაკლებად ისვრება. ხმაურის შემცირების მიზნით ძარა შიგნითა მხრიდან დაფარულია ფისოვანი ნივთიერებით, რომელიც აგრეთვე ლითონის იცავს კოროზიისაგან.

ავტომობილი აღჭურვილია ოთხბაქტიანი, ოთხცილინდრიანი, კარბურატორიანი ძრავით. მისი სიმძლავრე 35 ცქ ტოლია, რაც ძირითადად წინა მოდელის ძრავასთან შედარებით ცილინდრის დიამეტრისა და კუმშვის ხარისხის გაზრდილობა მიღწეული. ძრავაში შეწოვილი ჰაერის გასუფთავებისათვის დაყენებულია ინერციული ტიპის ჰაერმწმენდი ზეთის აბაზანით. იმისათვის, რომ გაკრიღების სისტემაში წყლის დამატება ორთქლის გამოყოფის გამო ხშირად არ მოგვიხდეს (რაც ზრდის სისტემაში ნალექის გამოყოფას და აუარესებს ძრავას გაგრილებას), სისტემა გაკრიღოდან იზოლირებულია. ამით გამოყოფილ ორთქლს ატმოსფეროში გასვლის საშუალება არ აქვს და მისი კონდენსაცია მოხდება რადიატორის ზედა აგზში. გაკრიღების სისტემის საცობს ორი სარქველი აქვს. ერთი იცავს სისტემას ჰაერში წნევისაგან, ხოლო მეორე — ვაკუუმისაგან. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს სისტემის დაზიანების საფრთხეს.


მარბუნებელი მომენტი გადაცემათა კოლოფს ერთდისკოიანი გადაბმულობით გადაეცემა. ამყოდისკოში გათვალისწინებულია ტრანსმისიისაში აღძრული გრუხვითი რხევების ჩამქრობი მოწყობილობა. გადაბმულობის ქუროს დამატებული აქვს სავენტილაციო ხვრელები უკეთ გაკრიღებულათვის. გადაცემათა კოლოფის მეორე და მესამე კბილანგზე სინქრონიზატორებია დაყენებული კბილანგების უხმაურო ჩართვისათვის. წინა ხიდი ორიგინალური კონსტრუქციისაა; მისი სატაკი ჩვეულებრივ ტაბიკის ირგვლივ არ ბრუნავს; მას ტაბიკი სრულიად არ აქვს, მის მაკვირობას ეწევა ორი სახარტი.

ამრიგად, ავტომობილ „მოსკვირის“ ახალი მოდელი მცირელიტრაჟიანი ავტომობილების განვითარების მორიგ მაღალ საფეხურს წარმოადგენს. კონსტრუქტორებისა და არქიტექტორების მიღწევა ლამაზი ფორმის მცირელიტრაჟიანი ავტომობილის შემქნაში უღაოა.

პირველი სავარძლის წინ ადგილის განთავსებულების მიზნით გადაცემათა კოლოფის ბერკეტი მიმარბებულია საჭეზე, ხოლო მუხრუჭის ბერკეტი — ხელსაწყოების დაფის ქვეშ. სავარძლები ისეა განლაგებული, რომ ავტომობილის სიდაბლის მიუხედავად მგზავრი თავისუფლად წის. საჭიროების მიხედვით შესაძლებელია პირველი სავარძლის საზურგის გადაწევა, რაც მოხერხებულ საწოლს ქმნის ძარაში. წინა მინის მექანიკურ მწმენდს აქვს მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც გამორთვის შემთხვევაში საწმენდები ავტომატურად უბრუნდება საწყის მდგომარეობას მიუხედავად იმისა, თუ რომელ მდგომარეობაში მოგახდინეთ გამორთვა. ძარას, რომლის გათბობა ხდება ძრავას გამაგრილებელი წყლით, აქვს სპეციალური მოწყობილობა წინა მინის შესათბობად. ეს აუცილებელია ცივ ამინდში მოძრაობისას. უკანა დიდი მინისა და სპეციალური სარკის მეშვეობით მძღოლი საკმაოდ დიდ არეს ხედავს უკან. საბარკო განყოფილება (ნახ. 2) გარედან იღება, ხოლო საეკტი კი ძარაშია მოთავსებული.

ძარას ვენტილაცია მინებისა და შემთბობი სისტემიდან ხორციელდება. საბარკო განყოფილების ქვემოთ მოთავსებულია საწვავის აგზი. საწვავის ჩასასხმელ ყელს აქვს სპეციალური გარემა, რომელიც ძარას ბენზინის ორთქლისაგან იცავს. უკანა ნომერი ძარასთან ზამბარებითაა დამარბებული, რადგან მის ქვეშ მოთავსებულია ბენზინის აგზის ყელი. ნომერის აწევა შესაძლებელი ხდება საბარკო განყოფილების სახურავის ახდის შემდგ.

უკანა ფრთების ზედა ნაწილში მოთავსებულია სასიგნალო მამუქები, რომელთაგან თითოეული 3





პრეზიუმში

ზ. ზინცილოზი

გეორგიის მეცნიერებათა კანდიდატი

არქტიკის ათვისების ისტორია საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ისტორიის შესანიშნავი ფურცელია. ეს ისტორია, და საერთოდ არქტიკის ათვისება, განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის სასაზღვაო გზის გავლევასთან. ამ გზის უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ შეგნებული ჯერ კიდევ რუსეთის სახელმწიფოს პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებს, ცალკეულ ზღვათმთავურებს. და ეს საესეებით გასაგებია. ეს გზა ერთმანეთთან დააკავშირებდა ატლანტიკა და წყნარ ოკეანეებსა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ციმბირის შორეულ შიდა რაიონებს ზღვაში გასასვლელს მისცემდა. ამ რაიონებს მოკლე გზით და წყლის იაფი ტრანსპორტის გამოყენებით სამრეწველო ცენტრთან დაკავშირების საშუალება ექნებოდათ.

ჩრდილოეთის სასაზღვაო გზის გავლევა, რაზეც დიდად ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, შესაძლებელი გახდა ჩვენს ეპოქაში.

1932 წელს ყინულმჭრელმა „სიზირიაკოვმა“ ერთი ნავიგაციის პერიოდში გაიარა ჩრდილოეთის გზის ტრასა ამხანაგელსკიდან ვლადივოსტოკამდე. ეს იყო მამაცი საბჭოთა ზღვათმთავურების, საბჭოთა სასაზღვაო ფლოტის უდიდესი გამარჯვება, რამდენადაც ეს გზა დროის ასეთ მოწყვეტეში არც ერთ სხვა ექსპედიციას არ ჰქონდა გავლილი. იმავე წელს ჩამოყალიბდა ჩრდილოეთის სასაზღვაო გზის მთავარი სამმართველო, რომელსაც დაექვემდებარა არქტიკის ყველმხრივი გამოკვლევა.

ვარი სამმართველო, რომელსაც დაექვემდებარა ამ გზისა და საერთოდ არქტიკის ყველმხრივი გამოკვლევა.

საბჭოთა ადამიანების თავდადებისა და გმირობის მეოხებით ჩრდილოეთის სასაზღვაო გზა ხალხის სამსახურში ჩაღდა. ამ მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ დღის წესრიგში დადგა არქტიკის ცენტრალური რაიონების გასოკვლევა, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელებთან იყო დაკავშირებული.

ცენტრალური არქტიკა მარადი თოვლითა და ყინულებითაა დაფარული. იგი, როგორც ვეებერთელა მაცივარი, დიდ გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნისა და საერთოდ ჩრდილო ნახევარსფეროს კლიმატურ პირობებზე. ამ გავლენის გარკვევის, ყინულების დრეიფის კანონების, აისბერგების წარმოშობის, ოკეანის სიღრმეების განსაზღვრის და სხვა საკითხების გასაშუქებლად წამოიჭრა აზრი არქტიკის ცენტრალურ ნაწილში სამეცნიერო ბაზების ორგანიზაციის შესახებ.


1937 წლის მაისში საპაერო ექსპედიციამ, რომელსაც აკადემიკოსი თ. შმიდტი ხელმძღვანელობდა, ჩრდილო პოლუსის რაიონში გადმოსხა მსოფლიოში პირველი მოდრეივე სამეცნიერო სადგურის — „ჩრდილო პოლუსის“ შემადგენლობა. ამ სადგურმა შემდეგში, მიიღო „ჩრდილო პოლუსი-1“ სახელწოდება. პირველმა მოდრეივე სამეცნიერო სადგურმა, რომელსაც პაპანინი ხელმძღვანელობდა,

274 დღის განმავლობაში დრეიფით გაიარა 2600 კმ მეტი. მან შეკრიბა მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რამაც არსებითად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა არქტიკის ბუნებრივი პირობების შესახებ.

პაპანიწელების გამოკვლევები ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა არქტიკის აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო ყინულმჭრელი გემის „გ. სელოვის“ ლევიტარული დრეიფი. ეს დრეიფი ინტერესს იწვევს ორი მხრივ: ჯერ ერთი, მან გააგრძელა დაკვირვებანი, რომელსაც პაპანიწელები აწარმოებდნენ, და, მეორე — ეს დაკვირვებები წარმოებდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ყინულმჭრელმა „გ. სელოვმა“ დრეიფში გაატარა 812 დღე (1937-40 წწ.), გაიარა 3500 კმ მეტი და შეკრიბა უმდიდრესი მასალა. სელოვლები დაკვირვებებს ახდენდნენ დედაშიწის მავანტისზმზე, მეტეოროლოგიურ პროცესებზე, ყინულების დრეიფზე, ზღვის სიღრმეებზე, დინებებზე და სხვ.

ყინულმჭრელი „გ. სელოვი“ წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამეცნიერო ბაზას. მან დიდი როლი შეასრულა არქტიკის ბუნების პირობების შესწავლაში.

1940 წლიდან ცენტრალური არქტიკის მხელად მისაწვდომი რაიონების გამოკვლევა დაიწყო ცალკეულმა საპაერო ექსპედიციებმა. მათგან განსაკუთრებით სა-



სადგურების დრეფის რუკა

ყურადღებოა მამაცი ბოლარელი მფრინავის ი. ი. ჩერევიჩის გამოკვლევანი.

საგამოკვლევო მუშაობანი არქტიკაში დროებით შეაფერხა სამაბულო ომმა. ომის დამთავრების შემდეგ კი იგი უფრო ფართო მასშტაბით გაიშალა. ომის შემდგომში გამოკვლევანი გამოირჩევა დაკვირვებათა ვადის ხანგრძლიობით და მრავალმხრიობით.

1950 წლის გაზაფხულზე „მისუფლიმლობის ბოლუსის“ ყინულეში მუშაობა დაიწყო მოდრეიფე სამეცნიერო სადგურმა — „ჩრდილო ბოლუსი-2“. სადგურის უფროსად დანიშნულ იქნა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი მ. მ. სომოვი. ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 16 მეცნიერი მუშაკი, მკაცრ კლიმატურ პირობებში აწარმოებდა ოკეანოგრაფიულ, ჰიდროლოგიურ, მეტეოროლოგიურ, გეოფიზიკურ და სხვა გამოკვლევებს. მ. მ. სომოვის ექსპედიციამ, რომელიც 376 დღე გაგრძელდა, გააღრმავა ჩვენი ცოდნა არქტიკის ბუნების თავისებურებათა შესახებ.

არქტიკული გამოკვლევები კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს 1954 წლიდან. ამ წელს არქტიკის სრულიად გამოკვლევად რაიონებში ერთდროულად მოწყობილ იქნა მოდრეიფე სამეცნიერო სადგურები — „ჩრდი-


ლო ბოლუსი-3“ და „ჩრდილო ბოლუსი-4“. ამ სადგურების უფროსებად დანიშნულ იქნენ მამაცი ბოლარელები: ა. ფ. ტრეშნიკოვი და ე. ი. ტოლსტიკოვი. ექსპედიციები აწარმოებდნენ მრავალფეროვან სამეცნიერო დაკვირვებებს: მათ შორის ოკეანის სიღრმეების გაზომვას და ფსკერის რელიეფის შესწავლას, გეომაგნიტურ დაკვირვებებსა და ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების გარკვევას, დაკვირვებებს ყინულების ტემპერატურულ რეჟიმზე, მზის რადიაციის პირობებზე და სხვ. 1955 წლის აპრილიდან არქტიკის გამოკვლევულ ადგილებში სამეცნიერო დაკვირვებებს აწარმოებს მოდრეიფე სადგური „ჩრდილო ბოლუსი-5“. ამ ექსპედიციების მნიშვნელოვან მიღწევათა რიცხვში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საიმედო ცნობების შეკრება წყალქვეშა ქედზე, რომელიც ახალი ციმბირის კბხსა და კ. გრენლანდიის შორისაა გაკიშული.

საბჭოთა არქტიკული გამოკვლევები მნიშვნელოვანი წარმატებით მიმდინარეობს. ამ წარმატებათა საწინდარი ისაა, რომ მასში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, გამოჩენილი მეცნიერები, მიეღი საბჭოთა ხალხი.

იმ შედეგებს შორის, რომლებიც არქტიკაში იქნა მოპოვებული საბჭოთა მეცნიერების მიერ, აღსანიშნავია შემდეგი:

უკანასკნელი დროის საბჭოთა გამოკვლევებამდე ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ცენტრალურ ნაწილს განიხილავდნენ 4000—5000 მ სიღრმის ერთიან ვრცელ აუზად. ოკეანის სიღრმეების პირველი გაზომვები ჩატარებულ იქნა „ფრაპის“, ხოლო შემდეგ პაპანინელებისა და „გ. სედოვის“ დრეიფების დროს. სედოველებმა ოკეანის 40-მდე პუნქტში აღრიცხეს 3000 მ სიღრმეები; მათვე აღმოაჩინეს ამ ოკეანის დღემდე ყველაზე ღრმა ადგილი, რომელიც 5220 მ შეადგენს.

ამჟამად, როცა ცენტრალურ არქტიკაში ყინულოვანი ოკეანის ფსკერი უფრო დეტალურად არის შესწავლილი, აღმოჩნდა, რომ აქ საქმე გვაქვს აუზის ცალკეული ღრმა ადგილებისა და არა ერთი მთლიანი ღრმა აუზის განვითარებისთან. შედგა ყინულოვანი ოკეანის ბათიმეტრული ახალი რუკა. ოკეანის ყველაზე დაბალი ადგილი 954 მ აღწევს. ეს რუკა უზუსტდება ყოველწლიურად. როგორც გამოირკვა, ყინულოვანი ოკეანის ფსკერი ძალზე უსწორმასწორო რელიეფით ხასი-



აეროლოგები უშვებენ მორიგ რადიონონდს (სადგური „ჩრდილო ბოლუსი-8“)

ათღება. აქ წარმოდგენილია საკმაოდ მძლავრი მთათა სისტემები, ცალკეული ამაღლებანი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1800 კმ სიგრძის წყალქვეშა ქედი, რომელიც ახალი ციმბირის კბიდან კ. გრენლანდიასა და კ. ელსმირს შორისაა გაჭიმული. ეს ქედი ერთბაშად როდი აღმოაჩინეს. 1948 წელს აერომაგნიტური გამოკვლევების შემდეგ არქტიკის ცენტრალური ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელმა გ. ტოკარევმა გამოთქვა აზრი ახალი ციმბირის კონტინენტის რაიონში ვეებერთელა წყალქვეშა ამაღლების არსებობაზე, რომელიც მან ვერხოიანსკის მთების წყალქვეშა გაგრძელებად მიიჩნია. ამ მიმართულებით ჩატარდა სპეციალური დაკვირვებები, რის შემდეგ გამოირკვა, რომ ახალი ციმბირის კონტინენტთან საქმე გვაქვს ფსკერის არა განცალკევებულ მაღლობთან, არამედ ვეებერთელა წყალქვეშა ქედის ერთ-ერთ დაბოლოებასთან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მ. გ. ლომონოსოვი ჯერ კიდევ ადრე წინასწარმეტყველებდა ყინულოვანი ოკეანის ფსკერის ქალზე უსწორმასწორო ხასიათს, მასზე ცალკეული მთების არსებობას. მისი ეს შეხედულება გამართლდა. საბჭოთა კავშირის მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ახლად აღმოჩენილ ჩედს მ. გ. ლომონოსოვის სახელი ეწოდა. ლომონოსოვის ქედი დაახლოებით ურალის ქედის სიგრძისაა. იგი ოკეანის ძირიდან მაღლდება 3300 მეტრამდე. ამჟამად უკვე მიზნობრივად ქედის „თხემური“ ნაწილის, „გადასასვლელების“, „მწვერალების“ და სხვ. ვარკვევამ ახლა წარმოებეს ქედის ცალკეული მონაკვეთების დეტალური გამოკვლევა. შესწავლას მიითხოვს ქედის გეოლოგიური აღნაგობა, წარმოშობის პირობები.

როგორც ირკვევა, ლომონოსოვის ქედის გარდა ოკეანის ფსკერზე სხვა ქედებაცაა წარმოდგენილი. ლომონოსოვის ქედის აღმოჩენა უკანასკნელი დროის არქტიკული



მკვლევარები ზომავენ ყინულების ხისქებს

გამოკვლევების მნიშვნელოვან მიღწევად უნდა იქნეს მიჩნეული ლომონოსოვის ქედი ორ ნაწილად ჰყოფს ყინულოვანი ოკეანის აუზს და განსაზღვრავს ამ აუზების ცხოველურ სამყაროს, წყლის ტიპიზმის, დინებებისა და სხვ. განსხვავებულ ხასიათს. ქედის დასავლეთით მდებარე აუზზე დიდ გავლენას ახდენს გოლფსტრიმის დენება. ამ დინების მძლავრი ნაკადების შემოჭრა აიბრუნებს არქტიკაში ჰაერის თბილი მასების წარმოქმნას. უკანასკნელ წლებში დადასტურდა არქტიკის ცენტრალურ ნაწილში ატლანტის ოკეანის თბილი წყლების საყოველთაო გავრცელება. ამ წყლების თბილი ფენა აღმოჩენილ იქნა არქტიკული ცივი წყლის ფენების ქვეშ. სხვაგვარი სურათი შეინიშნება ქედის აღმოსავლეთით მდებარე ოკეანის ნაწილზე, სადაც ბერინგის სრუტით სისტემატურად ხდება წყნარი ოკეანის ცივი წყლების მძლავრი ნაკადების შემოჭრა.

არქტიკაში უკანასკნელ დრომდე მიიჩნევდნენ მთელი წლის განმავლობაში ატმოსფეროს მაღალი წნევის არეს და ამასთან დაკავშირებით მდგრადი ანტიციკლონური ამინდის გაბატონებას. ჯერ კიდევ ბაბანინის, ხოლო შემდეგ მომდევნო ექსპედიციების გამოკვლევებმა ამგვარი შეხედულებანი უარყო.

მატიკიცებულ იქნა, რომ ჩრდილო პოლუსის რაიონში ადგილი აქვს თბილი ჰაერის მასების შემოჭრას წყნარი ოკეანიდან და საერთოდ ამინდის ხშირ ცვლას. ატმოსფეროს მაღალი ფენების შესასწავლად ჰაერში აშვებულ იქნა 3000-მდე რადიოზონდი და მფრინავი მუხტი, ჩატარებულ იქნა 2000 მეტი დაკვირვება მზის რადიაციაზე. უახლესი მეტეოროლოგიური მონაცემები ამინდის უფრო უსუსტი პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვან მიღწევებს შორის, რაც საბჭოთა მეცნიერებმა არქტიკის კვლევაში მოიპოვეს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კარტოგრაფიული ავეჯვითი სა-მუშაოების ჩატარება. ამ მუშაოების შედეგად გამოირკვა რრგი კუნძულებისა და ნახევარკუნძულების, აგრეთვე სხვა ტერიტორიების არასწორი მოხაზულობა და მდებარეობა ძველ რუკებზე. ამგვარი გამოკვლევების შედეგად ტიამირის ნახევარკუნძულის, ფრანც-იოსების მიწის, ჩრდილო ციმბირის და ახალი ციმბირის კონტინენტის კონფიგურაცია შეიცვალა. უფრო მეტიც, აღმოჩენილ იქნა რიგი ახალი კუნძულები ჩრდილო მიწის, კიროვის კუნძულისა და სხვ. რაიონებში. კარტოგრაფების თავდადებულ შრომის შედეგად ამჟამად ჩვენ



ქვეყანას გააჩნია არქტიკის ზუსტი გეოგრაფიული რუკები.

უკანასკნელ გამოკვლევამდე ფიქრობდნენ, თითქოს ცენტრალური არქტიკის ყინულის საფარი წარმოადგენდეს მრავალწლიანი ყინულების დაგროვების ერთიან მძლავრ მასივს. უკანასკნელი დაკვირვებებით, სხვათა დიდი როლი შესრულა ცალკეულმა საპაერო ექსპედიციების დაწვრთვითმა საშუალებამ, აღდგენილ იქნა, რომ ცენტრალური არქტიკის რაიონში საქმე გვაქვს განსხვავებული სიმძლავრისა და ასაკის ყინულების გროვებთან. ცენტრალურ არქტიკაში ყინულების ზრდა ორი გზით მიმდინარეობს: ზედაპირიდან — თოვლის ახალ-ახალი მასების გაყინვით და ქვემოდან — წყლის მასების თანდათანობით გაყინვით. არქტიკის ცენტრში ყინულების ზრდა აღემატება მის მოღონობას. მიღებულ იქნა საინტერესო ცნობები ყინულების დრეიფის შესახებ. როგორც გამოიჩინა, ყინულები ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის აღმ. ნაწილში მოძრაობენ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, ხოლო ოკეანის დასავლეთ ნაწილში — საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგეთადაა. ყინულები ამგვარ დრეიფში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოკეანის ფსკერის რელიეფისა და დინებების მიმართულების ხასიათით.

საყოველთაო ინტერესი გამოიწვია ე. წ. „ქროზაბი“ კუნძულების სიადგილეობის ახსნამ. მნიშვნელოვანი სიდიდის კუნძულებს, რომელთა ფართობი რამდენიმე ასეულ კვადრატულ კილომეტრს აღწევდა, ხშირად ვეღარ პოულობდნენ, ანდა ნახულობდნენ აღმოჩენის ადგილიდან საკმაოდ მოშორებით. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, სანიკოვის, მაკაროვის, ანდრეევის და სხვა კუნძულებს.

როგორც საბჭოთა მეცნიერებმა დამაბტყვეს, ე. წ. „ქროზაბი კ-ბი“ — ესაა ვეებერთელა „ყინულოვანი კ-ბი“ ანდა უზარმაზარი აისბერ-

გები, რომლებიც სისტემატურ მოძრაობას განიცდის. საბჭოთა მფრინავებმა ი. მაზურუკმა, ე. პეროვმა, ი. კოტოვმა და სხვებმა ბუერი ასეთი „კუნძული“ აღმოაჩინეს.


ბუერი საინტერესო ცნობა შეძინა მეცნიერებს მაგნიტურმა დაკვირვებებმა. ახალი გამოკვლევებით არქტიკაში დადგენილ იქნა უძლიერესი მაგნიტური ანომალია, რომელიც ვიწრო ზოლის სახით ვრცელდება ლომონოსოვის ქედის თანხვედრილად. ეს თანხვევა, როგორც მეცნიერებმა ახსნეს, შემთხვევითი არ არის. ეჭვს ნაკლებად იწვევს, რომ მაგნიტურ ანომალიას აქ იწვევს იმ ქანთა მაგნიტური თვისებები, რომლებიც ლომონოსოვის ქედს აკევენ. გამოკვლევებულ იქნა, რომ ჩრდილო პოლუსის რაიონი ხასიათდება მაღალი მაგნიტური აქტივობით. მაგნიტური დაკვირვებების შედეგად შედგენილ იქნა საინტერესო მაგნიტური რუკები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მაღალ განკლებად ფრენის დროს გამოყენებულ იქნეს მაგნიტური კომპასის, რასაც უადრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა მეცნიერების უახლესმა არქტიკულმა გამოკვლევებმა მეცნიერებმა გაამდიდრა სარწმუნო მასალებით.

მიმდინარე წლის 30 მარტს, ლენინგრადის აეროდრომიდან არქტიკაში გაფრინდა ახალი მოდრეიფე სამეცნიერო სადგურის „ჩრდილო პოლუსი-6“ შემადგენლობა. ექსპედიციის უფროსად დანიშნულია გეოგრაფის მეცნიერებთა კანდიდატი კ. ა. სიჩევი. ახალი მოდრეიფე სადგურის შეიქმნა „მიუწვდომლობის პოლუსის“ რაიონში ჩრდილო განედის 80 გრადუსსა და აღმოსავლეთ გრძედის 180 გრადუსზე. ექსპედიცია, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, შეისწავლის აღმოსავლეთ ციმბირისა და ჩუკოტკის ზღვებში ნაოსნობისა და ყინულების დრეიფის პირობებს.


მოკვივის რენტგენის ქარხანამ დაამზადა „კოხალტის ზარბაზნი“ — გამაპარტი, რომლის დანიშნულებაცაა მნიშვნელოვანების სინქსის ლითონთა გაშუქება. რადიქტიური კოხალტის გამოყენება

გამა გამოხსნების წყაროდ ნებისმიერი ფორმის ლითონური ნაჭურბლის გაშუქებისათვის საშუალებას იძლევა იოლად წაფიქვით ძვირადღირებული რენტგენული დანადგარის გარეშე.



სურათი 5: „კოხალტის ზარბაზნი“ — ГИИ-СО 0,5 — ტიპის გამაპარტი.

ბარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაღალკლასიანი ლაბორატორიაში დადგენილია საცდელი კაპალი ტრანსფორმატორებისა მილიონ ვოლტზე. აბ



დანადგარზე ელექტროტექნიკის ფაქულტეტის მიქსიერები ჩაატარებენ იმ მოვლენების გამოკვლევებს, რომლებიც დაკავშირებულია შორ მანძილზე მაღალი ძაბვის ელექტროენერჯის გადაცემასთან. სურათი 6: ტრანსფორმატორების საცდელი კაპალი 1000000 ვოლტზე.

8000 კილომეტრი



ა. ლეკიუზილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

1947 წლის აპრილის ერთ დღეს პერუს ნავსადგურ კალიაოში დიდაქალ ხალხს მოეყარა თავი. მათი ყურადღება უჩვეულო სანახაობას მიეპყრო: ნავსადგურიდან ოკეანეში გასვლას აპირებდა უცნაური შესახედაობის... ტივი. ის შეკრული იყო ბალსის ვეებერთელა მორებისაგან, რომლებზეც დაგებული იყო ბამბუკის ერთი. ტივის შუაგულში ბანანის ფოთლებით გაღარბული ბამბუკის პატარა ქოხი იდგა და ხის ორი აფრიანი ანძა იყო აღმართული; კიჩოზე გრძელი საკის ნიჩაბი გაემყარებინათ. აფრავე მსხვილი ასოებით ეწერა „კონ-ტიკი“. ტივის სიგრძე 14 მეტრს აღწევდა. მისი ეკიპაჟი ექვსი კაცისაგან შედგებოდა. ხუთი მათგანი ნორვეგიული იყო, მეექვსე — შვედი; ისინი რომელიმე ექსცენტრიული რეჟორდინ დაყარების მსურველი მაორტსმენები როდი იყვნენ, ანდა თავანში საზღვაოსნო ფათერაკის თანზეხელადებული მაიბებლნი. ეს იყო სა-

მეცნიერო-ექსპერიმენტული ექსპედიცია, რომლის მიზანს პოლინეზიის შორეულ კუნძულებამდე მიღწევა წარმოადგენდა.

მაგრამ რაღა მიანცდამანც ამ უცნაური „ხომალდი“ აპირებდნენ ისინი წყნარ ოკეანეში ათასეული კილომეტრების გადაცურვას? ნავსადგურში ხომ არა ერთი და ორი სოკიანი გემი იდგა, რომელიც უმოკლეს დროში უცნებლად მიიყვანდა მათ პოლინეზიის კუნძულებზე...

ცენტრალური წყნარი ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეში (უმთავრესად ეკვატორის სამხრეთით) გაუანტულია მრავალრიცხოვანი კუნძულები და კუნძულთა ჯგუფები, რომელთაც ოკეანია ეწოდება. როგორც თვალუწვდენელ თვისებურებათა და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით ოკეანია იყოფა სამ მთავარ ნაწილად: ჩრდილოეთით მდებარეობს მიკრონეზია („პატარა კუნძულები“), დასავლეთით — მელანეზია („შავი კუნ-


ძულები“), აღმოსავლეთით „მეზოლინეზია“ („მრავალი კუნძული“). პოლინეზიას ეკუთვნის პაეაის, ლაინის, ფენიქსის, სამოას, ტონგას, კუკის, ამზანაგობის, ტუამოტუს, მარკიზის, ტოკელაუსა და სხვა კუნძულები.

პოლინეზიის მცხოვრებლებმა მდიდარი და ორიგინალური მატერიალური და სულიერი კულტურა შექმნეს. განსაკუთრებით შესანიშნავია პოლინეზიელთა საზღვაოსნო ხელოვნება. მათ აღმოსავლეთის სწორუფორაი რეზავისნობის სახელი აქვთ მოხვეჭილი.

უდავოა, რომ აღმოსავლეთი ოკეანის დასახლება შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო: პოლინეზიის კუნძულებამდე მხოლოდ კულტურულად საკმაოდ დაწინაურებული ადამიანი თუ მიაღწევდა. პოლინეზიელთა წარმოშობის რთული და საინტერესო საკითხი კარგა ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას და დღესაც არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

საიდან მოვიდნენ პოლინეზიელები? აი კითხვა, რომელმაც მრავალი მკვლევარი-სპეციალისტი თუ მოგზაური ჩააფიქრა და რომლის შესახებაც ათასნაირი ფანტასტიკური აზრი გამოითქვა. საღდა ამ ეჭვდნენ პოლინეზიელთა თავდაპირველ სამშობლოს: მელანეზია, ინდოეთი, ატლანტიდა, ჩინეთი, იაპონია, არაბეთი, ეგვიპტე, გერმანია, ნორვეგია, თვით კავკასიაც კი მათ სამშობლოდ იქნა მიჩნეული.

აშკარაა, რომ ამერიკისა და აზიის კონტინენტებს შორის მოქცეულ პოლინეზიის კუნძულებზე ადამიანი ან ამერიკიდან ან აზიიდან მივიდოდა. ამის შესაბამისად ერთმანეთს დაუპირისპირა ორი მეცნიერული თეორია: „აზიური“ და „ამერიკული“. სპეციალისტთა უმრავლესობა იზიარებს „აზიურ“ თეორიას; რომლის მიხედვით პოლინეზიელთა თავდაპირველი სამშობლოა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. ამის სასარგებლოდ მეტყველებს მათი ენისა და კულტურის მთელი რიგი მონაცემები.



ფ. წ. პოლინეზიის სამკუთხედი (დაშტრიბოლო)

თავის მხრივ პოლინეზიელთა „ამერიკული“ წარმოშობის თეორიაც ეყრდნობა ამერიკისა და პოლინეზიის კულტურათა შორის საყურადღებო მსგავსებას; პოლინეზიელთა ერთ-ერთი მთავარი საკვები მცენარეა ტუბილი კარტოფილი — ბატატი, რომლის სამშობლოც სამხრეთი ამერიკაა. ამ მცენარეს „კუშარას“ უწოდებენ ბერძენი ინდიელებიცა და პოლინეზიელებიც; პოლინეზიის ზოგიერთი კუნძულზე უძველესი დროიდან აღმართულია ქვისაგან გამოკვეთილი აღმართული გვიანტური ქანდაკებები, რომელთა მსგავსი ქანდაკებები უსსოფარი დროიდან დღემდე აგრეთვე ბერძენებს, ანდების ზეგანზე... ანდების ქვეყნების ძველი არქიტექტურული ძეგლებიც ზეგრად ნაგავსებზე პოლინეზიის ქვის ნაგებობებს (საფეხურიანი პირამიდები); შეხვედრები აღმოჩნდა ბერძენებისა და პოლინეზიელთა მითოლოგიაშიც.

ეს მონაცემები აშკარად მიუთითებს, რომ უძველეს დროს სამხრეთ ამერიკასა და პოლინეზიას შორის უნდა ყოფილიყო გარკვეული კონტაქტი. ზოგიერთი მეცნიერი ამას პოლინეზიელთა ამერიკული წარმოშობით ხსნის; კერძოდ, „ამერიკული“ თეორიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ნორვეგიელი ბუნებისმეტყველი და ეთნოგრაფი თორ ჰეიერდალი პოლინეზიელთა წინაპრებად ძველ ბერძენულ ინდიელებს მიიჩნევს. „აზიური“ თეორიის მომხრეებს კი მიაჩნიათ, რომ ამერიკასა და პოლინეზიას შორის ამ უძველესი კონტაქტის დამყარება მხოლოდ

გამოცდილ ზღვაოსნებს — პოლინეზიელებს შეეძლოთ და არა ძველ ამერიკულ ინდიელებს, რომელთაც არასოდეს არ ჰქონიათ მაღალი საზღვაოსნო ტექნიკა, რის გარეშეც შეუძლებელი ჩანდა ოკეანის ათასჯული კილომეტრების გადალახვა.

ეს გარემოება ფუშავდა პოლინეზიელთა წარმოშობის „ამერიკული“ თეორიით ასხნის ყოველ ცდას...

ნიუ-იორკის ერთ-ერთი მუზეუმის კაბინეტში მოხუცი და ახალგაზრდა კაცი საუბრობდნენ:

— არა, ეს შეუძლებელია, — ცხარეობდა მოხუცი, — თქვენ ცდებით, ძირფესვიანად ცდებით. ჩვენ დარწმუნებით მხოლოდ იმის მტკიცება შეგვიძლია, რომ სამხრეთ ამერიკის არც ერთი ხალხი არ გადასახლებულა წყნარი ოკეანის კუნძულებზე, და იცით რატომ? — მან თვალთა თვალში გაუყარა მოსაუბრეს, — პასუხი უადრესად მარტივია: მათ არ შეეძლოთ იქ მოხვედრა, მათ არ ჰქონდათ ნავეები!

— მაგრამ მათ ჰქონდათ ტივენი, — შენიშნა ახალგაზრდამ, — მოგეხსენებათ ბალსის ხის ტივენი.

მოხუცმა გაიღიმა და ირონიით წარმოთქვა:

— აბა ცადეთ და გადაცურეთ ტივით ბერძენად წყნარი ოკეანის კუნძულებამდე! და ჰეიერდალმაც გადაწყვიტა ცეცაღა.

მოკლე ხანში მან ზუთი თანამგზავრი შეკრიბა. დიდის ვაივაგლანით იშოვეს გადაშენების პირას მისული სატივე ბალსის ხეები (ძველი ბერძენები მხოლოდ ამ არაჩვეულებრივად მსუბუქი ხისაგან აგებდნენ თავიანთ ტივებს), რომლებიც ტროპიკული წვიმების დროს ეკატორის ჯუნგლებში მოჭრეს. მომავალი ექსპედიციის მონაწილეთა უმუშალო მეთვალყურეობით ბერუს ბორტ კალიაოში კონკისტადორების დროინდელი ჩანახატებისა და აღწერილობათა მიხედვით აგებულ იქნა ძველი ინდიური ტივი. მას შეარქვეს „კონტიკი“ ბერძენულთა იმ ლეგენდარულ

ლი მეფე-მზის სახელის (კონტიკი) მიხედვით, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მრავალი საუკუნის წინათ ტივების ფლოტილით წყნარ ოკეანეში დასავლეთის მიმართულებით გაუჩინარდა.

ჰეიერდალსა და მის თანამგზავრებს ურჩევდნენ, ხელი აეღოთ ამ მოგზაურობაზე. ყოველი კიბერტილი ბრაქტიკოსი-მგზავური, რომელმაც კი ტივი ინახულა, ამტკიცებდა, რომ ეკიპაჟი განწირული იყო. მათ ტივის კონსტრუქციაში აღმოაჩინეს მრავალი საბედისწერო ნაკლი, რომელთაგან თითოეული საკმარისი იქნებოდა ტივის დასაღუპად, ისიც ყველასათვის უდავო იყო, რომ „კონტიკი“ პირველივე ქარიშხლის მსხვერპლი შეიქნებოდა.

მართლაც, რისი იმედი უნდა ჰქონოდათ ოკეანეში „პრეტსორიულ“ ღია ტივის მგზავრებს, რომელთაც წინ ორჯერ უფრო დიდ გზა ელოთ, ვიდრე ოდესღაც კოლუმბს ამერიკის ნაპირებამდე; პოლინეზიის უახლოესი კუნძული ბერძენად 8.000 კილომეტრითაა დაშორებული.

28 აპრილს „კონტიკიმ“ ნავსადგური დატოვა და ოკეანეს მისცა თავი. დაიწყო შრომით აღსავსე დღეები და ღამეები. ტალღებთან, დინებებთან, ქართან და აედართან განუწყვეტელი ჭიდილი. მოგზაურობის უკვე პირველი კვი-



თორ ჰეიერდალი ხაქსთან

რის შემდეგ ექსპედიციის მონაწილეებს ზღვაოსნობის კარგი სკოლა ჰქონდათ გავლილი.

მალე ტივი სამხრეთ ეკვატორულ დინამოში მოექცა და დღემდე 71 მილის სიჩქარით გასცურა.

თუმცა ჰეიერდალსა და მის თანამგზავრებს სურსათის საკმარისი მარაგი მიჰქონდათ, მაგრამ მაინც მეტად მნიშვნელოვანი იყო იმის გამორკვევა, შეეძლოთ თუ არა მათს უძველეს წინამორბედებს ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს საჭმელ-სასმელის მარაგის შევსება? პასუხი დადებითი აღმოჩნდა.

მოგზაურობის დასაწყისიდანვე ისე დღე არ გავიდა, რომ ტივის თევზების ქარავანი არ ხლებოდა; როცა კი მოისურვებდნენ, მათ ბადით ან ანკესით იჭერდნენ. ამას გარდა, თითქმის ყოველ დღე ტივზე ათეულობით მფრინავი თევზები ეშვებოდნენ.

მოგზაურებს საკუთარი საზღვაო ბოსტანიც კი ჰქონდათ: ტივის მორები ერთიანად დაფარული იყო საკვები ნივარებითა და წყალმცენარეებით, სადაც ხშირად პატარა თევზები და კიბორჩხალები ბინადრობდნენ.

მოგზაურებს არც სასმელი წყალი შეეკლებათ: მის მარაგს წვიბის წყლით ერთი-ორად ავსებდნენ.

ტივზე მოწყობილი იყო პატარა რაიონსადგური, რომლითაც სხვადასხვა ცნობებს გადასცემდნენ. რადიო, ცხადაი, ოდნავადაც არ ცვლიდა ექსპერიმენტული მოგზაურობის პრიმიტიულ პირობებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ საბედისწერო ხიფათის შემთხვევაში შეიძლებოდა მისი გამოყენება დახმარების მოსახმობად.

მესაქეობისა და მზარეულობის გარდა, რომელიც მორიგეობით ყველას უნდებოდა, თითოეული თავისი უნარის მიხედვით სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდა: აწარმოებდნენ მეტეოროლოგიურ და ჰიდროგრაფიულ დაკვირვებებს, ზომავდნენ განვლილ გზას, ამოწმებდნენ ტივის მუშაობისუნარიანობას, ახლენ დანაწილებულ თევზებს, სწავლობდნენ თევზებს და ა. შ.



...ხშირად ვეებერთელა ზვიგენებსაც იჭერდნენ

ნობას, ახლენდნენ კინო და ფოტოგადაღებებს, სწავლობდნენ თევზებს და ა. შ.

თანდათან გაუშინაურდნენ ოკეანეს, ახლოს გაიციენს მისი ბინადარი. განსაკუთრებით „დაუახლოვდნენ“ ზვიგენებს, რომლებიც ერთთავად ტივის ირგვლივ ირეოდნენ. ამ სახიფათო თანამგზავრების თავიდან მოშორების მიზნით, ხშირად ისლა რჩებოდათ, რომ დაეჭირათ და ტივზე ამოეთრიათ ისინი; ანკესზე წამოგებული მფრინავი თევზით მოზრდილ სკუმბრიას იჭერდნენ. ამ უკანასკნელს კი ზვიგენის მისატყუებლად იყენებდნენ. ასე ხდებოდა პირველ ხანებში, მერე კი საქმე იქამდე მივიდა, რომ არანახული სპორტით ერთობოდნენ: ანკესი წყლიდან შიშველი ხელით დაწყეს ზვიგენების ჭერა. თოკზე მოზულ გემრიელ ლუკმას ტივიდან გადაუსვებდნენ, მის გასაბილად ანკესი წყლიდან საკმაოდ მაღლა ამოხტებოდა, ამის შემდეგ დამშვიდებით მოტრიალდებოდა ჩასაყვინთად და ჰაერში კუდს შეაქნებდა. სწორედ ამ დროს ძალიან ადვილი იყო მისი დაჭერა კუდის ფარფლით, რომელზეც ზვიგენს, თითქმის სპეციალურად ხელის ჩასაჭიდად, ღრმული აქვს. ასე თავდაყირა დაკიდებულ და შინაგანი

ორგანოების (თავზე) დაწოლის გამო ბარალიზებულ ზვიგენს გაერთიანებული ძალებით ტივზე აათრევდნენ, კუდზე მყისვე ყულუს წამოაცმევდნენ და სასწრაფოდ გაეცლებოდნენ, ვიდრე ის აქეთ-იქით ხეთქებასა და დაღუსილი კბილების ღრჭიალს არ შეეწყობდა.

ერთ დღეს ვეშაა-ზვიგენსაც შეგვდნენ. იგი მთელი საათის განმავლობაში მიცურავდა „კონტიკის“ გვერდით, არავინ იცოდა საწინამდე გაგრძელებოდა ეს მშვიდობიანი ვიზიტი. უეცრად ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა მას მთელი ძალით ტვილით ესროლა. თავში ღრმად დაჭრილმა გოლიათმა მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ იგრძნო მომხდარი. გააფთრებულმა ჩაყვინთა წყალში, სიადნაც მალე ტვილით ნატეხი ამოტვიტიდა. ტივზე დიდხანს ელოდნენ წყლის სიღრმიდან მის საბედისწერო დაჯახებას, მაგრამ „ამაოდ“.

* იშვიათი, მაგრამ სახელგანთქმული ვეშაა-ზვიგენი უდიდესია ზვიგენთა და სავსებით თევზთა შორის. ის სიგრძით 20 მეტრამდე აღწევს და დაახლოებით 15 ტონას იწონის. მისი მარტივ ღებოლში 300 კგ-ია, აქვს სამ ათასამდე კბილი.



ვეება-ზეივებზე შეუდარებლად პატარა, მაგრამ მასზე გაცილებით იშვიათი ზინადარი ოკეანისა, დამით თავისი „ფეხით“ მივიდა ტივზე და მიჩინარენი დააფრთხო. ეს იყო ვეება თვალუბიანი, დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძის თევზი ე. წ. გემპილური სკუმპრია (gempylus), რომელიც მანამდე არავის ენახა ცოცხალი, მხოლოდ მისი რამდენიმე ჩონჩხი იყო. ნაპოვნის სამხრეთ ამერიკის სანაპიროზე.

დღეები დღეებს მისდევდა. „კონ-ტიკი“ შეუჩერებლად მიიძვლევდა გზას დასავლეთისაკენ. მისი მინიმალური წინსვლა დღე-ღამეში 17 კმ შეადგენდა, საშუალო სიჩქარე — 78,5 კმ. მოგზაურობის ორმოცდამეხუთე დღისათვის ზუსტად გზის ნახევარი ჰქონდა გავლილი და 2000 კილომეტრით იყო დაშორებული ნეპოლის მიმართულებით მდებარე უაზროსი ნაპირიდან.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოხდნენ ქარიშხალში, რომელიც ერთ დღე-ღამეს გაგრძელდა. „კონ-ტიკიმ“ შვეიციის მიმართული თავი მანამდე მისთვის უცნობ განსაცდელს. აფრებდაშვებული იგი უნებლად მისრიალებდა ქემოყრონი ტალღიდან ტალღაზე. ბირველ ქარიშხალს მალე მეორე მოჰყვა. ხუთ დღე-ღამეს მიძინარებდა ოკეანე. „კონ-ტიკი“ აწყურადე გადარჩა, თუმცა საკმაოდ შეილახა: აფრა გასკდა, ნიჩაბი გადატყდა, საწლები მოეშვა და ტივიც სასხრებში ერთიანად შეირყა; მაგრამ მიზანიც აღარ იყო შორს...

მესამე თვის ბოლოს ტივის პოლინეზიის ფრინველები ესტუმრნენ. ეს იყო პირველი ცოცხალი სალამი პოლინეზიის კუნძულებიდან. ოთხმოცდამეცამეტე დღეს, გარიყრაქზე, ცისფერ ზოლად გაწოლილი ხმელეთი — ტუმოტუს არქიპელაგის კუნძული „ბუკა-ბუკა“ გამოჩნდა.

კუნძულისაგან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი აშორებდათ, მაგრამ ქარმა და ღინებამ არ მის-

ცა ნება, რომ მას მივდგომოდნენ. ოთხი დღის შემდეგ „კონ-ტიკის“ წინ აღმართა კუნძული ანგატაუ. რომელსაც ირგვლივ აზობოქრე-ზული ტალღებით დაფარული რივი შემოჰლომოდა. მთელ დღეს ეძებდნენ წყალქვეშა კლდეებს შორის გასასვლელს, მაგრამ ამაოდ. შეზინდებისას კუნძულის ნაპირზე ადამიანები გამოჩნდნენ და მალე პოლინეზიელთა რამდენიმე ნაჲი „კონ-ტიკისაკენ“ გამოეშურა საშველად. ამასობაში ამოვარდა ქარი, რომელიც ტივის ოკეანის სიღრმეში იტაცებდა. გაერთიანებული ძალებით გაიმართა ბრძოლა სტიქიონის წინააღმდეგ. კუნძულზეც დაიღი კოცონი დანთეს რივის გასასვლელისაკენ გზის გასანათვლად. მაგრამ ქარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, „კონ-ტიკიმ“ თანდათან შორდებოდა კუნძულს და როცა კოცონი ოდნავდა მოჩანდა, მოქცევის ღრიალიც აღარ ისმოდა, მასხანძლები ჩახსდნენ თავიანთ ნაგებში და შინისაკენ მოუსვდნენ.

ასმეერთე დღეს „კონ-ტიკი“ მიაღვა დაუსახლებელ კუნძულ რაირიას წინ გადაჭიმულ მისარულ რივს. ქარი პირდაპირ მისკენ მიაქანებდა ტივის. აფრები დაუშვეს, რაც კი ძვირფასი იყო, წყალგაუტარ ტომრებში შეახვიეს და ქონში მოათავსეს...

აგორებული მოქცევის ტალღები ზედიზედ დააცხრა „კონ-ტიკის“. და როცა ტალღები უკუიქცა, სასწაულით გადარჩენილმა ექვსეულმა ძლივსლა იცინო რივზე შეგდებული თავისი ხომალდი: ანძები გადატყდა, ბამბუკის ქოხი დაიქცა, ერთიანად დაიღუნა ერთად, ნაფოტებიდა დარჩა მიჩინისაგან...

კიდევ რამდენიმე დაჯახება ტალღისა და „კონ-ტიკი“ უკვე


სამშვიდობის იყო. ახლამას მოკციის მხევეზილა სწვდებოდა; რივის მეორე მხარეს კი — დაბალი ყურის სიღრმეში ქოქოსის პალმებით დაფარული კუნძული მოჩანდა... მთელი კვირა გაატარა მისი მოგზაურებმა ამ დაუსახლებელ კუნძულზე, სანამ მათ მახლობელი კუნძულის ციხეობრებლები მონახავდნენ. ღრისეულად გაუმასპინძლდნენ პოლინეზილები მათი ისტორიის თავგანწირულ მკვლევარ-მოგზაურებს, ისინი საზეიმო ცერემონიალით თავისი საზოგადოების წევრებად მიიღეს და ადგილობრივი სახელები დაარქვეს. რამდენიმე კვირას არ შეწყვეტილა ღვინო და ნაციონალური კეიკე-სიმღერებმა.

ტივერდალის ექსპერიმენტული მოგზაურობა წარმატებით დასრულდა. „კონ-ტიკიმ“ ასერთი დღის განმავლობაში დაფარა რვა ათასი კილომეტრი, რომელიც აშორებს პოლინეზიის სამხრეთ ამერიკისაგან. ამ შესანიშნავმა მოგზაურობამ ერთხელ და საბოლოოდ გააბათილა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მცელი ამერიკის ინდიელებს არ შეეძლოთ მათი ღია ტივებით წყნარი ოკეანის ათასეული კილომეტრების გადაცურვა და პოლინეზიის კუნძულებამდე მისვლა. რაც ერთმა ტივმა „კონ-ტიკიმ“ შეძლო, მას ცხადია, უფრო იოლად მოახერხებდა რამდენიმე ასეთივე ტივი ანდა ტივების ფლოტილია. „კონ-ტიკის“ მოგზაურობის შემდეგ დამაჯერებელი გახდა ის მოსაზრება, რომელიც პოლინეზიისა და სამხრეთ ამერიკის კულტურულ მსგავსებას პოლინეზიის კუნძულებზე ამერიკის ინდიელებს გადასახლების შედეგად მიიჩნევს.

ამიერიდან ცალმხრივი მოჩანს პოლინეზიელთა „აზიური“ წარმოშობის თეორია: საფიქრებელია, რომ პოლინეზიის კუნძულების დასახლება წარმოებდა არა მარტო აზიიდან, არამედ ამერიკიდანაც...



ლოკები მზეზე



თ. რაზმაძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

მიმდინარე წლის 23 თებერვალს მოსკოვში, თბილისში, სვერდლოვსკში, იაკუტსკში, ლონდონში, ჩიკაგოში, ტოკიოსა და ჩვენი ზღანეტის სხვა ადგილებში ასტრონომიული და ფიზიკური დაწყებულების მიერ რეგისტრირებული იყო კოსმოსური სხივების არაჩვეულებრივად დიდი ინტენსივობა და რადიოკავშირის დაზღვევა. კოსმოსური სხივების ინტენსივობამ მიაღწია დღემდე ცნობილ მის მაქსიმალურ მნიშვნელობაზე ორჯერ უფრო მეტ სიდიდეს, დაირღვა რადიოკავშირის აზიის მთელ ტერიტორიაზე და ავსტრალიის რამდენიმე ადგილას; სადღე 36 წუთის განმავლობაში არ მუშაობდა საერთაშორისო ტელეფონის და ტელეგრაფის კავშირი. რადიოგადაცემის ძლიერი შესუსტება შემჩნეული იყო ინგლისშიც.

ეს მოვლენა უდავოდ დაკავშირებულია იმ მძლავრ და გრანდიოზულ პროცესებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მზეზე მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში და, კერძოდ, 23 თებერვალსაც.


ჯერ კიდევ 12 თებერვალს მზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდულე გამოჩნდა საკმაო სიდიდის ლაქა-აქტიური არე. შემდეგ დღეებში ეს არე თანდათან გაიზარდა: ლაქების რიცხვმა მკვეთრად მზატა, ყოველდღიურად იცვლიდა რა ფორმასა და სიდიდეს, 16-18 თებერვალს ლაქების ჯგუფმა გაიარა მზის ცენტრალური მერიდიანი და 23 თებერვალს მის ჩრდილო-დასავლეთ კიდეს მიაღწია. ლაქების ეს ჯგუფი უზარმაზარ მანძილზე იყო გადაჭიმული, სიგრძით იგი 360.000 კმ-ს აღემატებოდა, რაც შეადგენს დაახლოებით დედამიწის 30 დიამეტრის ოდენ მანძილს. მზის ლაქების ეს ჯგუფი შეუიარაღებელი თვალითაც მიჩანდა.

ლაქების ეს ჯგუფი სწრაფადცვალებად კლასს მიეკუთვნებოდა. მასში განუწყვეტილვ წარმოებდა ლაქების წარმოქმნა, დანაწილება, გაქრობა და კვლავ წარმოქმნა. ამ არეში მეტად ხშირი იყო ე. წ. ქრომოსფერული ამოფრქვევები, რომლებიც დაკავშირებულია სწორად ლაქებში სწრაფ ცვლილებებთან.

ქრომოსფერულ ამოფრქვევებში ნოვითერი ამოფრქვევის გარდა იგულისხმება მძლავრი ულტრაიისფერი გამოსხივება. მიაღწევს რა დედამიწის ატმოსფეროს მაღალ ფენებს, ამ გამოსხივების ნაქალები იწვევს მის ძლიერ იონიზაციას, რაც ხელს უშლის მოკლეტალღიანი რადიოტალღების არეკვლას და, მაშასადამე, იწვევს რადიოკავშირის შეწყვეტას. ზოგიერთი ძლიერი ამოფრქვევა კოსმოსური სხივების მეტად მკვეთრი გაძლიერებით ხასიათდება.

სურათზე, რომელიც გადაღებულია 20 თებერვალს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მაქსუტოვის სისტემის ფოტოპლანოგრაფით, ნაჩვენებია მზის ფოტოგრაფია. ლაქების სხენებული ჯგუფი უკვე დასავლეთ ნახევარსფეროში გადასული და კიდესთან მიახლოებულია. ლაქების ირგვლივ კაშკაშა არეები მოჩანს. ეს ე. წ. ჩირაღდნებია, რომელთა ტემპერატურა დაახლოებით 5000°-ით მეტია მზის ზედაპირის — ფოტოსფეროს — ტემპერატურაზე.

როგორც სურათზეც შეინიშნება, ლაქები სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა. ზოგი მცირე, ნაკლებ-



ნახ. 1. მზის ზედაპირის ფოტოგრაფია, გადაღებული აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში 1956 წლის 20 თებერვალს

ბად ბნელი წერტილების სახით მოჩანს, ზოგი კი — უფრო დიდი ზომის — ჩრდილით და ნახევარჩრდილით. ეს ე. წ. წესიერი ლაქებია, რომლებიც ხასიათდებიან ცენტრში უფრო ბნელი — მკვეთრად გამოხატული გულით — ჩრდილით და მის ირგვლივ შედარებით ნაკლებად ბნელი — ნახევარჩრდილით (სურათზე აღნიშნულ ჯგუფში — კიდის ლაქები). მზის ზედაპირის კაშკაში ფიანზე ლაქების ჩრდილიც მკვეთრად გამოსარჩევია. ეს იმის გამოა, რომ მზის ზედაპირის ტემპერატურასთან (6000°) შედარებით მათი ტემპერატურა 1000°—2000°-ით უფრო დაბალია. მზის ლაქები უზარმაზარი გრივალისებური მოპრაობის შედეგად წარმოიქმნება. ატომულური პროცესების შედეგად მზის სიღრმეებიდან ამოსროლება ნივთიერებათა გავრვარებული მასები, ამოიძვრება რა ზემოთ, ეს მასები ფართოვდება, ციფდება და წარმოქმნის ლაქებს. ამ გაზების აღმასვლის სიჩქარე 1-2 კმ-ია სეკუნდში.

ჩვენს მიერ აღწერილი ლაქების ჯგუფი მარტის თვეშიც გამოჩნდა უფრო შემცირებული და შეცვლილი ფორმით. საერთოდ ლაქები სხვადასხვა ხანგრძლიობისაა. ზოგი ერთი დღის განმავლობაში გაჩნდება და გაქრება კიდეც. ლაქების ზოგმა ჯგუფმა კი შეიძლება რამდენიმე თვეს და წელზე მეტ ხან-

საც იარსებოს. ლაქების ჯგუფების სიდიდეც, რაოდენობაც და არსებობის ხანგრძლიობაც დროის განმავლობაში იცვლება. ისევე როგორც მზის სხვა წარმონაქმნებს, ლაქებსაც ახასიათებს თერთმეტწლიანი ციკლური ცვალებადობა. ციკლის დასაწყისში ლაქები მცირერიცხოვანი მცირე ზომისაა და ხანმოკლე დროის განმავლობაში ქრება. ციკლის დაწყებიდან რამდენიმე წლის (3-5 წელი) განმავლობაში მათი რაოდენობა, სიდიდე თანდათან მატულობს და მიაღწევს მაქსიმუმს. შემდეგ იწყებს კლებას, 5-7 წლის განმავლობაში, მომდევნო, ახალი ციკლის დაწყებამდე მიაღწევს მინიმალურ მნიშვნელობას და ა. შ. წარსული ციკლი 1954 წელს დასრულდა. ახლა ვითარდება ახალი ციკლი, რომელმაც ზრდის მკვეთრი ხასიათი აჩვენა.

ლაქების ისეთი დიდი ჯგუფები, როგორც თებერვლის თვეში გვეჩინდა, მიმდინარე ციკლის მაქსიმუმის დათავრებამდე (მზის აქტივობის მაქსიმუმი ნავარაუდევია 1957—1958 წლებში) მრავლად იქნება. მოსალოდნელია უფრო ძლიერი ჯგუფების წარმოქმნაც. მათი დანახვა ყველა დინტერესებულ მოქალაქეს შეეძლება შეუიარაღებელი თვალით, თუ მუქ მინაში გახედავს და საგულდაგულოდ დაათვალიერებს მზეს.


ჩარხები ჩვენი მემოზრებოსათვის

თუ გეოგრაფიულ რუკაზე გავაღვებთ ისრებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ სად იგზავნება თბილისის ს. შ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის პროდუქცია, ზახები გაგრძელდება შორს საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

სხვადასხვა ქვეყნებში გზავნის ქარხანა თავის ჩარხებს. ისინი მუშაობენ პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის მრავალ საწარმოში. ფებინიდან, ბუქარესტიდან და სხვა ქალაქებიდან მოდის ქარხანაში წერილები ცნობებით, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები წარმატებით მუშაობენ ჩარხებზე, რომლებიც დამზადებულია თბილისში.

ქარხნის ყველაზე მსხვილი დამკვეთია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდი მრეწველობა. საწარმო ჩინეთში გზავნის არა მარტო მრავალ ჩარხს, არამედ თავის სპეციალისტებსაც.

საწარმოს კოლექტივი ასრულებს დამკვეთებს მეგობრული ინდოეთისათვის. უკვე გავზავნილია პირველი 8 ჩარხი კალკუტაში. მზადდება ჩარხები ინდოეთის სხვა სამრეწველო საწარმოებისათვისაც.



დაკვეთილი იქნება მილდასამუშაებელი ჩარხებიც მეტალურგიული ქარხნისათვის, რომლის მშენებლობას საბჭოთა კავშირი ახორციელებს.

გავზავნილია პირველი სახარტო-უნივერსალური ჩარხები ქაბულის სამრეწველო საწარმოთათვის. მალე ავღანეთისთვის

დამზადებული იქნება სახეობა ჩარხები. უკანასკნელ ხანებში ქარხანას ახალი დამკვეთები — ბირმა და ვიეტნამი გაუჩნდა.

სურათზე: ერთ-ერთი სახარტო ჩარხი, დამზადებული თბილისის ს. შ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მიერ ინდოეთისათვის.





ათასწლოვანი სისხივე

გ. კაპლისი

კ. ედელშტეინის ნახატი



რომ ჩატარებულმა ცდამ იმედი გაუტრუა მას...

მეცნიერებაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.


მაგრამ ინგლისელი ანატომის ამ ფანტასტიკური აზრის გამოთქმის დროიდან ორასი წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მოახდინეს დავიკრებები, რომლებიც ნებას გვაძლევენ ვივარაუდოთ სიცოცხლის განახლების შესაძლებლობა არა მარტო ასეული, არამედ ათასეული წლების შემდეგაც! ეს აღმოჩენა დაკავშირებულია მუღმივი გაყინულობის შესწავლასთან.

რა არის მუღმივი გაყინულობა? ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ ენციკლოპედიური ლექსიკონიდან ან სპეციალური წიგნებიდან მოტანილი განასაზღვრებით. მაგრამ მე სხვა რამით დავიწყებ.

ციმბირში ენისეიზე არის კარგად ცნობილი სანავსადგურო ქალაქი ივარკა. იგი ოცდაათი წლისავე არ არის. ეს პირველი საბჭოთა ქალაქია, რომელიც აშენებულია ჩრდილო პოლარული წრის იქით მუღმივი გაყინულობაში. მე რამაღმამიან ჩრდილოეთისაკენ, მით დენჯერმე ვყოფილვარ წინათ და უფრო ხშირად იხსენიებენ მას ახლახან კვლავ მოვხვდი იქ.

ცნობილი ინგლისელი ქირურგი და ანატომი ჯონ ჰანტერი XVIII საუკუნის დასაწყისში ოცნებობდა ათას წლამდე ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ. ამ ფრიად მაცდუნებელი მიზნის მისაღწევად აზრს იგი ხედავდა ისეთი პირობების შექმნაში, როდესაც ხანგრძლივი დროით მოხერხდებოდა სასიცოცხლო მოქმედების შეწყვეტა და შემდეგ მისი ხელახლა გაღვივება. აი, რომ შეიძლებოდა ადამიანის გაყინვა, ხოლო შემდეგ კი გაცოცხლება. „გაღვივებდა რა ყოველ ას წელიწადში ერთხელ, — წერდა ჰანტერი, — ადამიანს შეეძლო გაეყო ყველაფერი, რაც მოხდა მისი გაყინულ მდგომარეობაში ყოფნის დროს“.

სომ მართლაც მეტისმეტი გულუბრყვილობაა: შეაჩერო, შეწყვიტო სიცოცხლე და მრავალი წლის შემდეგ განახლო იგი? ჰანტერმაც თავის მსჯელობას ოდნავ ხუმრობის ხასიათი მისცა და დასძინა,



რუკა გვიჩვენებს ჩრდილო ნახევარსფეროს ოლქებს, სადაც განლაგებულია ან გვხვდება მუღმივი გაყინულობა



ჩვენ თბომავალი ივარკაში მივიდა ზაფხულის დილას. მზე, რომელიც ღამითაც არ ჩადიოდა, აცხუნებდა. ივარკაში პირველად მოხვედრილნი უყურებდნენ გემზანიდან ახალგაზრდა არყის ხეებს, ხშირ ბალახს, ბოსტნეულის კვლებს და თვალებს ვერ უჯერებდნენ: ყველა ეს ძნელად ეთანხმებოდა მათ წარმოდგენას იმიერპოლარეთის სიმკაცრისა, ტუნდრისა, მუდმივი გაყინულობის შესახებ. და ძნელად თუ მოივიდოდნენ მათ თავში, რომ სწორედ ამ წუთში მზით გახურებული ქუჩების ქვეშ ყინულის საკნებში სამუშაოდღეს იწყებენ ადამიანები, რომლებიც თავს დებენ ამ გაყინულობის საიდუმლო, უცნაური სამყაროს შესწავლაზე.

მივდივარ ნაწნობი ქუჩით... აი გაყინულობისმცოდნეთა კვარტალიც. ღობის იქით მაღალი საბურღი კოშკია, ლაბორატორიები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ობსერვაციის სახელობის გაყინულობისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაყინულობის სადგურის საცხოვრებელი სახლები.

ოკეანოგრაფებს აინტერესებთ იკეანის სიღრმის შეუღწევადი უსუნეთი; აეროლოგები ატრანსფეროსაკენ მისწრაფიან; გაყინულობისმცოდნეებს კი მუდმივი სიცვიის სამეფო იზიდავს.

ივარკაში ძნელი არაა ამ სამეფოში მოხვედრა.

სადგურის უფროს ალექსანდრე მიხეილის ძე ფჩელინცევთან ერთად თავზე ვიხურავთ ბეწვის ქუდებს, ვიცვამთ თექის ჩექმებს, ვეხვევით ბეწვის ქურქებში. ეს გაყინულობისმცოდნეთა ჩვეულებრივი ჩაცმულობაა მიწისქვეშა მუშაობის დროს. იქ, სადაც ჩვენ ჩასვლა მოგვიხდება, არ არის განსხვავება ზაფხულის ცხელ დღესა და წამთრის ყინვიან ღამეს შორის.

შახტის შესასვლელთან არის ფარი წარწერით: „მიწის ქვეშეთში ჩასვლისას ისარი დაბლა დაუმოვიტო“. დაბლა ვწევთ ორ ისარს. ახლა, ვინც კი ჩვენს შემდეგ მოვა, ეცოდინება, რომ ქვევით, სადაღაც ადამიანები არიან. ჩვეულებრივ იატაკქვეშეთში მიჯრით ორ სათაზე მეტს არ მუშაობენ: სიცოცხლა და განგზაღის ნაკლებობას თავისი ცაიქვს.

მიწისქვეშა დერეფნის ჭერი ელექტრონათურების შუქზე ბრწყინავს ყინულის ნემსებად. კედლებს — გრუნტის მუქ ფენებს უცნაურად ენაცვლება ყინულის გამჭვირაველ ძარღვები და კრისტალები. არ არის არავითარი გამაგრება—მიწა, გაყინული წყლით შედუღაბებული, არ საჭიროებს სახვეჭარს. იგი მკვრივია.

ჩვენ ვიმყოფებით მუდმივ გაყინულობაში.

მუდმივი გაყინულობა ყოველ-

დღიური სახელწოდებაა. იგი სავესებით ზუსტი არაა. მეცნიერება უფრო ფრთხილად გამოთქვამს: იგი ლაპარაკობს უარყოფითი ტემპერატურის შესახებ, რომელიც გრძელდება მიწის ქერქის ნაწილში განუწყვეტლად რამდენიმე წლიდან ათასწლეულ წლებამდე. მაგრამ ათასწლეულები ყოველდღიურ წარწოდებაში თითქმის მარადიულობას უახლოვდება.

სსრ კავშირში მუდმივ გაყინულობას 10 მილიონი კვადრატული კილომეტრი უკავია. ეს თითქმის ქვეყნის ტერიტორიის ნახევარია. არაფართო ზოლად აღინიშნა გაყინულობა კავშირის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთში, მიიყოლა დასავლეთ ციმბირის მწიფენელოვანი ნაწილი, ხოლო ენისეის აღმოსავლეთით ოკეანულა ჩრდილო ყინულოვან გაყინულობას ჩინეთის საზღვრამდე, ხან ჩაწოლილია ათეული მეტრი სიღრმის ფენად, ხან კი მოჩანს ვიწრო ზოლად ცალკეული პატარა „სუნულების“ სახით.

მთელი ანტარქტიდა, თითქმის მთელი გრენლანდია, ალასკის სამიმიოთხედი, კანადის ორიმსამედი მუდმივ გაყინულობას მოუცავს. ჩვენი ბლანეტის ხმელეთის მწიფენელოვანი ნაწილის ზედაპირის ქვეშ შეიძლება წაეაწყდეთ ყინულისა და გრუნტის „შროვან ნამცხვარს“, რომლის მსგავსაც



ივარკის მიწისქვეშეთის კედლები კნის.

ეს მიწისქვეშეთი—მეცნიერების მხოლოდ ერთ-ერთი იმ მრავალ ფორფოსტაა, რომლებიც სწავლობენ დროსა და სივრცეში გრანდიოზულ ბუნების მოვლენებს. დღითი დღე, წლათი წლობით აქ ყურადღებით აკვირდებიან გაყინულობას, აყენებენ ცდებს, ამოწმებენ ვარაუდებსა და მიხედვრებს.

ჩვენ მივდივართ მიწისქვეშა დერეფნით. ალექსანდრე მიხეილის ძე უყურებს თერმომეტრებს და თვით-წყურებს. მივიღოდი რა ჩქარა მის უკან, მე ფეხი წაყვარი კუნძს და მუხლი დავიშავე.

—თქვენ ცოტათი ხომ მაინც დაგამშვიდებთ ის გარემოება, რომ ეს ხე არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე ადამიანებმა ისწავლა რაინის ცულების დამზადება? — იღივება ალექსანდრე მიხეილის ძე.

ის ალებს ერთ-ერთი გვერდითი საკანის კარებს. მაკიდა, ხელსაწყობები, დაკვირვებათა ყურნალები, გრაფიკები.

— აქ ყინულის ენის ქვეშ ყუთია, — თავს აქნევს ჩემი თანამგზავი, — მასში არის ომის მთელი წლების გაზეთები. ეს მომავალი თაობებისათვის. ხელუხლებლად, გაუხსნელად მრავალი წლის განმავლობაში იღება გაზეთები. მუდმივი გაყინულობის თანაბრად დაბალი ტემპერატურები ამისათვის იდეალურ პირობებს ქმნის. თქვენ ალბათ გაგეგონებთ, რომ მიზელი ივანეს ძე სუმგინმა, გაყინულობისმცოდნეობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, თავის დროზე წა-

მოაყენა წინადადება, რომ მოეწყობოთ მთელი მიწისქვეშა მუზეუმი—მაცვიარი?

ალექსანდრე მიხეილის ძე მოკლედ გადმოსცემს სუმგინის იდეას. ბილინებში, აშბობდა იგი, აქებენ გარეულ ხარს (ტურს). გოლიათები გარეული ხარის რქებიდან სვამდნენ, მაგრამ აბა მოძებნეთ გარეული ხარი ჩვენს ზოოპარკში. არ არის, ამოწყდა. მერმე დათვებიც, მგლებიც, გივინებიც გაქრებიან. ამ მხეცების ფიტულე-ბიც მუდმივი არაა. ხოლო ყინულებში, მუდმივ გაყინულობაში ჩვენ შეგვიძლია შევინახოთ მხეცები, ასე ვთქვათ, მათი ბუნებრივი სახით მრავალ ათასწლობით. მომ შემოინახა მან მამონტების გვაშები. ისე რომ თვით ბალახიც კი, მათ კბილებს შორის დარჩენილი, გადაურჩა ხარწისა. მამასადაამე, დათვთან ერთად შეიძლება, მაგალითად, შევინახოთ ტაიგის კუთხე — არც ერთი ტოტი, არც ერთი თიგული ან ყლორტი არ დაიღუბება. გადარჩება კოლოც კი დათვის ცხვირზე მჯდომი...

მე წარმომიდგება დიდებული დარბაზები მარადიულობის მიწისქვეშა მუზეუმებისა: მაგაფო „დღის“ შუქი, გამჭვირვალე მოლურჯო ყინული ვიტრინებისა, ფეროვანი მუქი კედლები კრისტალური კილიტებად...

ივარკის ქუჩებს ქვეშ მუდმივი გაყინულობის მრავალი ტიპი გვხვდება. აქ ბვერი რამეა, რაზეც შეიძლება ჩაფიქრება, სადაც შეიძლება ექსპერიმენტირება. ივარკის გაყინულობისმცოდნეებმა და-

ამუშავეს, მაგალითად, გაყინულობის ქიმიის სწრაფი და სანდო გამოკვლევის ახალი მეთოდები, რომელთაც აქვთ დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოყენება.

საქმე ისაა, რომ მრავალი ჩვეულებრივი ხერხი და მეთოდი, რომლებიც საუკეთესოდ ითვლება ხმელეთის სამეფოთხედზე, სწორად სრულიად არ გამოადგება უკანასკნელ მეოთხედზე, სადაც მუდმივი გაყინულობა თვლემს.

იგი ვერაგია. ამ მოვლენის პირველი შეხედვით მოჩვენებითმა სიპარტივემ წარმოშვა მრავალი მცდარი გამოთვლა და ტრაგიკული შეცდომები.

ამ მძიმელები ბურღვენ გაყინულობას. ალმასის ბურღი ჩადის სულ უფრო და უფრო ღრმად მის სიღრმეში. უეცრივ მოტორში რა-ღაც შეფერხებაა. ბურღვა შეწყდა სულ ათიოდე წუთით. მაგრამ ის საკმარისია, რომ მიღები სამუდამოდ მიიყინოს ღრულთან.

გაყინულ გრუნტი მიმინჯია ჩასმული. გეგონება ასე იხილება იგი ასეული წლობით. ნურას უკაცრავად! სამი წლის შემდეგ ის უკვე მიწაზეა გართხვლივ. გაყინულობამ ამოავლო იგი.

ალასკაში რკინიგზა გაიყვანეს. გაყინული გრუნტი ქვასავით მაგარი იყო; ნავებობებს ხანგრძლივ სიცოცხლეს უქადადნენ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მოძრაობა ახალ გზაზე შეწყდა: ხიდეები დაიქვრა, მიწაყარილები გალღვა და დაცურდა.

ივარკის მშენებლებიც საკმაოდ გააწავლა გაყინულობამ. მათი პირ-



ველი სახლები იღრიცებოდა, ღუმელები და მინები სკდებოდა. ყოველდღიურად უხდებოდა „მკურნალობა“ იგარკის პურის ქარხანას, რომელიც ოდესღაც ააგეს გაყინულობისმცოდნეთა რჩევის გარეშე.


ჩვენ მიწის ქვეშ დაგყავით დაახლოებით ორი საათი. შეუჩვენელობის გამო მაჭრყოლებდა. სამაგიეროდ როგორ დალოცვილად მომიჩვენა სითბო და შუქით გაყვნილი დღე იქ, ზევით. არაფერი არ გვაგონებს ირველი ჩვენ ქვეშ არსებულ სიცივეს! მე გაკვირით ვუთხარი ამის შესახებ ალექსანდრე მიხეილის ძეს.

— ზო? — დამცინავი ღიმილით შემომხედა მან სათვალეების ქვეშოდან. — არ გვახსენებს? აქ ყველაფერი გაყინულობასთანაა დაკავშირებული.

— თვით ეს ხშირი ბალახიც? — სწორედ. ბალახი — ცდა: აქ ზამთარში თოვლი არ გადახვეტეს, არ დატკბენს და გრუნტის ზედაფენს დატყუნი იყო უშკაცრისი სიცივისადაც. ის ნაკლებად გაყინა, გაზაფხულზე ადრე გადნა და ადრე ამწვანდა. მეზობელ ნაკვეთზე თოვლს მუდმივად ჰხვეტადნენ — და შეხედეთ როგორი სუსტი ბალახია იქ...

სადგურის მთელი ეზო მიწისზედა ლაბორატორიას წარმოადგენდა. აქ სწავლობდნენ მოვლენებს ე. წ. მოქმედ ყოველწლიურად მღობ ფენაში. სწორედ ეს ზედაფენა შესაძლებელს ხდის სიცოცხლეს მუდმივი გაყინულობის რაიონში. აქა-იქ მიწა ზაფხულობით ღვებდა მხოლოდ 20 სანტიმეტრზე, მაგრამ ეს უკვე საკმარისია ბალახისა და თვით ზოგიერთი ხისთვისაც.

და აი ერთი უცნაური თვისება — თაგანი მუდმივი გაყინულობის: ზოგიერთ შემთხვევაში ეხმარება ის კიდევაც მიწათმოქმედებასაც. უკიდურესი ჩრდილოეთის მრავა-



ლი რაიონი ხომ არაა უფრო მდიდარი ნალექებით, ვიდრე უდაბნოები ან ნახევრად უდაბნოები. ცნობილია ისიც, რომ სიცივის მსოფლიო პოლუსის მახლობლად, იაკუტსკში ზაფხულობით სიცხე თითქმის 40 გრადუსს აღწევს. მცენარე ამ ხანში მოითხოვს ბევრ სინოტივებს, წყლისათვის ნაკლებად გამტარი მუდმივი გაყინულება კი იწინავს მას გაზაფხულიდან მოქმედ ფენაში. რაც უფრო ცხელია ზაფხული, მით უფრო ღრმად ღვებდა მიწა ვალდობისა იგი გამოყოფს მცენარეულობისათვის საჭირო ტენის ახალ მარაგს. ამასობაში გამდნარი წყალი თითქმის ახდენს მცენარეულობის იარაღი-ზავიას: ზაფხულის თბილი დღეების დადგომისას ისინი არაჩვეულებრივად სწრაფად იწყებენ განვითარებას, თითქოს ჩქარობენ აინახაურონ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა.

სადგურის ეზოში სხვადასხვა სიღრმეზე და სხვადასხვა წესით ჩაფლულია ბოძები და ხიმინჯები. მოქმედი ფენა, რომელიც მასში მყოფი წყლის გაყინვისას ფართოვდება, ხოლო ზაფხულში თანდათან მკვირდება, შეუპოვრად ეწინააღმდეგება მშენებლებს, ხან თანდათანობით ერეკება მათ ზემოთ, ხან გამდნარ წუმბეს უშვებს მათ ნაგებობებში. ახლა საბჭოთა გაყინულობისმცოდნეების მიერ ნაპოვნი ნაიმედო საშუალება მოქმედი

ფენის პულსაციის შედეგებისაგან დასაცავად: ხიმინჯები მაგრდება ერთ სიღრმეზე, სადაც გაყინულობა არ განიცდის ღობას. მშენებლებმა ისწავლეს მუდმივი გაყინულობის დაცვა ზაფხულში ნაგებობის ირველი ნიადაგის ხელოვნური გაცივებით და მისი მთლიანად მოსპობაც — ელექტროშებურების გამოყენებით.

მაგრამ თუ გაყინულობის მოსპობა შესაძლებელი აღმოჩნდა, მაშინ შეიძლება მას ბოლო მოეუღლოთ მთელ დედამიწაზე?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, — გვეთანხმება ალექსანდრე მიხეილის ძე. — ამისათვის კი საჭიროა სულ ცოტა რამ: რაღაც ათასი წლების განმავლობაში დაგზარჯოთ ამისათვის მთელი ქვანახშირი, რომელსაც კაცობრიობა იღებს... მაგრამ სერიოზულად რომ ვთქვათ: მუდმივი გაყინულობის დონის დაქვეითება ცალკეულ რაიონებში სავსებით შესაძლებელი ამოცანაა. გაყინულობა საოცრად მგრანობიარა. მისი დამლა ზოგჯერ იწყება სრულიად უბრალო მიწის გამო. გათეულს ბილიკი, ჩამოფხიკეს ხავის, მოცულს ბალახი, და რამეღიმე ფარდული — და უკვე წონასწორობა დარღვეულია. გაყინულობა იწყებს უკანდახევას, დეგრადაციას, თუმცა იგი უბრძოლველად როდი თიბს პოპილას; გაზაფხულსა და ზაფხულზე გამდნარ ნიადაგში ჩნდება ჩანაქ-

ცეხები. როგორც ვხედავთ, გაყინულობა შეიძლება შეაკრთო, მაგრამ, როგორც იტყვიან ეს ფრიად ფრთხილად უნდა მოიმიჭმედო.

ჩვენ მივიღეთ ლაბორატორიაში ალექსანდრე მიხეილის ძეს უკვე ელოდნენ. ქალაქის კულტურის სახლის მშენებლები რჩევისათვის მოსულიყვნენ: გაყინულობის სადგურის გარეშე იმიერპოლარისის ქალაქში ახლა ჩვეულებრივი შენობის საძირკველსაც კი არ ჩაყრიან. შემდეგ დარეკეს მალაზიიდან, ითხოვეს დახმარება გაფუჭებისაგან ხორცის გადასარჩენად. და ალექსანდრე მიხეილის ძე როდი განაწყენებულა, არ უთქვამს, რომ მას მეცნიერების კანდიდატს, ხორციან საქმე არ აქვს. ბირიქით, იგი მოთმინებით განმარტავდა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო. ის-ის იყო ალექსანდრე მიხეილის ძემ მიიღო ჩამოჰკიდა, რომ ისევ დარეკეს: საერთო საცხოვრებლის მშენებლები ახალი ქუჩის ბოლოში წააწყდნენ ნამარხი ყინულის ფენას.

უკანასკნელ წლებში ივარკაში გაჩნდა რამდენიმე ახალი ქუჩა... და სახლები იქ დგას მტკიცედ, გვერდზე არ იღრციება, არ იხრება, თუმცა მათ ქვეშ ისევ იგივე ჭირვეული ყინულია...

გაყინულობისმცოდნეობა — ერთ-ერთი ახალი მეცნიერებაა. მუდმივ გაყინულობაში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გამოსაცნობი. დღემდე, მაგალითად, მიმდინარეობს დავა მისი წარმოშობის შესახებ. იმ თვალსაზრისის მომხრეებს, რომ ჩვენ იგი მივიღეთ მეგვიდრეობით გამყინვარების პერიოდიდან, არ ძალუძთ გააბათილონ იმათი საბუთები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ახლანდელი კლიმატიც მთელ რიგ

ადგილებზე საკმაოდ მკაცრია მისი ხელახლა წარმოშობისათვის.

ამ ნარკვევის დასაწყისში მე ვილაპარაკე იმ დაკვირვებების შესახებ, რომელთაც მოგვაგონეს ვასუნი სასუქუნის მეცნიერთა ოცენები. აი ისინი.

შორეული აღმოსავლეთის გაყინულობის სადგურ სკოვროდინოს მეცნიერ მუშაკი პ. ნ. კაბტეროვი დაინტერესდა ტორფული მცენარეების ნარჩენების ფენით, რომელიც დაცულია მუდმივი გაყინულობის სიღრმეში. მან ამოიღო ნიმუშები და დაიწყო მათი შესწავლა. მათში აღმოჩნდა სოკოების სპორები, წყალმცენარეების ჩანასახები, ხავსები და სხვა მცენარეები. იყო აქ მტკნარი წყლების ბიოდარის კიბო ხილარუსის კვერცხებიც.

როდესაც ნიმუშები გადნა, ექსპერიმენტატორმა დაინახა უხსოვარ ღროში სიცვიისაგან შეჩერებული სიცოცხლის გავიჟება. კიბო გაცოცხლდა!

გაცოცხლდა აგრეთვე მცენარეთა სპორები და ზოგიერთი ბაქტერიები. მამონტის თანამედროვენი დროის თითქოს რაღაც საოკარი მანქანით გადმოყვანილ იქნენ ატომური ენერჯის საუკუნეში.

ყველაზე საკვირველი კი ისაა, რომ ორგანიზმებმა, რომელნიც შეიძლება რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ მუდმივ გაყინულობაში, გაცოცხლების შემდეგ გამრავლების უნარი გამოიჩინეს.

და, ვიკონებთ რა ნახევრადფანტასტიკურ, ნახევრადსაზნაურო

მსჯელობას ხელოვნურად გაყინული ადამიანის გაცოცხლების შესახებ, უნებურად ვფიქრობთ: ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ კიბო ხომ გაცოცხლდა!

აგრძელებენ რა საინტერესო, მრავლისამოთქმელ ცდებს, მეცნიერებს შეუძლიათ გაყინულობის უძველესი შრეებიდან ამოიღონ რომელიმე არაჩვეულებრივი, ჩვენთვის უცნობი ორგანიზმები და შესაძლებელია, გაცოცხლონ ისინი. და, ეს იყოს არა გოლიათი მამონტები, არამედ მხოლოდ უბრალო წვრილი ორგანიზმები, ისინი ხელს შეუწყობენ დედამიწის ისტორიის იმ ფურცლების უტყუვრად შევსებას, რომელნიც ჩვენგან დაცლებულია ათასზე უფრო მეტი წლით.

მერე რამდენი გაბეღული პროექტები ჩნდება გაყინულობის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და გაფართოებისას!

ისახება შესაძლებლობა დიდი რაოდენობის ენერჯის მიღების მიზნით გაყინული ნიადაგისა და ზღვის წყლის ტემპერატურათა შორის არსებული განსხვავების გამოყენებულად. ამასთან დაკავშირებით შეისწავლება გაზიფიკაციის პრობლემა — იმ მცირეფასიანი სათბობი მასალის მიწისქვეშა წვა, რომლითაც ესოდენ მდიდარია ჩრდილოეთი.

მომხიბველად წარმოგვიდგება აგრეთვე ყინულის ან გაყინულ მღვამარეობაში მყოფი ნიადაგის გიგანტური კაშხლების პროექტები.

მერე კიდევ ახალი, წარმტაცი შესაძლებლობანი, რომელნიც იხსენება მუდმივი გაყინულობის რაიონებში ატომური ენერჯის გამოყენებულად!

(გერმ. „ჰოლუბ ჰეხა“)





გალივებულ
გამოსახულებათა
მიღება
რენტგენოსკოპიის
დროს

კომანანამ — ჩენერალ ელექტროკ (აშშ) გამოაცხადა ისეთი მოწყობილობის დადგენების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს რენტგენული გაშუქებისას 10 ათასჯერ უფრო მაკფიო გამოსახულების მიღებას, ვიდრე ჩვეულებრივ ფლუორესცირებად ეკრანზე.

ანალოგური მოწყობილობის დემონსტრირება მოახდინა კომანანამ ბენდიკს ავიციონს კარპორეიშნს.

ამ მუშაობას საფუძვლად უდევს ხინათლის გაძლიერება ელექტრონულ მოწყობილობათა საშუალებით. გაძლიერებული გამოსახულება წარმოიქმნება სატელევიზიო ეკრანზე, რაც საშუალებას იძლევა დაინახოთ იგი დღის შუაგულში. ჩენერალ ელექტროკ — კომანანის წარმომადგენელთა აღნიშვნით ახალი ხერხი არა მარტო იძლევა უფრო მაკფიო გამოსახულებას, არამედ ადიდებს მას სატელევიზიო ეკრანის ზომამდე.

კომანანის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ახალი მოწყობილობა საშუალებას მოგვცემს საგრძნობლად შემცირდეს რენტგენული სხივების საჭირო ინტენსივობა. ამის შემწეობით მცირდება საშიშროება მომსახურე პერსონალისათვის და საკმარისი იქნება უფრო მცირე დამცველი მეტრანარბებილი მოწყობილობა.

სრასნისმაგვარი
სახლი


ცაობჭენთა ცნობილმა მშენებელმა ცეკინდორფმა ნიუ-იორკში ააგო პირველი საცხოვრებელი სახლი, რომლის სართულული ხარხანის ზახისებურად განლაგებულია. გეგმაში სახლი ექვს კონცენტრირული რკოლისაგან შედგება. მათგან შიგა სამი დათმობილია აქვს წყლის, გაზის, სინიშტრის, ნავთის, ბაქრის მილ-გაყვანილობას, აგრეთვე კიბეებსა და დიფტებს. შემდეგ მოყვება რკოლი, რომელზეც განლაგებულია საშარბეული და

სანიტარული კვანძები. და ზოლის საცხოვრებელი ოთახებისა და აივნებისათვის გამოყოფილი რკოლები. სახლის საერთო დაამტერი 80,5 მეტრია.

გეგმაში ბინენი ფორმით მოგვაგონენენ ლუმენში — ჩალო — გამოცვარ ღვეჯლის ნაქრებს. ისინი განლაგებულია სპირალურად, ამასთან თითოეული ბინა 1/6 სართულით მაღლა ან დაბლა მხოლოდ ბინებთან. ტიხრები ოთახებს შორის მოძრავი და მოსახსნელია, ისე რომ არის ოთახის გაფართოების შესაძლებლობა ნებისმიერი მონახვდრე ოთახის ხარჯზე. არქიტექტორი ხაზს უსვამს, რომ ასეთი არანეულებრივი ფორმის სახლი საშუალებას იძლევა გადიდდეს სასარგებლო ფართობი, შემცირდეს გარეთა ზედაპირი, მიღწეულ იქნეს უკეთესი განათება და შემცირდეს მილგაყვანილობათა ხარჯი. მისი ვანგარიშებით ხარხანისმაგვარი სახლების აშენება და ექსპლოატაცია 20 პროცენტით აიფა, ვიდრე ჩვეულებრივი სახლებისა.

მაგრამ ყველასათვის ცხადია როგორც ასეთი შენობების აგების სიძნელები, ისე

ასეთ უცნაური ფორმის ოთახებში ცხოვრების მოუხერხებლობა.




ზომების შეცვლა, კერძოდ წრიული სახლების დიამეტრის გაზრდა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში. ბუნებრივად, რომ ასეთ ნაგებობათა გამოყენება ძალზე შეზღუდული იქნება.

ღრუ მუსლა ლივში

„ფორდის“ ქარხანამ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში აშასწავათ გამოუშვა ახალი ავტომობილი „ტაუნუსს“. ავტომობილზე დადგმულია ოთხცილინდრანი ძრავა, რომელიც ავითარებს 60 ცხენისძალას 4500 ბრუნისას წუთში. ძრავას აქვს ვალბულარული თუქისაგან დამზადებული ღრუ ჩამოსხმული მუსლა ლივით, რომელიც ღრუ ძირითადი და საპარზაცე ყელბებით ყალიბდება.

ლოკრანამდე დაახლოებით 27 პროცენტით მცირეა. ამის გამო ცენტრიდანული ნაწილები, რომლებიც მუსლა ლივის ბრუნვის დროს წარმოიშვებიან, შემცირდება ორჯერ, ხოლო დატვირთვა საშუალო ძირითად საქისარზე 1118-დან 887 კილოგრამამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ღრუ მუსლა ლივისათვის საჭიროა მაღალბარისხარისხიანი თუქი, მისი ღირებულება 6 პროცენტით



ექვსი კოის საშუალებით. ბარზაცას საკისრებთან ზეთის მისაყვანი არხები გაკეთებულია ლივთან ერთად ჩამოსხმული ფოლადის მილდებისაგან. მილიან მუსლა ლივდებთან შედარებით ღრუ მუსლა ლივდების უპირატესობა ისიცაა, რომ მისი წონა (16,5 და 11,5 კი-

ლოგრამა) ვიდრე მილიანი ლივდებისა, ეს გამოწვეულია ლითონის ნაკლები ხარჯით და აგრეთვე მისი დამზადებისათვის საჭირო დროის შემცირებით იმის გამო, რომ აცდებულია ზეთის არხების გახერხების ოპერაცია და მიღწეულია ყალიბების დღვი სიჭარბით შეცვლა.

ავტომობილის მარკების

ავტომობილისათვის

ამერიკაში კონსტრუირებულია ავტომობილი ავტომობილური მარკების „დრაივმატოკ“. მანქანაში არც საქის სვეტია და არც სატერფლები. მთელი მართვა წარმოებს ერთი ბერკეტით, რომელიც მთავრდება დამზაინის ტარის მსგავსი სახელურით. „გასაშვებ კაუჩუგზე“ დაქვითი ხორციელდება ძრავას ამუშავება. საქის წინ გადახრა ჩართვის გადახმულობას. მანქანის სიჩქარე იზრდება დახრის შემდეგში გადიდებათ.

სიჩქარის საფეხურების გადართვას და საწვავი ნარევის შემადგენლობის რეგულირებას მძღოლის ნაცვლად აწარმოებს „უკვიანი“ ავტომობილ საქის მდგომარეობის შესაბამისად და სვლის პირობების მიხედვით: გასის დაქანებით, მანქანის დატვირთვით...



დასამუხრუბებლად საქის თავისკენ გადაყვანა. მოსახვევად მას ხრანს საქირო მხარეს. ყველა ეს მოძრაობა სრულიად ბუნებრივია და ავტომობილის მართვის სწავლა შეიძლება სულ რაღაც რამდენიმე წაშში.


მგავრობის დროს წამყვანს დაკავებული აქვს მხოლოდ ცალი ხელი, მისი ადგილი არაა გადატვირთული, ხოლო ავარიის შემთხვევაში მას არ ეძულება საშორეობა საქის სვეტით გულმკერდის გავრცელებული და საშიში დასაინებისა.

დიდი

ცემენტის ღუმელი

ერნსტ ტლმენის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა მაგდებურგში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა)

ამინების უნიკალურ ცემენტის მზარუნავ რომ მრავლები „ბოშის“ საწვავი აპარატურა ღუმელს, რომლის დოლის სიგრძე იქნება 185, ხოლო დიამეტრი — 6 მეტრი.



ღუმელი დღე-ღამეში გამოუშვებს 1200 ტონა კლენტებს — ძირითად ნახევარფაბრიკატებს ცემენტის წარმოებისათვის. ლეიპციგის ბაზრობაზე გამოყენებული იყო გიგანტური ღუმელის ერთ-ერთი საცხარი. იგი წარმოადგენს ფეროსს, რომელიც შემოვლებულია ღუმელის დოლს და იბრუნებს მასთან ერთად ორ საყრდენ გორგოლაქზე.

ფეროსს ვარეოა დიამეტრი 6 მეტრია, წონა — 47 ტონა. წყვილი საყრდენი გორგოლაქებისა თავისი საქისრებობა იწონის 78 ტონას.

უკარბურატორი სავტომობილო ძრავებში

უკანასკნელ დრომდე ბენზინზე მომუშავე ყველა ავტომობილის ძრავას ჰქონდა სპეციალური აგრეგატი — კარბურატორი, რომლის დახმარებითაც მზადდება მუშა შენარევი. თავისი კონსტრუქციით კარბურატორები ძალიან რთულია და შრომატევადია დამზადებისას. მათი მარკა ქმედების კოეფიციენტი დაბალია.

რიგი წლების განმავლობაში ტექნიკური აზრი მუშაობდა სრულყოფილი კონსტრუქციის კარბურატორების შესაქმნელად მარტივ ქმედების მაღალი კოეფიციენტით. მაგრამ სასურველი კონსტრუქციის შექმნის ცდებს უკანასკნელ დრომდე წარმატება არ ჰქონია. მაშინ ინიერებმა აირჩიეს სხვა გზა: დაიწყო საწვავის დიდი წნევით შეყვანა პირდაპირ წვის კამერაში.

მარტივ კონსტრუქცია აპარატურისა, რომელიც ბენზინს შეაფრქვევს მუშა კამერაში, შექმნა გერმანულმა ფირმამ „ბოშ“. 1956 წელს გერმანული ფირმების — „მერედის-ბენც“, „გოლიაფ“ მოედლებზე დადგმულ იქნა უკარბურატო-

რის აპარატურა „ბოშის“ საწვავი აპარატურა. უკარბურატორო ძრავები 85 მცმწმოდანდ ეკონომიურია, მუშაობისას უფრო სანიმდოა, ხოლო საწვავის უშუალო შეფრქვევისათვის მოწოდებული აპარატურის დირებულება კარბურატორებზე უფრო იაფია.

ოთხადგილიანი ავტომობილი „გოლიაფ“, რომელსაც აქვს ორიცილინდრიანი ორტაქტანი უკარბურატორო ძრავა 900 კუბური სანამიტერი საშუალო მოცულობით, ავითარებს 40 ცხენის ძალა სიმძლავრეს და 100 კილომეტრი მანძილის გარბენაზე ხარჯავს 6 ლიტრამდე ბენზინს.

კორტატული

კელიკოპტერი

კელიკოპტერი (ვერტეფრენი), რომელიც აგებულია ამერიკის შერითებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის, მსოფლიოში ყველაზე მსხუტუი საფრენი აპარატია. დაკეცილი საწით იგი გადააქვს ერთ კაცს.



კელიკოპტერი შედგება ჩარჩოს, ორფრთიანი შილი ხრახნისა, საქის ხრახნისა, საწვავის რეზერვუარებისა, საჭლომისა და სამაგრი თასმებისაგან.

დაჭლომისას შსისა და ამორტიზატორის როლს ასრულებს... მფრინავის ფეხები.

შილი ხრახნის აბრუნებს ორი რეაქტიული ძრავა, რომლებიც მოთავსებულია ფრთების ბოლოებზე.

უხსოითის



უქსნიკა

თ ა თ ბ ი შ ი

თეორიული ფიზიკის საკითხებზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თაოსნობით თბილისში ჩატარდა თათბირი თეორიული ფიზიკის საკითხებზე. ამ თათბირში ფიზიკის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოს-თეორეტიკოსებს გარდა მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ხარკოვისა და ერევნის თეორეტიკოსებმაც და აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა ქალაქების თეორეტიკოსებმაც. ჩატარებული იყო ოთხი ბუფნარული სხდომა, რომლებზეც მოსმენილი იყო 17 მოხსენება; მათ შორის მ მოხსენება წაიკითხეს თბილისელმა თეორეტიკოსებმა, 7 მოსკოველმა თეორეტიკოსებმა და თითო მოხსენება ხარკოველმა და ერევნელმა თეორეტიკოსებმა.

თათბირი ძირითადად სამი პრობლემისადმი იყო მიძღვნილი: ატომ-ბირთვის თეორია, კვანტური ელექტროდინამიკა და ელემენტარული ნაწილაკების თეორია და მყარი სხეულის თეორია.

გ. ხუციშვილის მოხსენებაში განხილული იყო საკითხი, თუ რა მონაცემების მიღება შეიძლება ორიენტირებულ ბირთვებზე ექსპერიმენტების ჩატარებით. β და γ - გამოსხივების კუთხვანი განაწილების შესწავლა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ β - აქტიური ბირთვების მაგნიტური მომენტები. პოლარიზებულ ბირთვებსა და პოლარიზებულ ნეიტრონებს შორის რეაქციების შესწავლა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ბირთვული ძალების სპინური დამოკიდებულება და შედგენილი ბირთვების სპინები. მოხსენებელმა მოიყვანა მის მიერ ჩატარებული გამოთვლების შედეგები β - ნაწილაკების კუთხვანი განაწილებისათვის $\Delta I = \pm 2$ (კი) β - გადასვლის შემთხვევაში. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ფერომაგნიტური ატომების ბირთვების პოლარიზაციას შეიძლება მივაღწიოთ, თუ ზედალ ტემპერატურამდე გაცივებულ ფერომაგნიტოს მოვლეთ ნაჯერობის ველზე მეტ მაგნიტურ ველს. ატომის მიერ ჩატარებული გამოთვლა იძლევა, რომ პროტონის სპინის შეტრიალების ალბათობა წყალბადის ატომის იონიზაციისას მცირეა.

ი. სმოროდინსკის მოხსენებაში დადგენილია ექსპერიმენტების რიცხვი, რომელთა ჩატარება საჭიროა იმისათვის, რომ მივიღოთ სრულ ცნობები პროტონ-პროტონ გაბნევის ამპლიტუდის შესახებ (არა პოლარიზებული სამიზნეების შემთხვევაში). ეს ამპლიტუდა დამოკიდებულია ზუთ კომ-

პლექსურ ფუნქციაზე. ამ ფუნქციათა ანალიზობის პირობა იძლევა კავშირს მათ მიღებულს და ფაზებს შორის, ისე რომ ზოგად შემთხვევაში ექსპერიმენტების რიცხვი ზუთის ტოლია. თუ ურთიერთქმედება არაა დამოკიდებული სიჩქარეზე, ექსპერიმენტების რიცხვი სამის ტოლია. ამ შემთხვევისათვის მოცემულია კვებებს შორის ორი კავშირი. რელატიურ არეში აუცილებელი ექსპერიმენტების რიცხვი ორდება.

ვ. ბერესტეცკის მოხსენებაში განხილული იყო μ - მეზონების ზოგიერთი თვისებები კვანტური ელექტროდინამიკის გამოყენების საზღვრებთან დაკავშირებით. როგორც აჩვენეს ლანდამ და პომერანჟუკმა, ველის თანამედროვე კვანტური თეორია არ არის სამართლიანი მცირე მანძილზე, რომლებიც ნაკლებია 10^{-13} - 10^{-14} სმ რიგის კრიტიკული სიგრძეზე. ჩატარებულია μ - მეზონის მაგნიტური მომენტის გამოთვლა. ირკვევა, რომ თუ μ - მეზონს არ გაჩაჩნა ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებაზე ძლიერი ურთიერთქმედება, მაშინ მისი მაგნიტური მომენტის ღირავის მნიშვნელობიდან გადახარა მივიხითებეს, თუ რა რიგისაა კრიტიკული სიგრძე. ჩატარებულია ელექტრონულ-პოზიტრონული წყვილის მეზონურ წყვილში გარდაქმნის პროცესის გამოთვლა. ამ პროცესის კვეთი ტოლი არის $5.10 \cdot 10^{-21}$ Z სმ² ატომზე.

ნ. პოლივეკოვის მოხსენებაში მიძღვნილი იყო კვანტურ ელექტროდინამიკაში ფუნქციონალური მეთოდების გამოყენებისადმი. მიღებულია მწარმოებელი ფუნქციონალის გამოსახულება, რომლიდანაც შეიძლება მიღებულ იქნეს კვანტური ელექტროდინამიკის ორინის ყველა ფუნქცია. ჩატარებულია მუხტის ზუსტი გადანორმირება შემოფოთებათა თეორიის გამოყენების გარეშე; ნაჩვენებია, რომ ექსპერიმენტული მუხტი არ არის ნულის ტოლი, თუ საწყის მუხტს მივაწერთ სათანადოდ არჩეულ უსასრულო მცირე წარმოსახვით მნიშვნელობას. გამოყვანილია ფოტონის გრინის ფუნქცია. უფრო მარტივი გზით მიღებულია ლანდაუს, აბრიკოსოვისა და ხალატნიკოვის შედეგი.

ვ. გინზბურგის მოხსენებაში განხილული იყო ზოგად ფარლობითობის თეორიის ექსპერიმენტული შემოწმების თანამედროვე მდგომარეობა.

ვ. მამასახლისოსა და გ. ჭილაშვილის თავის მოხსენებაში მოყავთ ჰიპოთეზი,

რომლის თანახმად, მცირე Z -ის შემთხვევაში, ატომ-ბირთვი შევკვლია განვიხილოთ როგორც შემდგარი დეიტონებისა, ტრიტონებისა და α -ნაწილაკებისაგან. ამ ჰიპოთეზის საფუძველზე მოცემულია ატომბირთვების იზოტოპთა განაწილების რიგი თანხებურებების ახსნა. გაზურ მოდელზე დაფუძნებული ატომბირთვული დონეების სიმკვრივის ფორმულიდან გამომდინარე დასკვნები შედარებულია ექსპერიმენტულ მონაცემებთან, რომლებიც ატომბირთვების მერ ნეიტრონის ჩაჭერის ეფექტური განივკვეთის ანალიზიდანაა მიღებული. ნაჩვენებია, რომ თეორიასა და ცდას შორის თანხედნის მისაღწევად აუცილებელია ვივარაუდოთ, რომ ატომბირთვის ნაწილაკთა ეფექტური რიცხვი 2—3-ჯერ ნაკლებია ნუკლონთა რიცხვზე. ეს ფაქტი მითითებს სხენებული მოდელის სამართლიანობაზე. სხენებული მოდელის საფუძველზე განაგრძებულია ზოგიერთი რეაქციის კვებები; თეორიული შედეგების თანხედნა ექსპერიმენტულ მონაცემებთან დამაკმაყოფილებელია.

თ. კობალეიშვილი გამოთვალა (*დ, 1*) რეაქცია B^{10} და C^{12} -ზე. ნაგულისხმევია, რომ კენტი ნეიტრონი მოძრაობს ნსცილატორულ ველში, რომელიც შექმნილია ბირთვის ჩონჩხით და რომ დაცემული დეიტონი ურთიერთქმედებს მხოლოდ კენტ ნეიტრონთან. გამოთვლები ჩატარებულია ბორნის მიახლოებაში. კუთხური განაწილების თანხმობა ექსპერიმენტულ მონაცემებთან 0—50° კუთხეების ინტერვალში დამაკმაყოფილებელია.

მ. კობალიშვილის შრომაში გამოთვლილია ატომბირთვის ელექტროდინამიკის კვება იმ შემთხვევაში, როცა ელექტონი განიცდის აბრეკად განხევას, ბირთვიდან კი ამოვარდება ნუკლონი. ელექტრულ და მაგნიტურ დიპოლურ გადასვლებითათვის გამოთვლილია ბირთვის ავზების ფუნქციები. შემდგომი გამოთვლები ჩატარებულია დამოუკიდებელ ნაწილაკთა მოდელის თანახმად. მიღებულია გაბნეული ელექტრონების კუთხური განაწილება და ელექტროდინამიკის ინტეგრალური კმეით დიპოლური გადასვლებისათვის.

მ. ტერმიქაელიანის მოხსენებაში მოცემული იყო სწრაფ ნაწილაკთა ატომებთან არადრეკადი დაჯახებების კვანტურ-მექანიკური განხილვის შედეგები. გამოყენებული იყო მაქსველის მაკროსკოპული განტოლებები, რაც საშუალებას მიძლევს მხედველობაში მიღებულ იქნეს გარემოს გავლენა. გარჩეულია შემდეგი საკითხები: დანაყარების დაყოფა ახლო და შორ დანაყარებად, დიექტრიკული მუდმივის შემოყვანის შესაძლებლობა, ენერჯის სრული დანაყარები, ჩერენკოვის გამოსხივება და სხვ.

მ. მირიანაშვილის მოხსენებაში ნაჩვენებია იყო, რომ კიანეილოს მტკიცება სივრცისა და დროის ინერსიის ოპერატორებისა და მუხტური შე-

უღლების ოპერატორის კომუტაციურობის შესახებ ფერმიონების შემთხვევაში, არაა სწორი. სპინორებისა და მათი დაუყვანადი ნაწილების კონსერვაციის ნამრავლის განხილვა მივითითებს შესაძლებლობაზე, შევადგინოთ ველის სიდიდეები, რომლებიც განსხვავდებიან ჩვეულებრივ სკალარებისაგან, ექტორებისაგან, ფსევდოსკალარებისაგან და ა. შ. სივრცისა და დროის ინერსიის შედეგად გარდაქმნი (ეს განსხვავება გამოხატება $\pm i$ -ზე გამრავლებაში ინერსიის შედეგად).

ვ. კავკანიძის მოხსენებაში მოცემული იყო ბოზონურ-ფერმიონული ველების განტოლებებში არაწრფევი წევრების შემოყვანის ახალი მეთოდი. იგულისხმება, რომ ნუკლონი რთულ ნაწილაკს წარმოადგენს და რომ მისი ბირთვი-ნუკლეონი აღიწერება დირაკის განტოლებით. ელექტრულად დაუმუხტავი π -მეზონების აღსაწერად შემოიღება ურთიერთშეუღებული ველის ფუნქციები. ეს შეუღლება არ თანხვდება ჩვეულებრივ კომპლექსურ შეუღლებას. ზოგად შემთხვევაში ველის ფუნქციები კვანტრონებს წარმოადგენენ. ურთიერთქმედების ჩართვა ხდება ისევე, როგორც ელექტროდინამიკაში. შემოყვანილია ნუკლონებისა და მეზონების სისტემის ლაგრანჟიანი და ამ ლაგრანჟიანის საფუძველზე გამოტანილია ზოგიერთი დასკვნები.

ი. ხალატნიკოვის მოხსენებაში კვანტური ელექტროდინამიკის გრინის ფუნქციები წარმოდგენილია კონტინუალური ინტეგრალების სახით როგორც ფოტონური ველის, ისე სინორული ველის ფუნქციათა სივრცეში. ვადალახულია სინფლე, დაკავშირებული არაკომუტაციურ ცვლადებზე დამოკიდებული ფუნქციების ინტეგრირებასთან. მიღებულია S-მატრიცის ვაკუუმური საშუალო და ერთელექტრონიანი ამოცანის გრინის ფუნქციის გამოსახულება.

ლ. ლანდაუს, ა. აბრიკოვსის და ი. ხალატნიკოვის მოხსენება მიძღვნილი იყო თხევად ჰელიუმ 3-ის შექყვლისადმი დაბალი ტემპერატურის პირობებში. მიღებულია ფუნქციონალური დამოკიდებულება ფერმი-ავზების ენერჯიასა და განაწილების ფუნქციას შორის. გამოიყენეს რა ექსპერიმენტული მონაცემები ჰელიუმ 3-ის სითბოტევადობის ტემპერატურაზე დამოკიდებულების შესახებ, ავტორმაა მიიღეს ფერმი-ავზების ენერჯის იმპულსზე დამოკიდებულების ფორმულა. შემდეგ გამოთვლილ იქნა ჰელიუმ 3-ის მაგნიტური მომენტი, სიბლანტე და სითბოგამტარებლობა. კერძოდ, ჰელიუმ 3-ის სიბლანტე უნდა იყოს პროპორციული $\frac{1}{T^2}$ -ისა დაბალი ტემპერატურის პირობებში (ფერმი-ვადავარების მოხსნის ტემპერატურის ქვევით) და მუდმივი მაღალი ტემპერატურის პირობებში. ჰე-

ლიუმ 3-ის სითბოგამტარებლობა პროპორციულად უნდა იყოს $\frac{1}{T}$ -სი დაბალი და T -სი მაღალი ტემპერატურის პირობებში; ამრიგად, ჰელიუმ 3-ის სითბოგამტარებლობას მინიმუმში უნდა გააჩნდეს შუალედურ არეში. გარდა ამისა, გამოტანილია დასკვნა, რომ ჰელიუმ 3-ს მეორე სიბლანტე უნდა გააჩნდეს.

ი. მი რ ც ხ უ ლ ა ვ ა ს მოხსენებაში განხილულ იქნა ნახევარგამტარების სინათლის გაშუქების დროს არაწონასწორობის ცენტრების წარმოშობისა და რელაქსაციის კინეტიკა. მონახულია სათანადო კინეტიკური განტოლების სტაციონარული და რელაქსაციური ამოხსნები ელექტრონული, ხვერლური და შერეული გამტარებლობის შემთხვევაში. სტაციონარული და რელაქსაციური ამოხსნების საშუალებით მონახულია სხვადასხვა ცენტრების რიცხვის ცვლილება ნახევარგამტარის გაშუქებისას. რეკომინაციის კოეფიციენტები გამოთვლილია ბეკარის თეორიის მიხედვით.

ი. ლ ი ფ შ ი ც კ ის შრომაში განვითარებულია ნებისმიერ სხეულებს შორის მიზიდვის მოლეკულური ძალების თეორია იმ შემთხვევაში, თუ სხეულთა ზედპირები დაახლოებული არის ძალიან მცირე მანძილამდე. სხეულთა ურთიერთქმედება განიხილება როგორც გამოწვეული ფლუქტუაციური ელექტრომაგნიტური ველით. მიღებულია ზოგადი ფორმულა, რომელიც იძლევა მიზიდვის ძალას ნებისმიერ მანძილზე, ამავე დროს ამ ძალის გამოთვლისას საკმარისია სხეულის დიელექტრიული თვისებების ცოდნა. განხილულია ტემპერატურის გავლენა მიზიდვის ძალაზე.

ი. ჩ ა ხ რ ტ ი შ ვ ი ლ ის შრომაში გამოთვლილია F-შთანქმის მრუდი შერეულ ტუტე-პალიდიურ კრისტალებში. შერეულ ტუტე-პალიდიურ კრისტალებში გვხვდება შვიდი სხვადასხვა ტიპის F-ცენტრი. ცალზე გაზომილი F-ზოლი წარ-

მოადგენს სხვადასხვა ტიპის F-ცენტრების სათანადო ზოლების გადაფარვით მიღებულ ზოლს გამოთვლები ჩატარებულ იქნა ბეკარის თეორიის მიხედვით.

ი. ლ ი ფ შ ი ც კ ის, მ. ა ზ ბ ე ლ ის და მ. კ ა ნ ო ვ ი ს მოხსენებაში განხილულ იყო მეტალებში გალვანომაგნიტურ მოვლენათა თეორია; განხილვისას ავტორები არავითარ დაშვებებს არ აკეთებენ გამტარებლობის ელექტრონების დისპერსიის კანონისა და დაჯახებთა ინტეგრალის შესახებ. მიღებულია კინეტიკური განტოლების ამოხსნა ძლიერი მაგნიტური ველის შემთხვევაში და ამ ამოხსნის საშუალებით მოძებნილია გამტარებლობის ტენზორი. ნაჩვენებია, რომ წინააღმდეგობის დამოკიდებულება მაგნიტურ ველზე და ტემპერატურაზე არსებითად დამოკიდებულია ფერმის ზედაპირის ტოპოლოგიაზე. გამტარებლობის დამოკიდებულების ხასიათი მაგნიტურ ველზე საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ელექტრონების ენერგეტიკული სპექტრი.

თათბირი მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. მოხსენებათა უმრავლესობას თან ახლდა აზრთა ცხოველი გაცულა-გამოცულა და კამათი.

თათბირის ბოლოს სიტყვებით გამოვიდნენ ვ. მამასახლისოვი და ი. სმოროდინსკი. მათ აღნიშნეს, რომ ქართველ ფიზიკოსებს საკმაოდ დიდი მიღწევები აქვთ თეორიული ფიზიკის მთელ რიგ დარგებში.

ჩატარებული თათბირი დიდ როლს ითამაშებს საქართველოში თეორიული ფიზიკის შემდგომ განვითარების და აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ფიზიკოს-თეორეტიკოსებთან ქართველი თეორეტიკოსების მეცნიერული კონტაქტის დამყარების საქმეში.

გ. ხუციშვილი

წგმო BF-6

წებო BF-6 მიღებულ იქნა საბჭოთა ინჟინრების მიერ ტექნიკური მიზნებისათვის. მაგრამ პროფესორმა ლ. გ. შკოლნიკოვმა წინადადება წამოაყენა გამოყენებულ იქნეს იგი მედიცინაში. ამჟამად ამ წებომ გამოყენება პოვა სამკურნალო პრაქტიკაში მიკროტარებების დამუშავებისათვის.

წებო BF-6 წარმოადგენს სპეციალური სინთეზური ფიხის სპირტოვან ხსნარს. იგი სტერილურია, ბაქტერიოციდული და ხაიმედოა ჭრილობის დასაცავად ჩირქმზადი ინფექციის გართულებისაგან. მინის ჩხირის დახმარებით ჭრილობასა და მის ირგვლივ კანზე თხელ ფენად დადებული წებო შრება მ-

წუთის განმავლობაში და კანის ზედაპირზე ძლებს 2-4 დღეს. ამასთან სპირო არა არავითარი სახვევი. მთლიანი და მტკიცე აფსკის მისაღებად წებო უნდა დაედოს მშრალ, არასისხლმდენ ჭრილობას (სისხლთან შეხებისას წებო ქაფდება და აფსკი არ წარმოიშვება). აფსკის დაზიანების შემთხვევაში უნდა დაედოს ახალი. თუ ჭრილობა გაჭუქიანებულია, ან მას აქვს ანთების ნიშნები, მაშინ წებო BF-6-ის გამოყენება არ შეიძლება.

წებო შენახული უნდა იქნეს ცივ ადგილზე, კარგად თავდაცული. ამოშრობის შემთხვევაში იგი შეიძლება გაზავებულ იქნეს სპირტში სპირო კონტენტრაციით.

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაციის ისტორიისათვის

3. ზუზუბი

გეოლოგია-მინერალოგიის მცენიერებათა კანდიდატი, ა. მ. ვიკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგო-
გიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი

საქართველოს მრეწველობის ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვანახშირს. საქართველოში ქვანახშირის მოპოვებაში ტყვარჩელის საბადოს წამყვანი ადგილი უჭირავს.

შარშან 20 წელი შესრულდა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაციის დაწყებიდან. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ მკითხველს გაეცნობთ ზოგიერთ ცნობას ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს აღმოჩენისა და შესწავლის ისტორიიდან.

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს აღმოჩენაში პირველობა ეკუთვნის სოფელ ტყვარჩელის მცხოვრებ აფხაზ მწყემსებსა და მონადირეებს.

1881 წელს მოხლემ, ვინმე კონობაკიმ, ბატაკი წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს აფხაზეთში მდინარე ლალიძგის მარჯვენა შენაკად ბუცხევეკარას ხეობაში ქვანახშირის საბადოს არსებობის შესახებ, მაგრამ ეს განცხადება უშედეგოდ იქნა დატოვებული.

საარქივო მონაცემების მიხედვით გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო განცხადებების შეტანა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ძიებისა და ექსპლოატაციის უფლებებისათვის.

პირველი განაცხადი ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფოებრივი ქონების სამმართველოში შეტანილ იქნა ქუთაისელი წინამძღვაროვის, ინჯიას და ბაიჭაძის მიერ. მათ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს არსებობის შესახებ ცნობები ნაცნობების მეშვეობით მიიღეს აფხაზი მწყემსებისაგან. 1896 წელს განმცხადებლებმა მიიღეს ნებართვის სამი მოწმობა მდ. ლალიძგის მარცხენა შენაკად ხელიკვარის ხეობაში ნახშირის ძიების შესახებ. მომდევნო წელს განმცხადებელთა ჯგუფს მიემატნენ ძოწუნძიკე, კარტოზია და შარვაშიძე. მათ მითითებული უბნების გარეთაც დაიწყეს ქვანახშირის ძიება და 1896—98 წლებში

ქვანახშირის საბადო აღმოაჩინეს მდინარე ლალიძგის შენაკადების — აყულმეყვის, სოუკვარის, ცაყეკვარის, არაშრაკვარის და დიდი მახმეს ხეობებში.

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს შესახებ პირველი ცნობები რუსულ პრესაში გამოქვეყნდა 1896—97 წლებში, დაიბეჭდა ცნობები აგრეთვე ფრანგულ ენაზეც. ყოველივე ამან გამოიწვია ახალ მეწარმეთა გამოჩენა. დამახასიათებელია, რომ აფხაზეთის ყოფილი მთავრის შვილმა გიორგი შარვაშიძემ ხაზინაში წარადგინა სარჩელი. იგი ამტკიცებდა, რომ ტყვარჩელის აგარაკი მისი საკვარეულო „საკუთრება“ იყო, მაგრამ სასამართლოს დადგენილებით მას უარი უთხრეს ამ პრეტენზიაზე. 1898 წელს ტყვარჩელში გამოჩნდა ბოლოელი მემაჟულე გ. ვ. ბუტში დე-კაცმანი, რომელმაც სამხრეთ რუსეთის მიუღ რიგ მიწათმფლობელებთან ერთად შეადგინა „ამხანაგობა“ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ძიებისა და ქვანახშირის მოპოვებისათვის.

1899 წლისათვის საბადოს დამუშავების უფლების მიღებაზე იმდენი განაცხადი შეკრებდა, რომ გამოთხოვილი ფართობის რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ტყვარჩელის ქვანახშირიანი რაიონის ფაქტიურ ფართობს. ამას მოჰყვა განცხადებებით სპეკულაცია და სასამართლო პროცესები.

1899 წელს ტყვარჩელში ჩამოვიდა სამთო ინჟინერი ი. გ. რაბინოვიჩი. მან იყიდა ბევრი განაცხადი და გამოვიდა ბუტში დე-კაცმანის სერიოზულ კონკურენტად. სახელმწიფოებრივ ქონებათა საგუბერნიო სამმართველომ ტყვარჩელში არსებულ უწყსრილობათა მოსაგვარებლად გამოგზავნა სპეციალური კომისია. კომისიის მიერ ტყვარჩელის რაიონის მეტი ნაწილი მიმაგრებულ იქნა ბუტში დე-კაცმანის ჯგუფზე, რომელმაც ისეთი ხელშეკრულება დალო ადგილობრივ გლეხებთან, რომ ქვანახშირის ახალი გამოსავლების პოვნის შემთხვევაში „ამხანაგობა“ დიდ მოგებას ნახავდა, ხოლო გლეხები მცირედითაც უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. ხელშეკრულებაში

აღნიშნული იყო, რომ „ამხანაგობის“ ხელმძღვანელი ვალდებული იყო „საკუთარი სინდისის მიხედვით დაეკიდებინა“ გლეხები.

1898 წელს ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს წინასწარი გამოკვლევა ჩაატარა სამთო ინჟინერმა შახგული-მირზამ, 1899 წელს საბადოს იკვლევდა სამთო ინჟინერი კ. ი. ჩერნეცკი.

1899—1900 წლებში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფოებრივ ქონებათა სამინისტრომ ტყვარჩელში მიაგლინა სამთო ინჟინერი ი. ლუტუგინი, რომელმაც მოგვცა შედარებით ზუსტი აღწერა საბადოსი. 1900 წელს ტყვარჩელში ჩამოვიდა კარდიფის (ინგლისი) უნივერსიტეტის პროფესორი სამთო ინჟინერი პალლოვი. მისი გამოკვლევების შედეგები იმავე წელს გამოქვეყნდა ინგლისში. იგი ტყვარჩელის ქვანახშირის ადარებდა კარდიფის საუკეთესო ქვანახშირს. საერთოდ რაიონის გეოლოგიისა და ქვანახშირის საბადოს შესახებ მას არაფერი ისეთი არ უთქვამს, რაც არ ჰქონდა აღნიშნული ვ. ი. ლუტუგინს.

ტყვარჩელის ქვანახშირის გამოცდა პირველად ჩატარდა 1898 წელს ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში. 1900-1901 წლებში ვ. ი. ჩერნეცკის წინადადებით ტყვარჩელის ქვანახშირის ანალიზები ტარდებოდა პეტერბურგის სამთო ინსტიტუტის ლაბორატორიაში, ქერჩის ყიქვის ლუმელებში და შავი ზღვის ნაღმოსნებზე. ყველა ანალიზმა და გამოცდამ დაამტკიცა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირი არის მაღალი ხარისხის, კოქსვადი და იგი იძლევა კარგ მეტალურგიულ კოქსს. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ საბადო მარავითაც მნიშვნელოვანია და ღირსია მეტი ყურადღებისა.

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს შესწავლის მიზნით 1899-1900 წლებში კავკასიის სამთო სამმართველოს დავალებით სამთო ინჟინერი ვ. ნ. ვებერმა აწარმოებდა მდ. ლალიძის აუზის გეოლოგიურ შესწავლას. მისი შრომა მდინარე ლალიძისა და მის მოსაზღვრე მდინარეთა აუზების გეოლოგიური აგებულების შესახებ გამოქვეყნდა 1903 წელს. ვ. ნ. ვებერმა მოგვცა მდ. ლალიძის აუზის გეოლოგიის საერთო სქემა, რომელსაც ძირითადად ამჟამადაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ქვანახშირის მარაგისა და ხარისხის შეფასებაში ვებერი ეთანხმებოდა ლუტუგინის მოსაზრებებს.

ამგვარად, მკვლევართა ეს დასკვნები თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ დაეწყო ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს დეტალური ძიება და შემდგომი ექსპლოატაცია, მაგრამ ყოველი-

ვე ეს მილიონებს მიითხოვდა. ეს მილიონები უნდა მოეცა წარმოების მომავალ აქციონერებს, რომელთაც ბუტმი დეკაცამანა დივიდენდის 34%-მდე აღუთქვა. ბუტმი დეკაცამანის მიერ ჩამოყალიბებული ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს სააქციო საზოგადოება დამტკიცებულ იქნა 1903 წელს. მას გადაეცა ნებართვის 101 მოწოვა. ამ საზოგადოებამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო 1908 წლიდან, მაგრამ სააქციო საზოგადოებას არსებობის მთელი 10 წლის განმავლობაში ფაქტიურად თითქმის არაფერი გაუკეთებია ქვანახშირის ამოღებისათვის, რადგან მას არ ჰქონდა სათანადო ფინანსური საშუალებანი.

ტყვარჩელის ქვანახშირით მოსკოვის საფინანსო წრეების დანტრესებისათვის მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ეწამოლოგმა, რომელც ტყვარჩელს ესტუმრა, დაწერა წერილი მოსკოვის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის ნაიდნოვის სახელზე—ხელიდან არ გაეშვათ ისეთი ხელსაყრელი და სასარგებლო საქმე, როგორც იყო ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაცია. მაგრამ საქმეს მინისტრის სარეკომენდაციო წერილმაც კი ვერ უშველა. ვერ მიაღწია რა წარმატებებს მოსკოვში, ბუტმი დეკაცამანა წინადადებით მიმართა საფარანგოსა და ბელგიას, მაგრამ იქიდანაც უარი მიიღო. ამგვარად, საზოგადოებამ ვერ მოახერხა ამ საქმეში ჩაება სერიოზული მონაწილეობა. ამის შემდეგ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს დაფინანსებისათვის წამოყენებულ იქნა საკითხი ფოთი-ტყვარჩელის რკინიგზის შტოს გაყვანის შესახებ, რომელსაც, ქვანახშირის გამოზიდვის გარდა, თავისთავადაც ექნებოდა დიდი მნიშვნელობა. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ოჩამჩირესთან რკინიგზით შეერთების საკითხი ჯერ კიდევ პირველვე „განმცხადებლებმა“ დასვეს; მოითხოვდნენ აგრეთვე ოჩამჩირეში ნავსადგომის მშენებლობას, მაგრამ 1903 წელს ოჩამჩირეში პორტის მშენებლობა მიჯანშეუწონდალ იქნა ცნობილი ფოთთან სიახლოვისა და დიდი ხარჯების გამო.

1905 წლიდან ტყვარჩელის სააქციო საზოგადოებამ საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ფოთის ქალაქისათვითან—ცნობილ ქართველ პუბლიცისტ და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძესთან. იმავე წლის მაისში საზოგადოების დამფუძნებლებმა ფინანსთა სამინისტროს წინაშე აღძრეს შუამდგომლობა ფოთიდან ტყვარჩელამდე ვიწროლიანდაკიანი რკინიგზის მშენებლობის შესახებ, მაგრამ შუამდგომლობა უშედეგოდ დარჩა. რკინიგზის მშენებლობის



შესახებ კამპანია 1908 წლიდან ისევ დაიწყო. ამ წელს დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის სტატია — „ტყვარჩელი-ფოთის დასაბრუნებელი ვიწრო-ლიანდაგიანი რკინიგზის ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ“. ამის შემდეგ ტყვარჩელის სააქციო საზოგადოებამ კვლავ აღძრა საკითხი — მიეცათ საზოგადოებისათვის რკინიგზის მშენებლობის უფლება. საზოგადოება მოითხოვდა მთავრობის გარანტირებული ობლიგაციების გამოშვებას იმ საფუძველზე, რომ ქვეანხმირით უზრუნველყოფდა შავი ზღვის სანაპირო მხარეებს. მაგრამ აქაც მათ ფაქტიურად უარი ეთქვა, რადგან საზოგადოებისადმი წარდგენილ იქნა ისეთი მოთხოვნები, რისი შესრულებაც მას არ შეეძლო (4 მილიონი მანეთის შეტანა საცარნოში). ისე, რომ 1911 წელს ფინანსთა სამინისტრომ ტყვარჩელის სააქციო საზოგადოებას აცნობა, რომ სამინისტრო საჭიროდ არ ცნობს შემდეგში მსვლელობა მისცეს ფოთი-ტყვარჩელის რკინიგზის მშენებლობის საკითხს. შემდეგში ერთხელ კიდევ—1915 წელს ახალი რკინიგზების მშენებლობის კომისიაში წამოყენებულ იქნა ფოთი-ტყვარჩელის რკინიგზის შტოს გაყვანის საკითხი, მაგრამ ესეც უშედეგოდ დამთავრდა.

ამვე დროს ტყვარჩელის ქვეანხმირის საბაღოს სააქციო საზოგადოების მდგომარეობა თანდათანობით კრიტიკული ხდებოდა. ჯერ კიდევ 1906 წელს მისი უფლებები ძალდაკარგული იყო, რადგან მან ვერ შეასრულა ვალდებულებანი საბაღოს ძიების ვადების შესახებ. შემდეგ წლებში მათ მიეცათ მთელი რიგი შეღავათები, მაგრამ იგი საზოგადოებამ ვერ გამოიყენა, რადგან მათი ფინანსური მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა, ისე რომ 1912 წლის მაისში, როდესაც უკანასკნელი ანგარიშით ამოიწურა მერვე შეღავათის ვადა და პირობები არ იყო შესრულებული, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა უარი უთხრა საზოგადოებას შემდგომ შეღავათებზე. საზოგადოებამ ბანკში ვერ შეიტანა თანხები გირაოსა და დასამუშავებლად მიკუთვნებული ფართობებისათვის, ამიტომ კავკასიის სამთო სამმართველოს დადგენილებით 1913 წლიდან მან დაკარგა საბაღოს შემდგომი დამუშავების უფლება. სააქციო საზოგადოებამ გასაჩივრა ეს დადგენილება ჯერ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში, შემდეგ სენატში, სადაც საქმე ჩარჩა რევოლუციამდე.

ისარგებლეს რა ბუტში დეკაცმანის სააქციო საზოგადოების გაუქმებით, ტყვარჩელში გამოჩნდა

მრეწველთა ახალი ჯგუფი. ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ ცნობილმა პუბლიცისტმა გ. თ. ზდანოვიჩმა (მაიაშვილი), სამთო ინჟინერმა პ. ბ. ივანოვმა და წინათ არსებული სააქციო საზოგადოების მმართველმა გურსკიმ შეიტანეს განცხადებები ტყვარჩელის ქვეანხმირის საბაღოს ნაწილის დამუშავების შესახებ. ამ ჯგუფმა ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1915 წელს მიიღო ნებართვის 29 მიწობა. ეს ჯგუფიც ფინანსურად უმწეო აღმოჩნდა. საძიებო ქირის შეუტანლობის გამო, მეორე წელსაც ვერ დაიწვეს საძიებო სამუშაოები. 1916 წელს ეს ჯგუფი ცდილობდა ტყვარჩელით დაინტერესებინა შავი ზღვის რკინიგზის მშენებელი საზოგადოების გამგეობა, ამიტომ გ. ზდანოვიჩის ჯგუფმა წერილი გაუგზავნა შემოსხენებული საზოგადოების გამგეობას. ისინი არ ზოგადდნენ საღებავებს დასაბრუნებელი წარმოების შექმნისათვის. გარდა ნახშირისა, ტყვარჩელის რაიონში საზოგადოების ყურადღებას მიაკცვედნენ საკურორტო საქმეს (გულსხმობდნენ ტყვარჩელის მინერალურ წყაროებს) და ხე-ტყის წარმოებას. ზდანოვიჩის ჯგუფს არავითარი პასუხი არ მიუღია რკინიგზის მშენებელი საზოგადოებისაგან, რადგან ომის წლებში ამ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობაც შერყეული იყო.

შემდეგში საკამოდ ცნობილმა ქიმიკოსმა ვ. მ. კოზლოვმა, რომელმაც ტყვარჩელის ქვეანხმირის საბაღოს სპეციალური წერილი და მოხსენებები მიუძღვნა, სოხუმელ მეწარმეთა ჯგუფთან ერთად, 1916 წელს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში შეიტანა განცხადება ტყვარჩელის ქვეანხმირის საბაღოების შესახებ. ისინი მოითხოვდნენ ცენტრიდან სოხუმსა და ტყვარჩელში სპეციალური რწმუნებულის ჩამოსვლას ტყვარჩელის დასათავაღიერებლად, საბაღოს თუნდაც პრიმიტიულ დამუშავებას და ქვეანხმირის მიტანას ნავსადგურამდე; წარმოების მუშახელით უზრუნველსაყოფად არტელების ჩამოყალიბებას და რწმუნებულის განკარგულებაში საჭირო თანხების გადაცემას და ადგილობრივ მოქალაქეებისაგან დამხმარე კომიტეტის შექმნას. მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ტყვარჩელის ქვეანხმირის საბაღოს დამუშავების პრეტენდენტად გამოიხსნა სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „ივან სტახევი და კომპანია“. ამ ამხანაგობამ 1917 წლის პირველ ნახევარში შეიძინა ტყვარჩელის ქვეანხმირის საბაღოს დამუშავების უფლებები. ერთდროულად მათ მიერ შექმნილ იქნა



ნებართვის მოწოდებები დაშქესანის რკინის საბაღოს რაიონში, მაგრამ მათი საქმიანობა არ გაგრძელდა.

1918 წლის მეორე ნახევარში მენეჯერ მთავრობას უნდოდა საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა დამუშავება უცხოეთის კაპიტალის ძალებით. ამიტომ მთავრობამ ტყვარჩელის ქვანახშირის საბაღოს დამუშავების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო ჯერ ნორვეგიელ მრეწველებთან, მაგრამ უშედეგოდ; შემდეგში — 1920 წლიდან საქართველოს მენეჯერმა მთავრობამ ტყვარჩელის ქვანახშირის საბაღო 45 წლის ვადით საკონცესიოდ გადასცა იტალიელ მრეწველებს — კომპანია „ილვას“. მათ დასამუშავებლად გადაეცათ მდ. ღალიძგის აუზი და მისი მიდამოები. საბაღოს გაგრძელების შემთხვევაში მათ მიეცათ უფლება სოხუმსა და ფოთს შორის ნავსადგურის აგებისა და ხე-ტყით უფასოდ სარგებლობისა. მოსამზადებელ პერიოდში მთავრობას უნდა მიეღო ქვანახშირის მოპოვების 5%, ექსპლუატაციის პირველ 10 წელში — 10%, შემდეგ 10 წელს — 15% და 21 წლიდან ვადის დამთავრებამდე — 20%.

„ილვას“ საქმიანობა ქალაქზე დარჩა, ფაქტიურად მას არაფერი გაუქებებია. „ილვას“ წარმომადგენლებს წესიერად არც კი დაუთვალა იერებიათ ტყვარჩელის ქვანახშირის საბაღოს რაიონი.

ამგვარად, მთელი 25 წლის განმავლობაში, 1896

წლიდან 1921 წლამდე, არც მეფის ხელისუფლების პირობებში და არც მენეჯერების ბატონობის პერიოდში პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა ტყვარჩელის ქვანახშირის საბაღოს ექსპლუატაციისათვის.

ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლუატაციის საკითხი პრაქტიკულად დაისვა და გადაიჭრა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში. 1923 წლიდან ტყვარჩელის ქვანახშირის საბაღოს დამუშავების შესახებ საკითხი დაისვა ჯერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, შემდეგ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. 1926 წლიდან დაიწყო ქვანახშირის ძიება სამრეწველო თვალსაზრისით. 1927 წელს აფხაზეთის ასსრ სავეგმო კომისიისათვის შეიქმნა ტყვარჩელის კომისია. გეოლოგურმა კომიტეტმა ტყვარჩელის ქვანახშირის საბაღოს შესასწავლად მოაწყო ექსპედიცია ვ. მოკრინსკის ხელმძღვანელობით. ვ. მოკრინსკიმ 1926—34 წლების მანძილზე დიდძალი ფაქტიური მასალა შეაგროვა, რის საფუძველზედაც მოგვცა ამ რაიონის გეოლოგიური ავტულების საკმაოდ ნათელი სურათი. ვ. მოკრინსკის გამოკვლევების საფუძველზე დაპროექტებულ იქნა ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ სამუშაოები.

1935 წელს საქსპლუატაციოდ გადაეცა ტყვარჩელის სტალინის სახელობის მაღარო. უკვე 20 წელიწადია, რაც ტყვარჩელი ჩვენს რესპუბლიკას „მრეწველობის პურს“ — ქვანახშირს აწვდის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჰიპოთეზა კლინიკაში

ვარშავის დედათა და ბავშვთა ინსტიტუტის გინეკოლოგიური კლინიკისა და სამშობიარო განყოფილების, აგრეთვე რიგი სამკურნალო დაწესებულებების ქირურგები სარგებლობენ ავადმყოფების ოპერაციისათვის მომზადების ახალი მეთოდით, ეგრეთ წოდებული ჰიპოთერმიით. ეს მეთოდი ემყარება ფრანგი ექიმების უანლეს მიღწევებს და მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული პოლონელ მეცნიერთა მიერ.

ავადმყოფის სხეულის ტემპერატურა ხელოვნურად მცირდება. იწყება სუნთქვისა და გულის მუშა-

ობის შენელება. ამ მდგომარეობას აღწევენ ავადმყოფის სხეულის გაცივებით ყინულით და სპეციალური ფარმაკოლოგიური საშუალებებით.

როგორც პრაქტიკამ დაამტკიცა, ამ მეთოდით ოპერაციისათვის მომზადებული ავადმყოფები მძიმე ქირურგიულ ჩარევებსაც უფრო ადვილად იტანენ, ვიდრე ჩვეულებრივი ნარკოზის დროს. ჰიპოთერმიის მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს სისხლდინამიკები ნაკლები აქვთ, აღარა აქვთ კრუნჩხვები, რაც აწნელებს ოპერაციებს. გარდა ამისა, ავადმყოფი გაცივებით ადვილად იტანს ოპერაციის შემდგომ პერიოდს და სწრაფად იკურნება.



კარტოფილის

ხანგრძლივად შენახვის საკითხისათვის

აღყვანა პ. კობახიძე

კარტოფილი ძვირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენს. იგი დიდ როლს ასრულებს მოსახლეობის გამოყვების საქმეში. ასევე ფართო გამოყენება აქვს მას ტექნიკური მიზნებისათვის; მისგან ამზადებენ სპირტს, კარტოფილის ფქვილს; იყენებენ ცხივვლთა საკვებად და სხვ.

კარტოფილის კულტურის ამ დიდი მნიშვნელობით არის ნაკარნახევი მისი ხანგრძლივად შენახვის საკითხის გადაწყვეტის საქმეში.

კარტოფილის ხანგრძლივად შენახვის ერთ-ერთ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ გაზაფხულის მოახლოებისას, გამოდის რა მოსვენების მდგომარეობიდან, იგი იწყებს გალივება-აღმოცენებას. ეს პროცესი ზაფხულის თვეებში კიდევ უფრო ძლიერდება და მეტად ძნელი შესაკავებელი ხდება. კარტოფილს გამოაქვს ძლიერი ნაზარდები და საჭირო ხდება მათი რამდენჯერმე შეცლა. ნაზარდების სახით კარტოფილი საწყისი წონის თითქმის 10—15%-ს კარგავს.

გარდა ამისა, გალივებისას კარტოფილი გროვდება ისეთი ფორმის ორგანული ნივთიერებანი, რომელნიც ამცირებენ მის კვებით თვისებას.

ჩვეულებრივად კარტოფილის გალივების შეჩერების მიზნით გრილ სარდაფში მის შენახვას მიმართავენ, რაც ყველგან არაა მოსახერხებელი და ამავე დროს შრომატევად და ნაკლებ ეფექტურად ღონისძიებას წარმოადგენს.

კარტოფილის გალივების შეკავება-შეჩერების ერთ საიმედო ღონისძიებად ამჟამად მიჩნეულია ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების (პრეპარატის) გამოყენება. გამოიკვეთილია, რომ ზოგიერთი ქიმიური ნაერთის მცირე დოზით გამოყენებისას ზრდის პროცესები შეიძლება მნიშვნელოვნად შევაჩეროთ, ამ მდგომარეობით კი შეიძლება ვისარგებლოთ კარტოფილის გალივება-აღმოცენების შეჩერების საქმეშიც.

ფიზიოლოგთა (მაგალითად, ი. რაქიტინის) გამოკვლევებით დადგინდა იქნა, რომ კარტოფილის გალივების შეჩერებისათვის კარგი საშუალებაა ალფა-ნაფტოლქმარმეკას მეთილის ეთერი, რაც შემოკლებით M-1-ით აღინიშნება.

აღნიშნული პრეპარატი (M-1) ფქვილის (დუს-

ტის) სახით გამოიყენება. ამ მიზნით შესანახი კარტოფილის ტუბერებზე ახდენენ მის შეფრქვევას. როგორც ხედავთ, მისი გამოყენების წესი მეტად მარტივია და პრეპარატი არცთუ ძალიან დიდი რაოდენობითაა საჭირო.

მასობრივად ჩატარებულ ცდებით დადგინილია, რომ კარტოფილის ტუბერების ხანგრძლივად შენახვის მიზნით საჭიროა გამოყენებულ იქნეს 3,5%-იანი M-1 (ე. ი. ალფა-ნაფტოლქმარმეკას მეთილის ეთერი, შერეული დაფქულ თიხაში).

კარტოფილის დამუშავება ხდება შემოდგომაზევე — სარდაფებში შესანახად შეტანისას ან ზამთარ-გაზაფხულის პერიოდშიც, ამ ანგარიშით, რომ ტუბერებმა გალივება არ მოასწრონ. ყოველ ერთ ტონა კარტოფილზე საჭიროა 3 კილოგრამამდე დუსტი. ასეთი წესით დამუშავებული კარტოფილი კარგად ინახება, არ განიცდის გალივებას ან იკლებდა ძალზე უმნიშვნელოდ. ასეთი წესით მისი შენახვა ახალ მონაკლამდე შედარებით უფრო ხანგრძლივად და საღად ხდება. აღნიშნულისამებრ დამუშავებულ ტუბერებში სახამებლისა და ვიტამინ C-ს შემცირებაც უმნიშვნელო იყო.

ალფა-ნაფტოლქმარმეკას მეთილის ეთერის პრეპარატი (M-1) ამჟამად ქარხნული წესით მზადდება და მისი შოვნა საქსოფმოპარაგებაში ადვილად შეიძლება. საბჭოთა კავშირის ბევრ ოლქში პრეპარატ M-1-ის გამოყენება უკვე მასობრივია, ასე, მაგალითად, 1949-1950 სამეურნეო წელს პრეპარატი M-1-ით დამუშავებული იყო 5 ტონა კარტოფილი, 1950-1951 წელს — 200 ტონა, 1951-1952 წელს — 1200 ტონა, 1952-1953 წელს და 1953-1954 წელს — 30.000 ტონა, ხოლო 1954-1955 წლისათვის გათვალისწინებული იყო 200.000 ტონა კარტოფილის ამ წესით დამუშავება.

პრეპარატ M-1 გამოიყენება. სასარგებლოა იმ მხრივაც, რომ ამ პრეპარატი დამუშავებული კარტოფილი შემოდგომიდან ივლისის თვემდე მისი წონის დაახლოებით 0,5%-ით კარგავს მასში, როდესაც ჩვეულებრივ აქამდე არსებული წესით კარტოფილის შენახვისას ყოველთვის წონის 10%-ი და მეტ დაკლებას ჰქონდა ადგილი. ამრიგად ზაფხულამდე



კარტოფილის ახალი წესით შენახვისას ყოველთვის თავიდან ავიცილებთ თითო ტონიდან დაახლოებით 95 კილოგრამამდე კარტოფილის დაკარგვას.

როგორც აღნიშნეთ, ყოველი თითო ტონა კარტოფილის დასამუშავებლად (შესაფრქვევად) საჭიროა 3 კილოგრამამდე M-1. ღირებულება კი ამ სამი კილოგრამი პრეპარატ M-1-ის 17 მანეთს და 40 კაპ. შეადგენს. ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ მისი (M-1-ის) შექმნა ძალიან ადვილი და ეკონომიური საქმეა.

შედარებით უფრო ახალი გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია კიდევ ერთი პრეპარატის კარგი გამოყენებითი თვისება. ეს პრეპარატია ფენილ-კარბამინისმცავას იზობროპიონის ეთერი (რომელსაც შემოკლებულად პრეპარატ V-2 სახით აღნიშნავენ).

პროფესორი ი. რაკიტინის გამოკვლევით დადასტურებულია V-2-ის მალალი აქტივობა. მისი საკმაოდ მცირე პრაქტიკული დოზა კი საგრძნობლად შეიძლება შევაჩეროთ კარტოფილის გაღივება-აღმოცენება. ამ შემთხვევაშიც სარდაფებში შესატანად გათვალისწინებულ კარტოფილს შეაფრქვევენ 1,79/6-იან V-2 დუსტს, თითო ტონა კარტოფილზე 3-დან 6 კილოგრამის რაოდენობით. დასახელებული პრეპარატის გამოცდამ საყვარელ დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო და, ალბათ, ახლო მომავალში ფართო გამოყენებას პოუვებს. ამჯერად პრეპარატ V-2 ფართო ხმარებაშია ტექნიკური დაწინაურებისათვის გამოსაყენებელი კარტოფილის ხანგრძლივად შესანახად.

ფიზიოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ კარტოფილის ტუბერის კვირტები ქიმიური ნივთიერებებისადმი (მაგალითად, M-1 და V-2-ის მიმართ) მეტი მგრძნობიარობით ხასიათდებიან, ხოლო უფრო ნაკლებით კი ტუბერის სხვა ქსოვილები. ასე, მაგალითად, ქიმიურ ნივთიერებათა ის დოზა, რომელიც კვირტის ქსოვილებზე მომავალი გავლენის ახდენს, თითქმის უვნებელია ტუბერის დანარჩენი ქსოვილებისა და უჯრედების მიმართ. ამიტომ პრეპარატ M-1-ის ისეთი დოზა უნდა იქნეს აღებული, რომ პრაქტიკული გამოყენების დროს მან არ გამოიწვიოს ტუბერის კვირტის ქსოვილის უჯრედების სიკვდილი. ტუბერის ნაწილის (ამ შემთხვევაში კვირტის) დაზიანება არაა სასურველი, რადგან ამით ორგანიზმის ბიოლოგიური ერთიანობა ირღვევა, რასაც მისი დასუსტებისაკენ

მიყვება. სასურველია, ისეთი დოზის გამოყენება, რომელიც კვირტების ზრდას შეაჩერებს, ხოლო მისი უჯრედების დაზიანებას კი არ მოახდენს.

კვირტის გაშლა-გამოტანა შეჩერებული უნდა იქნეს იმ პერიოდში, როდესაც ტუბერი ქიმიური პრეპარატის (დუსტის) ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. როგორც კი პრეპარატის ზემოქმედება შეწყდება, კვირტმა უნდა დაიწყოს გაშლა-განვითარება. ასეთი წესით (ე. ი. ქიმიური პრეპარატით) ტუბერის დამუშავებისას შესაძლებელი ხდება მისი უვნებლად შენახვა სათესლედ ზაფხულში რგვისათვის.

კარტოფილის ტუბერის ქსოვილებსა და უჯრედებს მოხსენებულ ქიმიურ ნივთიერებათა შედეგის ანალიზმა ნათელიყო, რომ მათი დაგროვება კვირტის ქსოვილებში უფრო მეტად ხდება, დანარჩენ სახამებლის შემცველ ქსოვილთა უჯრედებში კი—შედარებით მცირედ.

M-1 პრეპარატით კარტოფილის გაღივების და ზრდის პროცესის შეჩერება გამოწვეულია ტუბერში მოხმდარი ფიზიოლოგიური ცვლილებებით, რაც გამოიხატება ტუბერის კვირტის ზრდის კონუსებში ნივთიერებათა ცვლის პროცესების შესუსტებით. უჯრედის ფორმის ნაწილად საკვებ ნივთიერებათა გარდაქმნა ფერხდება, რის გამოც კვირტების ზრდის პროცესი აგრეთვე ფერხდება, ან სრულიად ჩერდება. ზრდის პროცესის შეფერხებას ან შეჩერებას კი შედეგად მოჰყვება საკვებ ნივთიერებათა დაუხარჯობა, კარტოფილის ტუბერის უკეთეს მდგომარეობაში და საღად შენახვა, რასაც საწყისი წონის რამდენადმე სრულად შენარჩუნებაც სდევს თან.

აღნიშნულ პრეპარატთა მოქმედებით კარტოფილის კვებითი თვისებები არ იცვლება. ამ მხრივ ჩატარებულ გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქიმიური პრეპარატ M-1-ის ის დოზა, რომელიც საკმარისია ტუბერის კვირტების გაღივების შეკავება-შეჩერებისათვის, არ ცვლის კარტოფილის კვებით თვისებებს. ასეთი კარტოფილი თავისუფლად გამოიყენება და სრულიად უვნებელია როგორც ცხოველთა, ისე ადამიანთა კვებისათვის; მას არავითარი ვანსხვავებული სუნის და გემო არ შეეძინება და მისი თვისებები უცვლელი რჩება, ყოველივე ეს კი კარტოფილის ტუბერების შენახვის ფართო პერსპექტივას იძლევა.



საინსტრუქციო კარდა

ზარდაქ - უნივერსიტეტის

(თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრისა და ორთქლმაგალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კონსტრუქტცია)

ჭრით ლითონდამუშავების დარგში შრომის ჩქარული მეთოდების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას და, კერძოდ, სამუშაო ადგილების კონსტრუქციების წესიერად დამუშავებას და ექსპლუატაციას.

ამით, რასაკვირველია, არ მცირდება სამანქანო დროის მნიშვნელობა, რომლის შემდგომი შემცირებისაკენ აგრეთვე ყოველთვის უნდა იყოს მიმართული კვლევითი აზრი.

ჩქარული და ძალური ჭრის დანერგვის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამანქანო დრო თუჯის დამუშავებისას შეიძლება შემცირებულ იქნეს 2-3-ჯერ, ფოლადის დამუშავებისას კი — 4-5-ჯერ. მიუხედავად ამისა დამხმარე დროის დიდი ხვედრითი წილი ძლიერ ამცირებს საწარმოო ეფექტს, რის შედეგადაც მედარბაზო შრომის ნაყოფიერება საშუალოდ იზრდება მხოლოდ 20-30%-ით.

ჭრით ლითონების ჩქარული დამუშავების ცნება ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით შეიცავს არა მარტო ჭრისა და მიწოდების სიჩქარეთა გადადებას, არამედ აგრეთვე დამხმარე და მოსამზადებელი მუშაობის მკვეთრად შემცირებას და, მასთანადავ, დამუშავების ცალობით დროის შემცირებას.

თუ მაღალმწარმოებლური შრომისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი აღნიშნული იყო მისწრაფებით მაღალ სიჩქარეთა და მსხვილი მიწოდებების მიღწევით, ამჟამად ძიებათა შეუწყვეტლად მომუშავეთა ყურადღება ძირითადად მიქცეული უნდა იყოს საინჟინერო სამუშაო ადგილების ტიპური კონსტრუქციების შექმნისაკენ. სამუშაო ადგილები კონსტრუქციულად სადა, იაფი, მცირეგაბარითული, ექსპლუატაციაში მოხერხებული, მასობრივად ადვილდასამზადებელი, გარეგნულად ზომიერად ლამაზი და მიმზიდველი უნდა იყოს.

სამუშაო ადგილების ტიპური კონსტრუქციები—შრომის ნაყოფიერების ამაღლების უმნიშვნელოვანესი რეზერვაა. მუშის შრომა ჩარხთან, მის მიერ შესრულებული ყოველი საწარმოო ოპერაცია

მიმზიდველი უნდა იყოს არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც.


სამუშაო ადგილების ახლად შექმნილ კონსტრუქციებს საფუძვლად უნდა დაედოს მუშისათვის მაქსიმალური მოხერხებულობის პრინციპი და, მასთანადავ, მინიმალური დაღლილობისა და შრომის მაქსიმალური ნაყოფიერების პრინციპი*.

საქმე შეეხება შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას რვა საათთან სამუშაო ცვლაში მუშის საერთო მოქანცულობის საერთო შემცირების პირობებში. საკითხი ეხება ჩარხებთან სამუშაო ადგილების ისეთი კონსტრუქციების შექმნას, რომელთა გარეგნული გაფორმება, ხელსაწყოების შიგა განაწილება მიზიზიდვად მუშას, მის შრომას სასურველს და საინტერესოს გახდის.

სამუშაო ადგილის ტიპური კონსტრუქცია, პირველ რიგში, მაქსიმალურად უნდა ზოგადდეს მუშის მოძრაობას, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ ზედმეტ ტრაექტორიათა ლიკვიდაციით ამის მიღწევა შეუძლებელია. ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მუშის მოქანცულობის შემცირებას პოზების განაწილების მეოხებით და კუნთების ზედმეტი დაძაბვის ზღვრული გამოორიხებით.

ქვემოთ მოგვყავს ხარატი-უნივერსალის კარადის კონსტრუქციის აღწერა. ამ კარადის კონსტრუქცია დამუშავებულია თბილისის ვ. ი. ნუნინის სახელობის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის ბრიგადისა და თბილისის ი. ბ.

* აი რას წერს თავის სტატიამი მეჩქარული ხარატი პ. ბ. ბიკოვი: „ცვლის დასაბრუნებს მე ზშირად მსმენია ზოგიერთი მუშებისაგან: „დევილუ დლს“. დააკვირდები ამ მუშას და რწუნდები, რომ იგი ყოველ დღე იღლება და რატომ? იმიტომ, რომ იგი აკეთებს ბევრ ზედმეტ, სრულიად ზედმეტ მოძრაობას. მისი მოძრაობანი ვრძელია, სრულიად დაუმუშავებელია. მათზე ბევრი დრო იხარჯება. იღლება რა ამ ზედმეტი მოქანცავი მოძრაობებისაგან, მუშა ნაკლებ დეტალებს ამზადებს. გარდა ამისა, მოძრაობანი, რომლებიც მნიშვნელოვან დროს მოითხოვენ, საშუალებას არ აძლევენ ამ მუშის მეჩქარული გახდეს.“




ნახ. 1. საინსტრუმენტო კარადა დახურული სახით

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის თანამშრომელთა მიერ. კარადის კონსტრუქციის ავტორებია თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროსი, დოცენტი ა. ა. ავაქოვი (ბრიგადის ხელმძღვანელი), ინსტიტუტის ფიზიკის ლაბორატორიის გამგე ასისტენტი კ. ნ. ლიუბარსკი, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსი, ინჟინერი გ. ა. სიმონიანი, ქარხნის მექანიკური ხარატი ი. დ. კუმბურაძე და ქარხნის ინჟინერი ნ. ე. ჩოგოვაძე.


კარადა, რომელიც სამუშაო ადგილის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს შეადგენს, წარმოადგენს ლითონის ბუდეს, ზომით 500×800×1400 მილიმეტრს. ძირითადი ჩონჩხები დამზადებულია კუთხური რკინისაგან, რომელიც დაფარულია ფურცლოვანი რკინით. წინიდან კარადა წყვილი გასაღები (განით არათანაბარი — 300 და 500 მილიმეტრი) კარებით იყოფა 4 სექციად. ძირითად ზედა-მარჯვენა სექციაში მდებარეობს პირველად ბრიგადის მიერ

შემოდებული ხუთ თარიღიანი ცილინდრულ ფურცლები. იგი ბრუნავს ვერტიკალური ღერძის გარშემო, რომელიც ქვემოთ ვერდნობა ბურთოვან საქუსლეზე. თითოეული თარო სამი ღერძის გარშემო მბრუნავი თუნუქის ფურცლების საშუალებით შეიძლება დაყოფილი იყოს სამ თანაბარ ან არა თანაბარ სექციად (ხარატის მოსაზრებების მიხედვით). ამგვარად, სულ მბრუნავ თაროზე არის 15 სექცია, რომლებიც გამოყენებულია პირველი საჭიროების საჭრელი ინსტრუმენტებისათვის. სამმაგი (წითელი, დილურჯი და მუქ-ყვითელი ფერის) შეფერადება საშუალებას აძლევს ხარატს სწრაფად, აღუფიქრებლად მოაბრუნოს თაროები იმ კუთხით, რომელიც მას ესაჭიროება სექციისათვის.

კარადის კარების შიგა ნაწილებში დამონტირებულია საიარაღო ფიცარი, მათზე მოთავსებული ვერტიკალურ მდგომარეობაში მდებარე საზეინკლო, საჩარხო და საზომი ინსტრუმენტები. კარები რომ არ გადაიტვირთოს მძიმე ინსტრუმენტებით, უკანასკნელები დაკიდებულია საიარაღო



ნახ. 2. საინსტრუმენტო კარადა ღია სახით



ნახ. 3. საინსტრუმენტო კარადის გვერდითი ზედი

ფიცრებზე, რომლებიც სტაბილურად მონტირებულა კარადის ზედა მარცხენა ნაწილში.

უკანასკნელის ქვედა ნაწილი გამოყენებულია, განსაკუთრებით მძიმე ხელსაწყოებისა და მოწყობილობათა დასადგმელად.

კარადის ღირებულება შეიძლება შემცირებულ იქნეს მთლიან ხის კონსტრუქციებზე გადასვლისას:

ამ შემთხვევაში ზედმეტი გახდება ჩასასმელი საკმარისი ფიცრების დამზადება, ვინაიდან უკანასკნელის როლი შეიძლება შეასრულოს ხის კედლებმა და თვით კარადის კარებმა.

საინსტრუმენტო კარადის პირველი ნიმუში თბილისის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის დაჯვლებით დასახელებული ბრიგადის შემოქმედებითი განზრახვების შესაბამისად დამზადებულ იქნა დამუშავებული კონსტრუქციის ერთ-ერთი ავტორის—ასისტენტ კ. ნ. ლიუბარსკის მიერ 1954 წლის დამლევის და დაიდგა მეორე თანავტორის — ორთქლმავალ-გავონშემკეთებელი ქარხნის მექანიკური სამჭროს ხარატის ი. დ. ჭუმბურიძის სამუშაო ადგილზე.

არსებული ცნობებით, ანალოგიური კარადები ინერგება რიგ საწარმოებში, კერძოდ, ათზე მეტ იმეგარ კარდას ამზადებს № 2 საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი ორთქლმავალ-გავონშემკეთებელი ქარხნის მექანიკური სამჭროსათვის.

შეიძლება ვთქვათ, რომ აქ აღწერილი კონსტრუქცია კარადისა სასარგებლო აღმოჩნდება რესპუბლიკის სხვა საწარმოებისათვის, კერძოდ ქუთაისის ავტოქარხნისათვის.

საკუბით ცხადია, რომ აღწერილი კონსტრუქცია სრულებით არ გამოირიცხავს საინსტრუმენტო კარადების სხვა არსებული ტიპების გამოყენების მიზანშეუწონლობას.

საქიროების შემთხვევაში ინსტიტუტის ფიზიკის კათედრას შეუძლია დაინტერესებულ საწარმოებს მიაწოდოს კარადის ნახაზები, აგრეთვე დამატებითი ცნობები, რომლებმაც ასახვა ვერ პოვეს ამ სტატიაში.

დოცენტი ა. ავაძომი

სახალსო დემოკრატიის ქვეყნებში

ორიგინალური სტერილიზატორი

სტერილიზატორი აუცილებელი კუთვნილებაა ყოველი ქირურგიული კაბინეტისათვის. მაგრამ არსებობს სტერილიზატორები, რომლებსაც, მიუხედავად ეფექტურობისა, რიგი უარყოფითი მხარეებიც აქვს: ისინი რთულია მოსახმარებლად, მოითხოვენ ზეერ ელექტროენერჯიას; მათი დამზადებისათვის საკუროა ძვირფასი ფერადი ლითონების დიდი რაოდენობა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ინჟინრებმა კო-

სოვსკიმ და შტრახერმა დააკონსტრუქციეს სრულიად ახალი ტიპის ორიგინალური სტერილიზატორი; ქირურგიული ინსტრუმენტების სტერილიზაციისათვის მასში გამოყენებულია ულტრაიისფერი სხივები.


ულტრაიისფერი სხივების მისაღებად არსებობს დაბალი წნევის ვერცხლისწყლის ნაიურა. ახალი სტერილიზატორი მნიშვნელოვნად იაფი ჯდება, მოითხოვს რამდენადმე ნაკლებ ენერჯიას და მარტივია მოსახმარებლად.

მუხრანის რაიონის სტეფენის

*მიმდინარე წლის 9 ივნისს შესრულდა 175 წელი გამოჩენილი ინლისელი გამოგონებლის გეორჯ სტეფენსონის დაბადებიდან.

სტეფენსონი მემლაროელის შვილი იყო. აღრე ბავშვობიდანვე მოუხდა მის ბრძოლა გაჭირვებასა და უფულეობისთან: მუშაობდა ჯერ მწეცხლად, შემდეგ ცხენების გამძვინვარებელ მალაროში, ხოლო 14 წლის ასაკში კი უკვე ცეცხლფარეშის თანაშემწედ იყო. ცხოვრების ასეთ ძველ პირობებში სტეფენსონი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მეცნიერებისადმი, საფუძვლიანად სწავლობს ორთქლის მანქანას, თვითგანვითარების გზით აფაროებს თავის ცოდნას და 30 წლის უკბუჯი უკვე კელნგვორტში ქვანახშირის მალაროების მექანიკოსის თანამდებობაზე ინიშნება. 1814 წელს სტეფენსონი აგებს თავის პირველ ორთქლმავალს და მუშაობს მის სრულყოფაზე. ერთდროულად იგი შრომობს რკინიგზის ლინდლენის აგებულების გასაუმჯობესებლად; მოძრაე შემაღლენლობას და აღინდადეს იგი ურთოიერ განუყოფელ კავშირში განიხილავდა.

1815 წელს სტეფენსონი აგებს მეორე გაუმჯობესებულ ორთქლმავალს, რომელზეც პირველად იქნა გამოყენებული მრულმხარა, მამორაიებული გოგორწყვილების რეილებით დაუღლება, კო-



სრულყოფაზე. ამით მან საყოველთაო ყურადღება მიიქცია. კელნგვორტის რკინიგზა, სადაც სტეფენსონი მსახურობდა, საჩვენებელ უზნად გადაიქცა. 1819 წელს იგი მიწვეულ იქნა ბეტონის ქვანახშირის საბადოებში სატრანსპორტო გზის ორთქლით წვეაზე გადასაცვანად.

1822 წელს პირველი საერთო სარკებლობის რკინიგზის სტოტონ-დარლინგტონის მშენებლობის კომპანიამ სტეფენსონი მიიწვია მშენებლობის მთავარ ინჟინრად. 1825 წლის 27 სექტემბერს მოხდა სტოტონ-დარლინგტონის ხაზის საზღოვი გახსნა. ამ გზაზე მოძრაობისათვის სტეფენსონის მიერ აგებულ იქნა სპეციალური ორთქლმავალი „ლოკომოტივი“. გზის გახსნას ბევრი მაყურებელი დაესწრო. პირველი მატარებელი თვით სტეფენსონს მიყავდა. ორთქლმავალზე მიბმული იყო 38 სატიერთო და 1 სამგზავრო ვაგონი. ზეიმა ღრმა შობაბედულია მოახდინა მაყურებლებზე.

1823 წელს სტეფენსონი აარსებს ნიუ-


კესტლში პირველ ორთქლმავალმშენებელ ქარხანას.

1826 წელს დაიწყო ლივერპულ-მანჩესტრის რკინიგზის მშენებლობა, რომლის მთავარ ინჟინრად დანიშნულ იქნა სტეფენსონი. მშენებლობაზე მუშაობის მან სარკინიგზო ტექნიკის მთელი რიგი ურთულესი საკითხები გადაჭრა.

1829 წელს რკინიგზაში მოეწყო ორთქლმავლების შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა სტეფენსონის მიერ აგებული „რაკეტა“ და შვედი ინჟინრის ერიკსონის „ნოინგა“. ეს უქანასკნელი თავისი კონსტრუქციით მნიშვნელოვნად განარჩეოდა „რაკეტისაგან“. შეჯიბრის შედეგად გამოიკვია „რაკეტის“ შედარებით მეტი ამტინინობა და მუშაუნარიანობა. მან ერთი სამგზავრო ვაგონი, რომელშიც 36 მგზარი ისდა, საათში 48 კილომეტრი სიჭარბე განავითარა და გამარჯვებული გამოვიდა შეჯიბრებაში.

1848 წლის 26 ივლისს ორთქლის მანქანის დარგში გამოვირების შესახებ სტეფენსონმა წაყითხა მოხსენება ბირმინგემის მექანიკური ინსტიტუტის სხდომაზე.

ეს იყო მისი უქანასკნელი საჯარო გამოსვლა. მალე იგი ავად გახდა და მოულოდნელად 21 აგვისტოს დილით გარდაიცვალა.



სტეფენსონის მიერ აგებული ორთქლმავალი „რაკეტა“, რომელმაც მიიღო ჩოლდო ორთქლმავლების შეჯიბრებაში რიწნოლდში



ნუსი, 2 ორთქლის მანქანა და სხვ. სტეფენსონი განუწყვეტლოე მუშაობდა როგორც ორთქლმავალის, ისე ლინდავის



ჭერ კიდევ სტეფენისონის სიციხეებში ლივრპულ-მანჩესტერის გზის მფლობელთა კომპანია გადაწყვიტა ძველი ავიო მისთვის. კანდაკება დადგმულ იქნა ლივრპულში. შემდგომში ძველი — „რკინიგზის მამა“ დადგმულ იქნა ლონდონში, ნიუკასტლში და სხვა ქალაქებში. ინგლისელმა ხალხმა ღრმად შეაფასა სტეფენისონის დამსახურება და მის უაღრეს და შექაბირის გვერდით აღუმართა დიდების მონუმენტი.

მ. კიკნაძე

* მიმდინარე წლის 11 ივნისს სრულდება 100 წელი გამოჩენილი რუსი მათემატიკოსის — ან დ რ ი ა ა ნ დ რ ი ა ს ძ ე შ ა რ კ ი ე სის დაბადებიდან. ა. ა. მარკოვი პეტერბურგის იმ სახელმწიფო მათემატიკური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომლის ფუძემდებელი გენიალური რუსი მათემატიკოსი ჰ. ლ. ჩებიშევი იყო. იგი დაიბადა რიაზანის გუბერნიაში. მამამისი იყო სოფლის დიაკანი, რომელიც შემდეგ პეტერბურგში გადასახლდა და კრძოარწმუნებულის წოდების მიღების შემდეგ ექიმად მუშაობდა.

ა. ა. მარკოვი საშუალო განათლება მიიღო პეტერბურგის მე-5 გიმნაზიაში, ხოლო უმაღლესი — პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაში.

უნივერსიტეტი 1878 წელს კავშირების ხარისხით დაამთავრა და მიიღო ოქროს მედალი ფაკულტეტის მიერ რეკომენდებულ თემზე დაწერილი თხზულებისათვის — „უწყვეტი წილაების საშუალებით დიფერენციალურ განტოლებათა ინტეგრირების შესახებ“.

ასული საუენიან 60—70-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე მუშაობდნენ ისეთი შესანიშნავი მეცნიერები, როგორებიცაა ჩებიშევი, ზოლოტარევი, კოჩინი და გამაჩინელი პრაფესორები პოსე და ბოშილევი. მარკოვს მჭიდრო და მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა მათთან. განსაკუთრებით დაახლოებული იყო იგი ჩებიშევიან, რომელიც დიდი მნიშვნაი კმაყოფილებით უღებდა თავისი სახლის კარებს მეცნიერებით გატაცებულ ნიჭიერ ახალგაზრდებს.

ასეთ ნიადაგზე გაშლულმა ნიქმა და შრომისმოყვარეობამ მარკოვს მაღლ მოუპოვა გამარჯვება. უკვე 1880 წელს ქვეყნდება მისი შრომა „დღეობით დეტერმინანტიანი ბინარული კვადრატული ფორმების შესახებ“. ამ შრომამ, რისთვისაც მარკოვს მეცნიერის სამეცნიერო წოდება მიენიჭა, ჩებიშევის მაღალი შეფასება დამსახურა.

1884 წელს მარკოვი იცავს საღმრთო-რის დისერტაციას თემაზე — „უწყვეტ

წილადა ზოგიერთი გამოყენებების შესახებ“. 1886 წლიდან იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორია. 1886 წელს ჩებიშევის წინადადებით მარკოვი არჩეულ იქნა აკადემიის დიპონენტად, 1890 წელს — ექსტრა-ორდინარულ, ხოლო 1896 წელს — ორდინარულ აკადემიკოსად.



მისი დიდი მასწავლებლის ჩებიშევის მსგავსად, ა. ა. მარკოვის მეცნიერული ინტერესების სფერო იყო ძალიან ფართო და მრავალგვერდიანი: რიცხვთა თეორია, დიფერენციალური განტოლებანი, ფუნქციათა თეორია, ალბათობის თეორია და აგრეთვე მთელი რიგი სხვა მათემატიკური დარგები შეადგენდა მის მეცნიერული ინტერესების სავანს. თითოეულ ამ დარგში მარკოვის მიერ აღმოჩენილი და დასაბუთებული ქეშპირებიანი დიდი მეცნიერის სახელს უქმნის მისი მრავალი თვისი შრომა, განსაკუთრებით რიცხვთა თეორიასა და ალბათობის თეორიაში, მათემატიკის კლასიკურ ნაწარმოებებში: თვალზე და ორმა იდეებითა და მოხდენილი მეთოდებით ასაზრდოებს სათანადო დარგის ყველაკვართა ახალ თაობას. მარკოვის ძველი შრომის და საზოგადოდ მთელი მისი მეცნიერული მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია რკინიგზური წინაგანი ლოკია და აქედან გამოდინარე დასაბუთების სრული მათემატიკური სიმკაცრე.

განაცხობა რა ჩებიშევის მოძღვრება ალბათობის თეორიაში, მარკოვმა შექმნა ახალი მძლავრი მეთოდები, რომელთა საშუალებით მიღებულმა შედეგებმა მის სახელი გაუთქვა როგორც მათემატიკაში, ისე ფიზიკასა და ზუსტი მეცნიერებებში. უნების სხვა დარგებში, ეს შედეგები ე. წ. დიდი რიცხვთა კანონის შეგება და აღდგენა მისი გამოყენების შესაძლებლობაა სფეროს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივ მოვლენებსა და შემთხვევითი პროცესების შესწავლის საქმეში.

მარკოვმა განიხილა და შეისწავლა სის-

ტემის მდგომარეობათა მარტივი პრობლემები, რომელთაც შემდეგ მარკოვის კავებები ეწოდა. მან დაამტკიცა, რომ მარტივი სქემებისათვის საშარტლიანი ძირითადი თეორემები საშარტლიანი რთული კავებების სქემებისთვისაც, ეს იყო მეცნიერების ბრწყინვალე მონაპოვარი.

მარკოვის ყველა ეს შედეგი დიდ გამოყენებას პოულობს თანამედროვე ფიზიკაში, აგრეთვე ცლიმოლებათა თეორიაში, არტილერიასა და სხვ.

ა. ა. მარკოვი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ ზარბუქი დიდსულუენი ადამიანი, დიდი მოქალაქე. ის იყო უშოშირი და დაუღალავი მებრძოლი მეცნიერული მუშაობისა და პედაგოგიის საქმიანობის სწრაფი და ღირსეული დაცვის საქმისათვის. ამის მკაცრი მისალოთებად შეიძლება დავსახელოთ მისი მეცნიერი გამოსვლები პ. ა. ნეკრასოვის არასწორი მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობის წინააღმდეგ და პროტესტი რუსეთის აკადემიის წევრობიდან შ. გორკის გარიცხვის წინააღმდეგ.

მარკოვი იყო სანიშნო პედაგოგი. მისი ლექციები ხასიათდებოდა ზღერული სიტყვაობითა და მისამართული მათემატიკური სიმკაცრით. მისი პედაგოგიური ხელოვნება და გადმოცემის სტილი ნათლად ჩანს აგრეთვე მის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოებიდან: „სასრული სხვაობათა დირიცტვა“ და „ალბათობათა აღრიცხვა“, რომელთა მეცნიერული და ლიტერატურული ღირსებები ისე მტკვევლბს, რომ მათს რუსულ გამოცემას დასწრე მოჰყვა უცხოური თარგმანების გამოცემა.

საბჭოთა მათემატიკამ, როგორც ყველა გამოჩენილი სხვა მათემატიკოსის, ა. ა. მარკოვის აუგო საუკეთესო ძეგლი. მარკოვის იდეები, მეთოდები და შედეგები რკინიგზთა თეორიაში, ალბათობის თეორიაში თუ სხვ. სათანადო განვითარებას პოულობენ თანამედროვე საბჭოთა მათემატიკოსების შემოქმედებაში.

3. კოლონი

* მიმდინარე წლის 21 ივნისს სრულდება საბჭოთა ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურის 35 წლისთავი.

დეკრეტი ჩვენს ქვეყანაში მეტეოროლოგიური სამსახურის დაარსების შესახებ 1921 წლის 21 ივნისს გამოსცა რსკის სახალხო კომისარიათა საბჭომ, რომელსაც ვ. ი. ლენინი თავმჯდომარეობდა.

თავითრილოლოგიური სამსახურის ძირითადი ამოცანა იყო მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა საჭირო მონაცემებით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის გვერდინ მიმსახურება. ჩვენს ქვეყანაში მეტეოროლოგიური სამსახურის გაერთიანების მიზნით ამ საქმის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლის გაწევა დაპ-



გეისრა მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიას, რომელსაც ამჟამად ა. ი. ვოიკოვის სახელობის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორია ეწოდება.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად დარღვეულ მეტეოროლოგიურ სადგურთა ქსელის აღდგენა-გაფართოებასკენ მიმართული მუშაობა შეძლებული კიდევ უფრო გაძლიერდა. მიღებულ იქნა ზომები დანერგული მეტეოროლოგიური სადგურების რეკონსტრუქციასათვის, მეტეოროლოგიური იარაღებით მათ მოსამზადებლად და სპირო ხელშეძენადელობის გასაწყვეად. აგრეთვე ამინდის სამსახურის აღსადგენად. რომლის სათავეში წინაა ამინდის ცენტრალური ბიურო, შემდგომი პრაონზების ცენტრალური ინსტიტუტი. 1929 წლის 7 აგვისტოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უკეთესი მომსახურების მიზნით სსრ კავშირის სახალხო კომისარია საბჭოთაში, მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების კომისარიატებთან ჩამოყალიბდა პირობითი-როლოგიური კომიტეტები, რომლებიც შემდგომი პირობითი-როლოგიური სამსახურის სამმართველოებად გადაკეთდნენ.

საქართველოს პირობითი-როლოგიური სამმართველო, რომლის შემადგენლობაშიც ამინდის ბიურო შეიღის, ახორციელებს დიდ მუშაობას პირობითი-როლოგიური მუშაობის. მისი ძირითადი ამოცანებია პირობითი-როლოგიური სადგურთა ქსელის უზრუნველყოფა სისტემაოდ იარაღებითა და კადრებით; სინტემატური ზუსტი დაკვირვებების ჩატარება წინასწარი ინსტრუქციის მიხედვით და ამინდის ბიუროებში ცნობების დროულად გადაცემა; დაკვირვებათა შედგენა და ამუშავება და აგრომეტეოროლოგიური ცნობების შედგენა და გამოყენება; ამინდის მოკლ და გრძელვადიანი პროგნოზებისა და აგრეთვე პირობითი-როლოგიური პროგნოზების შედგენა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უზრუნველყოფა ამ ცნობებით.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ასობით ახალი პირობითი-როლოგიური სადგური გაიხსნა. სადგურები მუშაობის არქტიკის შორეულ ადგილებში, მაგალითად, ფრანც-იოსების მიწაზე, ახალ მიწაზე და სხვ. მაღალმთიანი სადგურები მოეწყო კავკასიაში, პამირსა და ტიან შანში. ძველად მისაღებო მთებზე და დაუსახლებელ უძნელუბზე მოეწყო ავტომატური რადიო-მეტეოროლოგიური სადგურები, რომლებიც ადამიანთა შრომის გამოუყენებლად მუშაობენ და რკველავრებად გზავნიან ცნობებს ამინდის შესახებ.

უდიდეს კვლევით მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა მეტეოროლოგები, პირობითი-როლოგები და აგრომეტეოროლოგები. 1930 წლის 30 იანვარს გაშვებულ იქნა მსოფ-

ლიოში პირველი რადიოზონდი, რომელიც გამოგონებულია პ. ა. მოლჩანინოვის მიერ.

საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკებში, მუშაობს სამეცნიერო-კვლევითი პირობითი-როლოგიური ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა 1953 წლის 1 ივლისს თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ბაზაზე. მისი ძირითადი ამოცანებია: ატმოსფეროში წარმოშობად მოკავშირე პროცესთა თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევები, რომლებიც მიზნად ისახავენ ამინდისა და კლიმატის კანონზომიერებათა დადგენას; სინოპტიკური პროცესების რეგიონალურ თავისებურებათა შესწავლა; ამინდისა და მდინარეთა ხარკებისა და პროგნოზების მეთოდების დამუშავება, ატმოსფეროს მაღალი ფენების აერო-

ლოგიური, აგრეთვე სსოფლისმშენებელი კულტურების აგრომეტეოროლოგიური პირობების შესწავლა და აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების მეთოდების დამუშავება; ატმოსფერულ ვალენტრობისა და დაკავშირებულ პროცესთა და მოვლენათა (ცლუქები და სხვა) გარკვევა და სხვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პირობითი-როლოგიური სამსახურის წინაა დასახლ ამოცანები, რომელთა შესრულებით გადაწყვეტისათვის ამჟამად ენერგულად იბრძვიან საქართველოს პირობითი-როლოგიური სამსახურის სამმართველო და თბილისის პირობითი-როლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივები.

კ. პაპინაშვილი

გაზთის წინაპრები

გაზთის წინაპრები

იყო დრო, როცა სიტყვა „გაზთი“ იცოდნენ მხოლოდ მსოფლიოს ერთი ქვეყნის — ვენეციის მცხოვრებლებმა. ამათთან მაშინ მას სულ სხვა შინაარსი ჰქონდა, ვიდრე ახლა. ვენეციელები ახე უწოდებდნენ წვილდ ვერცხლის მონეტას. მაგრამ სიტყვის ძველ და ახლანდელ სახელწოდებას აქვს პირდაპირი ურთიერთკავშირი; თუ გადავხედავთ ისტორიის ფურცლებს, ეს ნათელი გახდება.



ძველი ვენეცია ისეთი რიგიანი ქალაქი რიდი იყო, როგორც ახლა. იგი უძლიერესი რესპუბლიკა იყო ფართო საზღვრო და პოლიტიკური კავშირებით. ვაჭრებსა და პოლიტიკოსებს უნდა სცილდნოდა ყველაფერი, რაც კი მსოფლიოში ხდებოდა.

აწესრიგებდნენ რა ინფორმაციების გაცვალა, ვენეციელებმა პირველებმა დაიწყეს მსუფთაობის ნაამბობების შეტყობა. სპეციალური ბიურო და ინტერცესტული იყო არა მარტო საქონლის ფასებით, გემების მოსვლასა და წახვლის ვადებით, არამედ ამ მოვლენებით, რომლებიც ზღეზოდ უტყობდნენ მსუფთაობის სამშობლოში. ამ ბიუროს ავერტები, პირველი რეპორტორები, თავიანთი ახლანდელი კოლეგების მსგავსად, დაჭერებდნენ ვახსად-გურებში და კრებდნენ საინტერესო ფაქტებს. ეტყობა ამ ავერტების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, რადგან მათ თავისი პროფესიული ორგანიზაცია ჰქონდათ.

ახალ ამბებს ხელით წერდნენ. ასეთი ხელნაწერი ფურცლისათვის მიჩას უნდაოდნენ პატარა ვერცხლის მონეტით — გაზთით.

მაგრამ ხელნაწერი გაზეთები, რომლებიც XVI საუკუნეში წარმოიშვა და შექმნეს თანამედროვე საინფორმაციო წყაროს სახელწოდება, პირველი როდი იყო მსოფლიოში. მათი წინაპრები უფრო ადრე, ჯერ კიდევ გვიან ეტყობა პირველ საუკუნეში, გაიჩინდა რომში, სადაც თუთოს ცეზარის განკარგულებით თაბასირით დაფარული განსაკუთრებულ ფიცარებს რომაელთა ცხოვრების უფრებად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ხელნაწერს წერდნენ. ასეთი ფიცარების ასლები გამოიკიდებოდა რომის სახელმწიფოს სხვადასხვა ქალაქებშიც.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი რუსული ხელნაწერი გაზეთი წარმოიშვა ვენეციურ გაზეთთან ერთდროულად მსხვილ თედორებს ძის მეფობისას. მას უწოდებდნენ „იურანტებს“ და შეიცავდა

უცხოეთის ამბების ცნობებს, რომლებსაც აღვედინებ საეკლესიო პრიკაზის (შაშინდელი) საკარგო საქმეთა სამინისტროს) შიდა-ნებია.

„კურანტებმა“ იარსება პეტრე პირველამდე, რომელმაც შეცვალა იგი ბექდურის გამოცემით.

რკინის ნიღაპი

ამას წინათ საფრანგეთში გამოვიდა ფრანგი ისტორიკოსის ჟუვინის „ბასტიონის ლეგენდები“ და არქივები“.

თითქმის ოთხასი წლის განმავლობაში ბასტილია ყველაზე სასწინელი სახელმწი-



ფო ციხე იყო. იგი აგებულია 1368-1383 წლებში ზურთომიძელარ მუსო ობრიახის მიერ, რომელიც ამავე დროს ამ ციხის პირველი პატიმარი იყო.

ასეულობით უბედური აღძვრის იტანჯებოდა ბასტიონის სასწინელ სასურსათ-ულში. ბევრი მათგანი ციხის თაღებში ბავშვობის ასაკში შედიოდა და ვაჟივლიდა მხარწნილი მოხუცებულობის ეპოქა. უფრო ხშირად კი სრულადაც არ გამოდიოდნენ. რამდენი უბედურება, არაღამიანური სიმკაცრე უნახია ციხის კედლებს, რომლებიც მოწამენი იყვნენ საფრანგეთის ნაურთხი მმართველების დანაშაულისა.

ბასტილიისადმი სიძულვილი საფრანგეთში საყოველთაო იყო. 1789 წლის 14 ივლისს საფრანგეთის აჯანყებულმა ხალხმა იერიშით აიღო და დაანგრა ბასტილია — რეპუბლიკისა და ტირანიის დასაყრდენი. ხალხის ზეიმს სასულგარი არ, ქონდა. ბასტილიის არქივი ხელმისაწვდომი შეიქმნა. ამ ციხის პატიმართა სია ძალიან გრძელი აღმოჩნდა, ბევრი მათგანი ციხის დოკუმენტებში აღნიშნული იყო გამოკონილი სახელებით და ნომრებით და მათი წამდელი სახელი გამოუცნობია.

უსახელი პატიმართა შორის ყველაზე მეტი მიიქმამოთქმა გამოწვივა საიდუმლო „რკინის ნიღაბმა“.

1698 წლის სექტემბერში ბასტილიაში

მოიყვანეს საიდუმლო ტუსადი. იგი მოიყვანა ხან-მარხმა, ბასტილიის ახალმა კომენდანტმა, საიდანაც სამხრეთიდან, სადაც უბედური აქამდე მრავალი წლის განმავლობაში კატორღული სამუშაოზე იყო. პატარას თავზე წამოცმული ჰქონდა რკინის ნიღაბი თვალებთან განაქვითი და მოძრაება ყბით, რათა მას შემდეგობა პირის ვალება და საუბლის ჭემა. ნიღაბიანი პატიმარის მოათავსებ ციხის ყველაზე ყრუ ადგილში.

ხუთი წლის შემდეგ ბასტილიის კარებთან წმინდა პავლეს სასაფლაო-საკურ ვენერათა საწმუხარო დამკრძალავი პროცესია, ავილიდა რა ვაგას ამ საიდუმლო პატიმარს, რომელიც ეკლესიის წინაშე შეტანილი იქნა მარჩალოს სახელმწიფოებით.


რამდენიმე წუთით ადრე კურირმა დედოფელი XIV მოუტანა პლანშია ვახვეული რკინის ნიღაბიანი თავი. ფიქრობენ, რომ უბედური დაიხრჩო — იგი დახრჩო გაზრდილმა წვერმა.

ვოლტერიდან დაწყებული მრავალი მკვლევარი ცდილობდა დედენა რკინის ნიღაბიანი პატიმრის ვინაობა. ამ ძიებათა შედეგები სულ ერთმანეთის საწინააღმდეგაოა. მათი აზრით, რკინის ნიღაბი ქვეშ შეიძლება იმალეგობდეს მშ კაცი, ლუდოვიკო XIV ძმიდან სომეხ პატრიარქ ავეტოქამდე.

დღემდე გამოურკვეველია, თუ ვინ იყო ეს აღძვინი. ფუნჯი თავის წიგნში ცდილობს დაადგინოს „რკინის ნიღაბის“ ვინაობა. მისი აზრით, ეს იყო ერთ-ერთი იტილდური სათავადოს მინისტრი, რომელიც მტრულად იყო განწყობილი მასთან საფრანგეთისადმი.

ჩინური ლერწამი

აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთში, განსაკუთრებით ფუცუნიანისა და ჩეცუნიანის პროვინციების ტენიან რაიონებში, ხუნანისა და



ცუნიანის მთიან ადგილებში გვხვდება ხშირი ლერწამი.

უძველესი ლეგენდა მოგვით-

ხრობს, რომ ერთხელ სწავლულმა ვან ცზი-იუმ, რომელიც ღამის-გამათაველად გაჩერდა გლეხის სახლში, დარგო ლერწამი. „ვანა შეიძლება იცხოვრო თუნდაც ერთი დღე ლერწამის ვარგზე?“ — თქვა მან ამ დროს.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი საუკუნის წინ ლერწამის ბოჭკოსაგან ქალაქის ამზადებდნენ. დღემდე სამხრეთ პროვინციებში მისგან აკეთებენ ქალაქის მასას. დიდი ხეების ღე-



როსაგან აკებენ სახლებსა და ხი-დეებს, აკეთებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ავეჯს და წყალსადენ მილებს.

ლერწამისაგან გლეხები დიდი ისტატითი წინავეს სხვადასხვა საოჯახო ნივთებს: კალათებს, ფარდებს, შილობებს. განსაკუთრებით კარგია მარაოები წერილი ფირფიტებისაგან. რთული დაწვის შედეგად იღებენ პეიზაჟებს, ფრინველებს, ყვავილებს, მცენარეებს.

მონდენილი მარაოების, ქოლგებისა და საუკმელი ჩხირების წარმოება შეადგენს ქალაქ ხანჩოუს განსაკუთრებულ დიდებას. აქ მთელი რაიონები დასახლებულია მემკვიდრეობითი ოსტატებით.

ჯერ კიდევ უძველეს დროში ლერწამის ლეროების ანაწყობისაგან ამზადებდნენ მუსიკალური ინსტრუმენტებს. ასეთი თორმეტი ღეროსაგან შედგებოდა — „ლუი“, თექვსმეტისაგან — „ბაი-სიაო“. ლერწამისაგან ამზადებენ აგრეთვე ფლეიტის მრავალ სახეს, რომლებიც დღესაც გავრცელებულია ჩინეთში.

პასუხი შეკითხვაზე


ს. ხალა (შალენჯისის რ-ნი), ი. შანიავას

თქვენ კითხვობთ: რაზე დამოკიდებულია დედაიონის ქერქის საუქუნოებრივი რყევა?

XVIII საუკუნის დასაწყისში შეამჩნიეს, რომ ბალტიის ზღვის რიგი ნავსადგურები, რომლებიც ადრე უშუალოდ ზღვის ნაპირთან მდებარეობდნენ, მნიშვნელოვნად დაშორდნენ მას. ანალოგიური ფაქტები შემჩნეულ იქნა სხვა ადგილსაც, განსაკუთრებით კი იმ მხარეებში, რომლებმაც მეოთხეულ პერიოდში მშლავი გაყინვარება განიცადეს. შენიშნულ იქნა საწინააღმდეგე მოვლენებიც: სანაპირო ხაზი რიგ უბნებში არათუ აწევას, არამედ დაწევის განიცდის. პირველ შემთხვევაზე, ე. ი. როცა სანაპირო ხაზი მაღლა იწევს, გაცილებული ილია მსგელობა, ვიდრე მეორე შემთხვევაზე. აწევის ნიშნები (ტერასები, ზღვის ნივრები და სხვ.) მისაწვდომია ადამიანის უშუალო დაკვირვებისათვის, ხოლო დაწევისა (წყალქვეშა ხეობები, წალკვიალი კულტურული ძეგლები და სხვ.) კი ხშირად მიუწვდომელია.

დედაიონის ქერქის ასეთი, ე. ი. საუქუნოებრივი რყევის, გამოშვები მიზეზების შესახებ იმთავითვე ცხარე კამათი გაიმართა. მეცნიერთა ერთი ჯგუფი სანაპირო ხაზის ცვალებადობას ხსნის ზღვის დონის რყევით ხმელეთის უძრავობის პირობებში, მეორე ჯგუფი კი უპირატესობას ანიჭებს ხმელეთის მოძრაობას. როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევა ბუნებაში შეიძლება, მაგრამ სანაპირო ხაზის გადასაცვლების ყველა ფაქტორი ასწრაფობს ზღვის დონის რყევას, ან ხმელეთის მოძრაობით არ იქნებოდა სწორი.

სანაპირო ხაზის გადასაცვლებაზე დაკვირვებისას შემჩნეულ იქნა სანატრესო ფაქტი. დედაიონის ის მხარეები, რომლებიც ამჟამად აწევის განიცდიან, მკვიდროდ არიან დაკავშირებული მეოთხეული პერიოდის ყოფილი გაყინვარების რაიონებთან. ეს კარგად ჩანს თანდართულ სქემაზეც, სადაც ჩრდილოეთნოლოვანი და ატლანტის ოკეანის სანაპირო რაიონები



და მთელი რიგი სხვა მხარეები, ე. ი. მეოთხეულ პერიოდში ყინვარებით დაფარული ტერიტორიები, ამჟამად აწევის განიცდიან. ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს. მეოთხეული გაყინვარების ეპოქაში ყინვარების სიმძლავრე რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევდა. ყინულის მასები დიდი სიმძიმით აწეობდა დედაიონის ქერქის ამა თუ იმ ნაწილს და მის მნიშვნელოვან ჩაწევენას იწვევდა. შემდგომ პერიოდში, როცა მოხდა ხმელეთის "განტვირთვა" ყინვარებისასგან, ე. ი. როცა ყინვარებმა უკან დაიხიეს, ყოფილი გაყინვარების რაიონებმა აზე-

ვება იწყეს. იმ მხარეებში კი, სადაც ხდებოდა მდინარეების მიერ მონარტები ნაშლი მასალისა და ყინვარების მიერ მონარტული პროდუქტების დაღეკვა, შეინიშნება დაბარვის მოვლენები.

დედაიონის ქერქის ცალკეული უბნების აწევა-დაწევა მხოლოდ აღნიშნული ფაქტებით არ ამოიწურება. დედაიონის ქერქის ამგვარი მოძრაობებში მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს ტექტონიკური ხასიათის მოძრაობანი. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს. დედაიონის ქერქის საუქუნოებრივი რყევა ტექტონიკური მოძრაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს, იგი მკვიდროდ არის დაკავშირებული ტექტონიკური მოძრაობების გამოშვებულ მიზეზებთან და გეოლოგიის ურთულესი საკითხთაგანია.

ზ. ბ.


ბალის რაიონი. სოფ. ოტობაია. კ. შანიავას

თქვენ გაინტერესებთ, თუ რა ქიმიური ნივთიერება აძლევს ეანგის ფერს სოფელ ოტობაიის მიდამოებში არსებულ გრუნტის წყალს და არის თუ არა ეს ნივთიერება მავნებელი ადამიანის ორგანიზმისთვის.

პასუხი: ვაქე რელიეფისა და ზომიერი ჰავის პირობებში, რაც დამახასიათებელია თქვენის სოფლისათვის, გრუნტის წყალი ახლოს მდებარეობს ზედაპირთან.

ამგვარი კლიმატური პირობებისათვის დამახასიათებელია მცენარეულობის სიუხვე. მცენარეული მასალის დაშლის შედეგად ხდება ნიადაგის გამდიდრება ორგანული მკავეებით. შექმნილია წყალი გაიარეცხეს ნიადაგიდან ჰუმუსურ მკავეებს. წყალში გადასული ჰუმუსური მკავეები ხელს უწყობს ნიადაგში არსებულ ადვილწინადი რკინის ნაერთების გადასვლას წყალში.

მიწისქვეშა წყლების ზედაპირზე გამოისვლისას, ხდება რა მისი შეხება ჰაერთან, იწყება წყლის გამდიდრება ეანგბადით. ამის შედეგად წყალში არსებული დივლსწინადი რკინის ნაერთები იეანგება და ეღებულბოთ წყალში უხსნად რკინის ეანგის ჰიდრატს, რაც სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:



მიღებული რკინის ეანგის ჰიდრატი— $\text{Fe}(\text{OH})_3$ პრაქტიკულად წყალში უხსნალია და გამოილტვება. სწორედ ეს გამოილტვობა რკინის ეანგის ჰიდრატი აძლევს წყალს ეანგის ფერს.

ამგვარად უხსნება ის ვარქემობა, რომ სოფ. ოტობაიაში ჰის გაქრის პირველ საათებში წყალი უფერულია, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ, იხსნება რა წყალში ეანგბადი, იწყება წყლის შეფერვა ეანგის ფერად.

წყლის შეფერვა რკინის ეანგის ჰიდრატი იმ რაოდენობით, როგორც ითავი იგი შეიძლება არსებობდეს წყალში, სრულიად უეანგებელია ადამიანისთვის.

მიუხედავად ამის, სასურველია წყლის გაფილტვრა, ვინაიდან მასში არსებული რკინის ეანგის ჰიდრატი წყალს არასასამართლო სუნსა და გემოს აძლევს.

თქვენ ითხოვთ აგრეთვე დაგეგმაროთ წყლის გაფილტვრის პრიმიტიული წესის შეკვლაში მეცნიერულად დადგენილი რამე წესით.

თქვენს მიერ გამოყენებული კეშით გაფილტვრის წესი ყველზე დამაპყრობებელი და ხელმისაწვდომია წყლის მისობრივად გაფილტვრისათვის.

ასპირანტი ნ. ცერცვაძე



მეცნიერება და ტექნიკა



გ ა რ ე კ ა ნ ზ ე : „მოსკვიჩი-402“

ს ა რ მ ე მ ი

№ 6

ივნისი

1956

გ. ხუნდაძე	
ენერგოსისტემების ავტომატიზაცია და ტელემეკანიზაცია . . .	1
ბ. გორდეზიანი	
როგორ იქმნება წიგნი	6
დ. იოვავილი	
მეცნიერებისა და პროგრესის მტერი	9
რ. ფარცხალაძე	
მოსკვიჩი-402»	13
ზ. ტინტილოზოვი	
მოდრეიფე სამეცნიერო ბაზები არქტიკაში	15
ა. ლეკიაშვილი	
8000 კილომეტრი ტოვით	19
თ. რაზმაძე	
ლაქები მზეზე	23
ბ. კუბლიცი	
აიასწლოვანი სიცივე	25
უცხოეთის ტექნიკა	30
გ. ხუციშვილი	
თაბიბი თეორიული ფიზიკის საკითხებზე	32
ვ. ზუხბაია	
ტყარჩელის ქვანახშირის სახალის ექსპლუატაციის ისტორი- ისათვის	35
აღ. კობერიძე	
კარტოფილის ხანგრძლივად შენახვის საკითხისათვის	39
ა. ავაქოვი	
საინსტრუმენტო კარადა ხარატ-უნივერსალისათვის	41
მეცნიერებისა და ტექნიკის კალენდარი	44
თავისუფალ ღრის	46
პასუხი შეკითხვებზე	48

გ ა რ ე კ ა ნ ი ს მ ე - 2 გ ე - ზ ე : — რ ა დ ი ა ქ ტ ი -
ური იზოტაპები მედიცინაში

სარედაქციო კომლეტის საჭარტველს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. დვალდი (რედაქტორი),
საჭარტველს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კუპრაძე, პროფესორი ვ. კაპაბაძე, დოცენტი
მ. მირიანაშვილი, ინჟინერი ბ. ჯაბაშა, ო. ხურამიძე (რედაქციის პასუხისმგებელი
მდივანი).

მხატვრული რედაქტორი — კ. შარაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. № 22. ტელეფ. № 8-46-49

Ежемесячный научно-популярный журнал «Мецნიერება და техника»
(на грузинском языке)

ქალაქის ზომა 60x92,3 სმ. ფ. 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.6.56 წ. უფ. 01555, შეკვ. № 860, ტირაჟი 7600
საჭარტველს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 3/4
Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР,
ул. А. Церетели № 3/5



к 293/30

ფანო 5 მან.

